


371.018
5 168

პაიშ ჯ. ჯანოტი

**მუგლანი
და
შვილანი**



Haim G. Ginott



**BETWEEN PARENT
AND
CHILD**

ჰაიმ ჯ. ჯაინოტი



**მშობლები
და
შვილები**

თბილისი. „ლომისი“, 1991

371.018

74.9


№ 168

ბედის უკუღმართობით ბევრი რამ დაკარგეთ, მათ შორის ის უძვირფასესი, რასაც აღზრდის მრავალსაუკუნოვანი კულტურა ერქვა.

ჩვენი ქვეყნის ხვალისდელი, ნათელი დღე, ასე რომ ვნატრობთ ყველანი, პოლიტიკურ დამოუკიდებლობასთან ერთად, სწორად აღზრდილ ადამიანთა ურთიერთობასაც უცილობლად გულისხმობს. მაშ, მოდით, ყური მივუვლოთ თავისუფალი ქვეყნის ცნობილი ფსიქოლოგის საგულისხმო პრაქტიკულ რჩევებს. იგი ბევრი საკიბოროტო საკითხის გადაჭრაში დაეხმარება ყველას, ვისაც ბავშვის აღზრდის უმძიმესი და პასუხსააგები ვალი აკისრია.

მთარბმნელი ელისაბედ ყვავილაშვილი

რედაქტორი ნინო ახალკაცი



85021

4702017200—72

ბ. ბრძ. 91

© გამომცემლობა „ლომისი“

მ 604 (08)—91

აკტორისაგან

დედამიწის ზურგზე ერთი დედაც არ მეგულება, შვილისათვის სისხლის გამზრობის დაუძლეველი სურვილით რომ იღვიძებდეს და დილიდანვე ასეთ გეგმას აწყობდეს: მთელი დღე უნდა ვიყვირო, ვლანძლო და ვტანჯო შვილებიო. პირიქით, ყველაზე მეტად სწორედ დედებს სურთ, რომ დღემ მშვიდობიანად, ყვირილისა და ჩხუბის გარეშე ჩაიაროს.

მაგრამ მიუხედავად ასეთი საქებარი განზრახვისა, მშობლებსა და შვილებს შორის „ომი“ დილიდანვე ჩაღდება.

დედ-მამის ოცნებაა ბავშვები ოჯახში თავს ბედნიერად და მშვიდობიანად გრძნობდნენ და სულაც არ უნდათ ბავშვი დაშინებული ჰყავდეთ, მისგან გულჩათხრობილი, უპასუხისმგებლო და ჭიუტი ადამიანი გამოვიდეს, მაგრამ ხშირად ბავშვები ასაკთან ერთად ძალზე არასასურველ თვისებებს ავლენენ — საკუთარი ძალების რწმენა არ გააჩნიათ, თავსაც და სხვებსაც უპატივცემულოდ ეპყრობიან.

როგორ გვინდა თავზიანი შვილები გვყავდნენ, ისინი კი გამუდმებით უხეშობენ. სულ ვცდილობთ სისუფთავისა და სიფაქიზის გრძნობა გამოვუმუშაოთ, ისინი კი, თითქოს ჭიბრზე, ერთთავად რალაცაში არიან ამო-

განგლულნი; გვსურს საკუთარი თავის რწმენა გააჩნდეთ, მაგრამ, პირიქით, ნევროზული და ალგუნებულები იზრდებიან. და მიუხედავად ჩვენი დიდი სურვილისა ბედნიერები იყვნენ, როგორც ჩანს მათ ეს ბედნიერება აკლიათ.

ჩემი წიგნი მიზნად ისახავს დაგეხმაროთ თქვენ, მშობლებს, გაარკვიოთ თუ რა და როგორ ასწავლოთ ბავშვებს, რომ ოჯახში თავი კარგად იგრძნონ. მათი აღზრდის დროს ხომ უამრავ კონკრეტულ წინააღმდეგობასა და პრობლემას ვაწყდებით, რომელთაგან თვითმეული ცალკე გადაჭრას მოითხოვს. ისეთი რჩევებით კი, როგორიცაა „ბავშვი სიყვარულს მოითხოვს“, „ბავშვებს მეტ ყურადღებას უნდა ვუთმობდეთ“, „მეტი დრო გაატარეთ ბავშვებთან“ საქმეს ვერ ვუშველით.

თხუთმეტი წელია ამ წიგნის ავტორი მშობლებსა და შვილებს შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულების საკითხითაა დაკავებული. ეს წიგნი მისი გამოცდილების ნაყოფია. იგი პრაქტიკულ სახელმძღვანელოსა და წარმოდგენს, რადგან იმ კონკრეტული საკითხების გადაწყვეტას გთავაზობთ, ყოველდღიურად ოჯახში რომ წამოიჭრება ხოლმე.

ვუძღვნი ჩემი უმცროსი ძმის ხსოვნას

თ ა ზ ი

ბავშვებთან ურთიერთობა

ბავშვური უპატივხევაი და მათი ფარული მნიშვნელობა

ბავშვებთან ურთიერთობა განსაკუთრებული ხელოვნებაა, რომელსაც თავისი კანონები აქვს. ინფორმაციის მიღებისას ბავშვები იშვიათად არიან გულუბრყვილონი. მათი ნალაპარაკევი ხშირად კოდირებულია და ახსნას საჭიროებს.

— რამდენი მიტოვებული ბავშვია პარლემში? — ეკითხება ათი წლის ენდი მამას.

მამა (ქიმიკოსი, ინტელიგენტი) კმაყოფილია, რომ მისი შვილი სოციალური პრობლემებით დაინტერესდა. იგი დაწვრილებით ახსნა-განმარტებას შეუდგა, მერე კი ცნობარში ზუსტი ციფრიც მოიძია, მაგრამ ენდი მამის პასუხით ვერ დაკმაყოფილდა, კითხვას კითხვაზე უსვამს:

— რამდენი მიტოვებული ბავშვია ნიუ-იორკში? შეერთებულ შტატებში? ევროპაში? მთელს მსოფლიოში?

ბოლოს და ბოლოს მამა მიხვდა, რომ მის შვილს

ამ პრობლემის სოციალური კი არა, „პირადი“ ასპექტი აინტერესებდა — კითხვებს ბადებდა არა თანაგრძნობა მიტოვებული ბავშვების მიმართ, არამედ შიში, რომ მასაც მიიტოვებენ. გოგონას მშობლების მიერ მიტოვებული ბავშვების რაოდენობა კი არ აინტერესებდა, არამედ იმაში დარწმუნება, რომ თვითონ მას არასოდეს მიიტოვებდნენ.

დედასთან ერთად საბავშვო ბაღში პირველად მისულმა ხუთი წლის ბრუსმა კედელზე გაკრული ნახატები დაინახა და ხმამაღლა იკითხა:

— ვინ დახატა ეს უშნო ნახატები?

დედა შეცბა, შვილს უკმაყოფილოდ შეხედა და სასწრაფოდ უპასუხა:

— რატომაა უშნო, მშვენიერი ნახატებია!

აღმზრდელმა, რომელმაც გაიგო შეკითხვის აზრი, გაიღიმა და თქვა:

— აქ აუცილებელი არ არის კარგად ხატო, თუ მოგინდება, შეგიძლია ცუდი ნახატებიც დახატო.

ბრუსი გაიბადრა — მან მიიღო პასუხი თავის შეფარულ შეკითხვაზე: მოხვდებოდა თუ არა იმის გამო, კარგად ხატვა რომ არ იცოდა.

მერე ბიჭმა იატაკიდან დამტვრეული სახანძრო მანქანა აიღო და მოჩვენებითი ინტერესით იკითხა:

— ვინ გატეხა ეს მანქანა?

დედამ უპასუხა:

— რატომ კითხულობ, შენ ხომ აქ ჯერ არავის იცნობ?

მაგრამ ბრუსს ბავშვების სახელები კი არ აინტერესებდა,

არამედ ის, მოხვდებოდა თუ არა, შემთხვევით მანქანა რომ გაეტეხა.

აღმზრდელმა ახლაც სწორად გაიგო შეკითხვა და შესაბამისი პასუხიც გასცა:

— სათამაშოები ხომ იმიტომ გააკეთეს, რომ ბავშვებმა ითამაშონ. ზოგჯერ კი ისეც ხდება, რომ სათამაშო ტყდება...

ბრუსი კმაყოფილი დარჩა. კითხვების დასმის უნარი დაეხმარა მას აუცილებელი ინფორმაციის მიღებაში: „აღმზრდელი კარგია. არ გამიბრაზდება, თუ ნახატი არ გამომივა ან სათამაშო გამიტყდება. საშიში არაფერია, შემიძლია მშვიდად ვიყო“. ბრუსმა დამშვიდობებისას დედას ხელი დაუქნია და აღმზრდელს გაჰყვა. დაიწყო მისი პირველი დღე საბავშვო ბაღში...

თორმეტი წლის კეროლი გულნატკენია, ტირილს არაფერი უკლია — მისი საყვარელი ბიძაშვილი, რომელთანაც ერთად მთელი ზაფხული გაატარა, შინ ბრუნდება.

კეროლი (თვალცრემლიანი): სუზი მიდის, მე ისევე სულ მარტო ვრჩები...

დედა: სხვა მეგობარს იშოვი. სულ მალე გადაგივლის.

კეროლი: დედიკო! (სლუჟუნებს).

დედა: უკვე თორმეტი წლის გახდი და მაინც ასეთი მტირალა ხარ.

კეროლმა დედას გულისგანმგმირავი მზერა ესროლა და თავისი ოთახისკენ გაიქცა. კარმა გაიჭახუნა.

სამწუხაროა, რომ ეს სცენა ასე ნაღვლიანად დას-

რულდა. ბავშვის გრძნობებს სერიოზულად უნდა მოვეკიდოთ, მაშინაც კი, როცა სიტუაცია სერიოზულად არ გვეჩვენება. იქნებ დედისათვის ამგვარი დროებითი დაშორება მართლაც არ ღირდა ცრემლებად, მაგრამ შვილის განცდები მეტი გულითალობით უნდა გაეზიარებინა. მას საკუთარი თავისთვის უნდა ეთქვა: „კეროლს უჭირს. მე უნდა დავეხმარო დარდის გადატანაში, დავუმტკიცებ, რომ მე მესმის მისი“. შვილისთვის კი შეეძლო დაახლოებით ამგვარი რამ ეთქვა:

— ჰო, სუზის გარეშე მოსაწყენი იქნება.

— უკვე გენატრება, არა?

— ძნელია ცალ-ცალკე ცხოვრება, როცა უკვე ასე შეეჩვიეთ ერთმანეთს.

— სახლი თითქოს დაცარიელდა სუზის გარეშე, არა?

ასეთი რეაქცია დაახლოებს მშობლებსა და შვილებს. როდესაც ბავშვს გამგებნიანად პასუხობენ, უმწეობისა და ტკივილის შეგრძნება ქრება სწორედ იმიტომ, რომ მას გაუგეს. ამასთან დედისადმი სიყვარულიც ღრმავდება, რადგან მისი თანაგრძნობა შვილის განცდებს მალამოდ ედება.

უნაყოფო საუბარი

მშობლებს ხშირად აღიზიანებს ბავშვებთან ისეთი საუბრები, რომლებიც ყოველთვის უშედეგოდ მთავრდება. ამის მაგალითად ყველასთვის ნაცნობ დიალოგს მოვიტანთ:

— სად იყავი?

— ქუჩაში.

— რას აკეთებდი?

— არაფერს.

მშობლები ცდილობენ მოთმინებიდან არ გამოვიდნენ, მაგრამ ასეთი „საუბარი“ ვისაც გნებავთ, იმას გამოიყვანს წყობიდან.

ერთმა დედამ მითხრა:

— მე ვცდილობ ჩემს ვაჟიშვილთან მშვიდად ვილაპარაკო, მაგრამ, მოთმინებიდან გამოვეყვარ, რადგან საერთოდ არ მისმენს. მარტო მაშინ ესმის, როცა ვუყვირი.

ბავშვები ხშირად არიდევენ თავს მშობლებთან საუბარს. არ უყვართ, როცა არიგებენ, როცა მათ მოქმედებებს არჩევენ და აკრიტიკებენ. ისინი ხვდებიან, რომ მშობლები ძალიან ბევრს ლაპარაკობენ. რვა წლის დეიდი დედას ეუბნება:

— მე რომ მოკლე კითხვას გისვამ, შენ რატომ მპასუხობ ასე გრძლად?!

მეგობრებთან კი აღიარებს:

— დედაჩემს არაფერს ვუყვები. იმას თუ ლაპარაკი გაუვბი, თამაშს ველარ მოვასწრებ.

მშობლებისა და შვილების საუბარს რომ ყური მიუვდოთ, გაგიკვირდებათ ისინი საერთოდ არ უსმენენ ერთმანეთს. მათი საუბარი ორი მონოლოგი უფროა, რომელთაგან ერთი კრიტიკისა და დარიგებებისაგან შედგება, მეორე კი უარყოფისა და წუწუნისაგან. ასეთი „ურთიერთობის“ ტრაგედია მდგომარეობს არა სიყვარულის

უკმარობაში, არამედ პატივისცემის ნაკლებობაში, იგი უჭკუობით კი არ არის გამოწვეული, არამედ უუნარობით.

ჩვენი სანიადაგო ენა ბავშვებთან სრულყოფილი ურთიერთობისათვის არ არის შექმნილი. მათ რომ უტანჯველად ესმოდეთ ჩვენი, ამისათვის ურთიერთობის ახალი ფორმაა საჭირო და ბავშვებს ჩვენც ახლებურად უნდა ველაპარაკოთ.

ურთიერთობის ახალი კოდი

ბავშვებთან ურთიერთობის ახალი კოდი ერთმანეთის პატივისცემასა და ურთიერთობის უნარზეა დაფუძნებული. იგი მოითხოვს.

1. ორივე მხარეს ახსოვდეს ურთიერთპატივისცემა.
2. ვაგება წინ უსწრებდეს რჩევებსა და დარიგებებს.

ათი წლის ერიკი საშინლად არის გაბრაზებული: მისი კლასი პიკნიკზე უნდა წასულიყო, მაგრამ წვიმამ გეგმები ჩაუშალათ. დედამ გადაწყვიტა სხვაგვარად დალაპარაკებოდა შვილს. მან თავი შეიკავა ჩვეული კომენტარებისაგან, რომლებიც ადრე, როგორც წესი, ცეცხლზე ნავთს ასხამდნენ:

- ცრემლებით საქმეს ვერ უშველი.
- სხვა დროს წახვალთ.
- მე რა შუაში ვარ, თუკი გაწვიმდა, მე რატომ მებუტები?!

დედამ გაიფიქრა: „ბავშვი გულნატკენია, პიკნიკი

რომ ჩაეშალათ. ახლა უნდა, რომ მე გამიზიაროს საკუთარი გრძნობები, გამაგებინოს, როგორ ბრაზობს. მას აქვს ამისი უფლება... მე მას დავეხმარები, დავამშვიდებ, დავუმტკიცებ, რომ მესმის მისი და პატივს ვცემ მის გრძნობებს“.

მათ შორის ასეთი საუბარი გაიბა:

დედა: როგორ გაგიცრუვდა იმედი, არა?

ერიკი: მაშ...

დედა: როგორ გინდოდა პიკნიკზე წასვლა!

ერიკი: აბა, რა!

დედა: ყველაფერი მზად გქონდათ და უცებ წვიმამ დასცხო!

ერიკი: ჰო.

ცოტა ხნის დუმილის შემდეგ ბიჭმა თქვა:

— ჯანდაბას, სხვა დროს წავალთ.

ბრაზი თვალსა და ხელს შუა გაუქრა და მთელი საღამო კარგად იქცეოდა. ჩვეულებრივად, როცა კი ერიკი სკოლიდან ცუდ გუნებაზე ბრუნდებოდა, ადრე თუ გვიან ოჯახის ყველა წევრი გამოჰყავდა მოთმინებიდან. სიმშვიდე მხოლოდ ღამით ისადგურებდა ხოლმე, მაშინ, როცა ბიჭი იძინებდა.

რა არის კარგი ბავშვთან ამგვარ ურთიერთობაში და როგორია მისი „დადებითი შედეგი?“

როცა ბავშვი ძლიერად განიცდის რაიმეს, იგი არავის უსმენს. იმ წუთებში მას არ შეუძლია მიიღოს არც რჩევა, არც დარიგება, არც კონსტრუქციული კრიტიკა. მას მხოლოდ ერთი რამ უნდა: უნდა, რომ გავუგოთ, თანაც გავუგოთ ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარე-

შე. რაღაც თამაშის მსგავსი გამოდის: ის გვაწვდის ინფორმაციის მინიმუმს, დანარჩენის გამოცნობას კი ჩვენ თვითონ გვანდობს. როცა გვეუბნება, მასწავლებელმა გამლანდაო, არ ღირს წვრილმანების გამოკითხვა, მით უმეტეს, ასეთი შეკითხვების დასმა: „რატომ? რა ჩაიღინე? ალბათ დაიმსახურე, არა?“ არც მისი შებრალება გამართლებული — „უი, შე საწყალო“. ერთადერთი, რაც ამ შემთხვევაში გამოგვადგება, ის არის, რომ გავუგოთ. ვავიგოთ მისი გაშმაგება, ტკივილი, სამაგიეროს გადახდის სურვილი. საიდან უნდა ვიცოდეთ, რას გრძნობს? რა თქმა უნდა, საკუთარი გამოცდილებიდან. თანაც ხომ ვუყურებთ, ვუსმენთ... ადვილი მისახვედრია, რასაც უნდა გრძნობდეს ბავშვი, რომელსაც ტოლების თანდასწრებით ლანძღავენ. ამიტომ ისეთი რამ უნდა ვუთხრათ, რაც ბავშვს მიახვედრებს, რომ ჩვენ გვესმის მისი:

- გეწყინა, არა?
 - ძალიან გაბრაზდებოდი...
 - ალბათ, იმ წუთას შენი მასწავლებელი თვალის დასანახავად გეჯავრებოდა.
 - ცუდი ამბები გადაგიტანია.
- სულ ერთია, ბავშვი არ დაწყენარდება, თუკი ვეტყვი:

— ასე გაბრაზება არ შეიძლება!

საქმეს არც იმის მტკიცება შევლის, „გულთან ახლოს მისატანი არაფერი შეგმთხვევიაო. მღელვარება არ გავიღის თუ მას ავკრძალავთ, სამაგიეროდ მაშინვე დაცხრება, როგორც კი გაგებასა და თანაგრძნობას შეხვდება.

მოვლენიდან ურთიერთობამდე. როცა ბავშვი რაიმე მოვლენის შესახებ გიყვებათ ან გეკითხებათ, ზოგჯერ უფრო უპრიანი იქნება თუ თვით ამ მოვლენის შესახებ კი არ გაუბამთ საუბარს, არამედ მასთან დაკავშირებულ გრძნობებს შეეხებით.

ექვსი წლის ფლორამ დაიჩვილა, რომ „ბოლო დროს“ მის ძმას უფრო ხშირად ასაჩუქრებენ. დედამ არ უარყო ეს ბრალდება. იმის ახსნაც არ დაუწყია, რომ ძმა უფროსია და მეტ საჩუქრებსაც ამიტომ ღებულობს. არც ამ უსამართლობის გამოსწორებას შეჰპირებია. მან კარგად იცოდა, რომ ბავშვს ამ შემთხვევაში საჩუქრები კი არა, არამედ მშობლების მასთან დამოკიდებულება აღელვებდა, ამიტომ შვილს უთხრა:

— შენ გგონია, რომ ისე ძალიან არ მიყვარხარ, როგორც შენი ძამიკო? — და ყოველგვარი ზედმეტი მსჯელობის გარეშე შვილი გულში ჩაიხუტა.

გოგონამაც მაშინვე ბედნიერი ღიმილით უპასუხა. ასე დამთავრდა ეს საუბარი. სხვა შემთხვევაში კი იგი შეიძლებოდა დაუსრულებელ კამათში გადაზრდილიყო.

მოვლენიდან გრძნობამდე. შვილი წლის გლორია შინ ძალზე აღელვებული დაბრუნდა. მან დედას უამბო, მის მეგობარ დორის ბიჭებმა ტროტუარიდან ტალახში როგორ უბიძგეს. დედამ წვრილმანების გამოკითხვის ნაცვლად, თანაგრძნობით შენიშნა:

— ალბათ როგორ ინერვიულე...

— გაბრაზდი, არა იმ ბიჭებზე?

— შენ ისევ ბრაზობ მათზე.

ამ ყველაფერზე გოგონა დადებითად პასუხობდა, მაგრამ როდესაც დედამ ჰკითხა — არ გეშინია, იმ ბიჭებმა შენც რომ გადაგაგდონო, გლორიამ მტკიცედ წამოიძახა „აბა ერთი გაბედონ, თან გადავიტრეფ და ტალახში ისეთ ზღარათანს მოვადენინებ...“ და ამ სურათის წარმოდგენაზე გოგონამ ხმამაღლა გადაიკისკისა. საუბარი წარმატებით დასრულდა, თუმცა, დედას რომ შესაფერი ალლო არ გამოეჩინა, გლორიასათვის ის მოსაწყენ შეგონებად გადაიქცეოდა.

ზოგადიდან პირადულამდე. როდესაც ბავშვი საკუთარი თავის, საკუთარი შესაძლებლობების შეფასებას იწყებს, მაშინვე არ უნდა დავეთანხმოთ, ისეთი შენიშვნები უნდა მივცეთ, რომლებიც ბავშვს დაანახვებენ, რომ ჩვენ ყველაფერი გვესმის.

როცა ბიჭი ამბობს, არითმეტიკაში მიჭირსო, არაფრისმთქმელი იქნება ამგვარი პასუხი — „მართალი ხარ, თვლა არ იცი“. არავითარი შედეგი არ ექნება საწინააღმდეგოს მტკიცებასაც, ანდა ცდას, რომ როგორმე იოლად გავიდეთ ასეთი რჩევით: „უფრო მეტს რომ მეცადინეობდე, საქმე უკეთესად წავიდოდა“. ნაჩქარევად მიცემული ამგვარი „რჩევა“ ბავშვს მხოლოდ უჭრობს საკუთარი ძალებისადმი რწმენას, ამასთან ეცდება შემდგომში აღარ გაგიზიაროთ გულისნადები.

თუ ბავშვი გეტყვით, არითმეტიკა მიჭირსო, მის სიტყვებს თანაგრძნობით უნდა მოექიდოთ. პასუხები დაახლოებით ასეთი უნდა იყოს:

— ჰო, არითმეტიკა ძნელი საგანია.

— ზოგი მაგალითი ძალიან ძნელი ამოსახსნელია.

— ალბათ ერთი სული გაქვს, გაკვეთილი როდის დამთავრდება.

— ზარი რომ დაირეკება, ალბათ შვევით ამოისუნთქავ ხოლმე, არა?

— შენ ალბათ გეშინია, რომ იმედს გავვიცრუებ.

— ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომ ძნელი საგნებიც არსებობს.

— დარწმუნებული ვარ, ყველაფერს გააკეთებ, რაც შეგიძლია.

ერთმა თორმეტი წლის მოსწავლემ ისიც აღიარა, რომ „სახტად დარჩა“, როცა მამამისი ასე გამგებინაოდ შეხვდა მის ორიანს. ბიჭმა მაშინვე სიტყვა მისცა საკუთარ თავს, რომ ნიშანს გამოასწორებდა.

ზოგიერთი ბავშვი მშობლებს უცხადებს, უნიჭო ვარო და ისინიც მაშინვე მთელი მონდომებით ცდილობენ გადაარწმუნონ და დაამშვიდონ იგი, მაგრამ ასეთი იძულებით ბავშვს აზრს ვერ შეაცვლევინებ. ერთმა ბიჭმა ასე უთხრა მამას: „ვიცი, შენ ეგ სიკეთით მოგდის, მაგრამ არც ისეთი სულელი ვარ, რომ დავიჯერო, თითქოს ნიჭიერი ვიყო“.

თუ ბავშვი საკუთარ შესაძლებლობებს უარყოფითად აფასებს, ყველაზე უკეთესი იქნება, თუკი დავარწმუნებთ, რომ გვესმის, როგორი რთული გრძნობებია იმლება ასეთი უბრალო მტკიცების მიღმა:

შვილი: მე უნიჭო ვარ.

2. პაიბ ჯ. ჯანიოტი



დვილესი ვართ, შეულამაზებელს და დაუმახინჯებელს. ჩვენ ზომ სარკისგან რჩევა-დარიგებებს არ ველით!

ამგვარი „ემოციების სარკის“ ამოცანაა აირეკლოს გრძნობები მთელი სისხვასით და დაუმახინჯებლად.

— მგონი, შენ ძალიან გაბრაზდი.

— იმას ვერ იტან, არა?

— ალბათ, ეს ყველაფერი სულაც არ მოგწონს.

ბავშვს ასეთი მტკიცებები ძალიან ეხმარება. ასეთი შენიშვნები ზუსტად აღნიშნავს იმ გრძნობებს, რომლებსაც იგი განიცდის. ახლა მას თვითონ შეუძლია გაერკვეს, როგორ მოიქცეს შემდეგში.

თ ა ვ ი II

ვაკრიტიკებთ და ვაყვებით ახლებურად

ვინ შევაკოთ: ბავშვი თუ მისი საყვარელი?

ბევრ მშობელს სჯერა, რომ შექება ბავშვს საკუთარი თავისადმი რწმენის განმტკიცებაში ეხმარება. სინამდვილესი ქება შეიძლება ნევროზულობამდე, ბავშვის ცუდ საქციელამდე მიგვიყვანოს. რატომ? იმიტომ, რომ რაც უფრო მეტ დაუმსახურებელ ქებას დებულბს ბავშვი, მით უფრო მძაფრად ილტვის გამოავლინოს თავისი „ჭეშმარიტი ბუნება“. მშობლები ხშირად ჩივიან: „საკმარისია ბავშვი შევაქოთ, რომ მაშინვე აიწყვიტოს, თითქოს ქების გაბათილებას ცდილობს“.

როგორ შეიძლება და როგორ არ შეიძლება შეყვება

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ შექება „მოძველდა?“ სრულებითაც არა, თუმცა არც მისი წამდაუწუმ და განუკითხავად გამოყენება ვარგა. წამლები ავადმყოფს ექიმის რეკომენდაციით ენიშნება. ექიმი ნიშნავს წამლის მიღების დროსა და დოზებს, რადგან ითვალისწინებს სხვადასხვა წინააღმდეგობებს, ალერგიული რეაქციის შესაძლებლობას. ასევე ფრთხილად უნდა მოვეპყრათ სხვა ტიპის ძლიერმოქმედ „წამალს“ — შეფასებას. შექება შეიძლება მხოლოდ ბავშვის საქმიანობისა ან საქციელისა და არა თვითონ მისი.

აი, მაგალითი, რომელიც გვიჩვენებს, როგორ უნდა შევაქოთ ბავშვი: რვა წლის ჯიშმა ბაღში კარგად იმუშავა — ფოცხით ფოთლები მოხვეტა, ნაგავი გადაყარა და სამუშაო იარაღები აკურატულად დააწყო თავის ადგილზე. დედას მოეწონა შვილის ნაშრომი და ეს შემდეგნაირად გამოხატა:

დედა: ბაღი ისეთი ჭუჭყიანი იყო, არც კი მეგონა ერთ დღესი თუ შეიძლებოდა მისი მოწესრიგება.

ჯიშმი: მე კი შევეძელი!

დედა: ფოთლებითა და ნაგვით იყო საფხვე!

ჯიშმი: მე სულ მოვასუფთავე!

დედა: აი, მესმის ნამუშევარი!

ჯიშმი: ჰო, ადვილი კი არ იყო.

დედა: როგორ გალამაზდა ჩვენი ბაღი, ადამიანს ყურება სიამოვნებს.

ჯიშმი: გასუფთავდა.

დედა: გმადლობ, შვილო.

ჩიმი (გულლიად ელიმება): არაფრის.

დედამ შეაქო შვილის ნამუშევარი და ბიჭმა იგრძნო სიამაყე და სიხარული იმის გამო, რომ ეს ნამუშევარი მისი იყო. იმ საღამოს იგი მოუთმენლად ელოდებოდა მამის შინ დაბრუნებას, რათა მისთვის სუფთა ბადე ეჩვენებინა და კვლავ ეგრძნო სიამაყე საკუთარი შრომის გამო.

ის შექება კი, რომელიც თვით ბავშვს აფასებს არა მის საქციელს, მხოლოდ მავნებელია:

- შენ გადასარევი შვილი ხარ.
- დედის ნამდვილი მარჯვენა ხელი ხარ.
- რა უნდა ექნა დედას უშენოდ?

ასეთი კომენტარები ყმაწვილში მხოლოდ ეჭვსა და განგაშს გამოიწვევს. მან ხომ იცის, რომ არც ისეთი „გადასარევი“ და სულაც არ შეუძლია ყოველთვის ასეთი სანიმუშო შვილი იყოს. ამიტომ სანამ სხვები „ამხელენ“, ცდილობს თვითონ დაასწროს და რაიმე ონაერული საქციელით სასწრაფოდ მოიწიროს მხრებიდან მძიმე ტვირთი.

შექება ისევე ჭრის თვალს და ისევე აბრმავებს, როგორც თავარა მზე. ბავშვი უხერხულად გრძნობს თავროცა მას მშვენიერს, საყვარელს, კეთილს, თავმდაბალ უწოდებენ. სასოწარკვეთილი გრძნობს, რომ როგორმე თუნდაც ნაწილობრივ მაინც უნდა გააქარწყლოს ეს შექება. ეუხერხულება ამ ქების მიღება. „გმადლობ მე მართლაც ასეთი ვარ“. შინაგანი ხმა ჩიუტად ეჩიხინება, რომ არ შეიძლება სერიოზულად უთხრა სა

კუთარ თავს: „მე გადასარევი ვარ: კეთილიც ვარ, ძლიერიც, გულუხვიცა და თავმდაბალიც“.

ბავშვი არამართო უკუაგდებს ქებას, არამედ მასზე, ვინც მას აქებს, დაახლოებით ასე ფიქრობს: „მე თუ ამას ასეთი კარგი ვგონივარ, მაშინ არც თვითონ ყოფილა დიდი ვინმე“.

ჩვენი ნათქვამი და ბავშვთა დასკვნები

მასხადამე, უნდა შევავით ბავშვის საქმიანობა, საქციელი და არა თვითონ იგი. კომენტარი ისე უნდა ავიკეთო, რომ ყმაწვილებმა თავადვე გამოიტანონ დადებითი დასკვნები საკუთარ თავსა და შესაძლებლობებზე.

ათი წლის კენი მამას სარდაფის დალაგებაში ეხმარებოდა. მუშაობის დროს მას მძიმე ავეჯის გადატანა მოუხდა.

მამა: ძალიან მძიმე დაზგა იყო, არ გინდოდა მაგის გაწევა?

კენი: მე კი გავწიე!

მამა: სხვას წელს მოსწყვეტდა.

კენი (ხელს მოლუწნავს და კუნთს დაჭიმავს): მე ღონიერი ვარ!

ამ მაგალითში მამამ მხოლოდ ამოცანის სიძნელეზე მიანიშნა შვილს, იმან კი თვითონ გამოიტანა დასკვნა თავის შესაძლებლობებზე. მამას რომ ეთქვა: „რა ღონიერი ყოფილხარ, შვილო“, — კენი უპასუხებდა: „არა, მამა, ჩვენს კლასში ერთი ბიჭი ჩემზე ძლიერია“. ამას

მოწყვებოდა გულდასაწყვეტი და არაფრისმაქნისი კამათი.

როგორი წარმოდგენა აქვთ ბავშვებს საკუთარ თავზე

შექება ორი კომპონენტისაგან — ჩვენი სიტყვებისაგან და ბავშვის დასკვნებისაგან შედგება. ჩვენი სიტყვები ბავშვის საქმიანობისა და საქციელის მკაფიო დადებით შეფასებას უნდა გამოხატავდეს. ჩვენი მოსაზრებანი ყმაწვილამდე ისეთი ფორმით უნდა მივიტანოთ, რომ მან შეუცდომლად შეძლოს საკუთარ თავზე რეალისტური წარმოდგენის შექმნა. აი, რამდენიმე მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა ვაქოთ ბავშვები:

სწორი შექება: „დიდი მადლობა, რომ მანქანა გამოირეცხე, ახალივით ბზინავს!“

შესაძლო დასკვნა: „მე კარგად ვიმუშავე და ჩემი ნაშრომი დააფასეს!“

(არასწორი შექება: „ყოჩად მაგარი ხარ!“).

სწორი შექება: „შენი ლექსები ძალიან მომეწონა“.

შესაძლო დასკვნა: „კარგია, რომ ლექსების წერა შემიძლია“.

(არასწორი შექება: „შენი ასაკისათვის ცუდად არ წერ“).

სწორი შექება: „წიგნების ლამაზი კარადა გაგიკეთებია“.

შესაძლო დასკვნა: „მე შემიძლია დურგლობა“.

(არასწორი შექება: „შენ კარგი დურგალი ყოფილხარ“).

სწორი შექება: „დიდი მადლობა, ჭურჭელი სულ დაგირეცხია“.

შესაძლო დასკვნა: „დედას დავეხმარე“.

(არასწორი შექება: „ეს ჭურჭელი შენ დედაზე უკეთ დაგირეცხია“).

სწორი შექება: „შენს თხზულებაში საინტერესო აზრებია“.

შესაძლო დასკვნა: „ორიგინალურად წერა შემძლებია“.

(არასწორი შექება: „შენს ასაკთან შედარებით ცუდად არ წერ, მაგრამ კიდევ ბევრი სწავლა მოგიწევს“).

იმას, რასაც ბავშვი ჩვენი სიტყვების პასუხად საკუთარ თავზე იტყვის, მოგვიანებით ფიქრშიაც გაიმეორებს. ეს შინაგანი შეფასებები მნიშვნელოვან წილად განსაზღვრავს ბავშვის წარმოდგენას საკუთარ თავსა და გარემო სამყაროზე.

როდის არის კრიტიკა სასარგებლო და როდის — საზიანო

როდის არის კრიტიკა სასიკეთო და როდის საზიანო? სასიკეთო კრიტიკა იმით შემოიფარგლება, რომ მიუთითებს თუ რა უნდა გაკეთდეს, როგორ უნდა გაკეთდეს და მთლიანად გამორიცხავს ბავშვის პიროვნების უარყოფით შეფასებას.

ათი წლის ლარიმ საუბრისას შემთხვევით ჭიქა რძე დაღვარა.

დედა: პატარა ხომ აღარა ხარ, ჭიქის დაჭერა რომ

არ შეგიძლია? რამდენჯერ ვითხარი ფრთხილად იყავი-
მეთქი!

მამა: სულ ასეთი მოუქნელი იყო და ასეთი და-
რჩება.

ღიან, ლარიმ ჭიქა რძე დაღვარა, მაგრამ დაცინვა რა
შუაშია?! მშობლებმა არ იციან, რომ ეს დაცინვა ძა-
ლიან ძვირად — შვილის ნდობის დაკარგვის ფასად და-
უჯდებათ.

სულაც არ არის საჭირო ასეთ დროს შვილს გამო-
უცხადოთ თუ რას ფიქრობთ მასზე. ასეთი შემთხვევე-
ბისას ყმაწვილის საქციელი უნდა განსაჯოთ და არა
მისი პიროვნება.

რა ვინაო, როცა ბავშვი ცუდად იქცევა?

როდესაც რვა წლის მარტინმა მაგიდაზე რძე და-
ღვარა, დედა წამოდგა, ყმაწვილს ფინჯანი ხელმეორედ
შეუვსო და ჩვარი მშვიდად მიაწოდა. მარტინმა დედას
გაოცებით შეხედა, მერე შევებით ამოისუნთქა და ჩაი-
ლულლულა: „გმადლობთ, დედიკო“. დედის დახმარე-
ბით მან მაგიდა გადაწმინდა, დედამ კი მთელი მონდო-
მებით შეიკავა თავი მკაცრი შენიშვნებისაგან. ასე რომ
არ მოქცეულიყო, მასაც და მის შვილსაც გუნება გა-
უფუჭდებოდათ, თანაც დიდი ხნით.

როგორ იწყება კარისხალი

ბევრ ოჯახში მშობლებსა და შვილებს შორის ჩხუბი
წინასწარ ცნობილი თანმიმდევრობით ვითარდება. აი,

ბავშვმა რაღაც ისეთი თქვა ან ჩაიდინა და მშობლებმაც
არ დააყოვნეს, მაშინვე საწყენი სიტყვებით უბასუხეს.
ამაზე ბავშვი უფრო ცხარდება და მშობლებიც იწყებენ
ყვირილს, მუქარას, ცოტაც და ცემა-ტყეპა გაიმართება.
ცხრა წლის ნათანიელი ჩაის ფინჯნით თამაშობდა.

დედა: იცოდე, გატეხავ!

ნათანიელი: არ გავტეხავ!

დედა: გატეხავ-მეთქი!

ნათანიელი: არ...

უეცრად, ფინჯანი იატაკზე დავარდა და გატყდა.

დედა: აი, ხომ ვითხარი! დამბლა გაქვს ხელეშში,
რა... გაუტეხავი არაფერი გრჩება.

ნათანიელი: შენ თვითონა გაქვს დამბლა, დაგა-
ვიწყდა მამას ელექტროსამართებელი რომ გაუტეხე?

დედა: დედას როგორ ელაპარაკები, უზრდელი!

ნათანიელი: შენ თვითონა ხარ უზრდელი, შენ
პირველმა დაიწყე.

დედა: ახლავე გაჩუმდი და გადი შენს ოთახში!

ნათანიელი: არ გავალ!

მოთმინებიდან გამოსულმა დედამ შვილს ხელი სტა-
ცა და გვარიანად გაასილაქა. ბიჭი ცდილობდა დედას
ხელიდან გასხლტომოდა, ამიტომ ხელი ჰკრა, ქალმა
თავი ვერ შეიკავა, შემინულ კარს დაეჯახა და წაიქცა.
შუშა გატყდა და ქალს ხელი გაეჭრა. სისხლის დანახვა-
ზე ნათანიელი დაფრთხა და სახლიდან გავარდა. გვიან
დამემდეგ ვერ იპოვეს. ადვილი წარმოსადგენია, როგორ
ინერვიულებდნენ მშობლები.

მნიშვნელობა არა აქვს, ისწავლა თუ არა ნათანი-

ელმა ჭურჭლის გაფრთხილება, მთავარია, რომ მან „უარყოფითი“ გაკვეთილი მიიღო, თუ როგორ არ უნდა მოქცეოდა დედას. მაგრამ აუცილებელი იყო ეოჯახური ქარიშხალი? შეიძლებოდა თუ არა მისი თავიდან აცილება?

როცა დაინახა, რომ მისი შვილი ფინჯნით თამაშობდა, დედას ფინჯანი უნდა გამოერთმია, თავის ადგილზე დაედო, ბავშვისთვის კი რაიმე სხვა, მაგალითად ბურთი მიეცა. ან, როცა ჭიქა უკვე გატეხილი იყო, დედას შეეძლო შვილს ნამტვრევების აკრეფაში მიხმარებოდა და რაიმე ამის მსგავსი ეთქვა „ფინჯანი ადვილად ტყდება. ვინ იფიქრებდა, რომ ამ ფინჯანს ამდენი ნამტვრევი ექნებოდა?!“

„უქარიშხლობით“ გაცემული და გახარებული ნათანიელი, ადვილი საფიქრებელია, მაშინვე სთხოვდა დედას პატიებას თავისი საქციელის გამო. თავისთვის კი შემდეგ დასკვნას გამოიტანდა: „ფინჯანი სათამაშოდ არ არის გაკეთებული“.

წვრილ უსიამოვნებებთან შეჯახებით ბავშვები „ღიდი“ ცხოვრებისეული საფუძვლების გაკვეთილებსაც ღებულობენ. მშობლები უნდა დაეხმარონ შვილებს, რათა მათ განასხვავონ უბრალო უსიამოვნება ტრაგედიისა ან კატასტროფისაგან. ხშირად თვითონ მშობლები არასწორად რეაგირებენ მოვლენებზე. გატეხილი საათი მოტეხილი ფეხი როდია, არც ჩამსხვრეული მინაა გაბზარული გული! ბავშვებთან დაახლოებით ასე უნდა ვილაპარაკოთ:

— ხელთათმანი ისევ დავგიკარგავს. საწყენია, ის ხომ

ფული ღირს. სამწუხაროა, რა თქმა უნდა, თუმცა არც ტრაგედია არ არის.

შვილმა თუ ხელთათმანი დაკარგა, ამისათვის არ ღირს კარგი განწყობილების წახდენა, ხოლო თუ პერანგი დაიხია, არ არის საჭირო ძველბერძნული ტრაგედიის გმირების დარად სიბრაზისაგან ტანზე ტანისამოსი ჩეენც შემოვიხიოთ.

შეურაცხყოფა — რა იმალევა მის უკან?

შეურაცხყოფა მოწამლული ისარია, მისი გამოყენება მტრის წინააღმდეგ კი შეიძლება, მაგრამ შვილის საწინააღმდეგოდ ნურასოდეს გამოიყენებთ. თუ ვიტყვით, რა უშნო სკამიაო, სკამს ამით არაფერი დაუშვავდება, იგი არც შეურაცხყოფას იგრძნობს და არც უხერხულობას. იღვება იქ, სადაც დადგეს და ყურადღებას არ მიაქცევს თქვენს ნათქვამს. მაგრამ როგორც კი მოუქნელს, ბრიყვსა და უშნოს ბავშვს ვუწოდებთ, მას მაშინვე რალაც ემართება: განიცდის, ბრაზობს, ზიზღის გრძნობითა და შურისძიების წყურვილით ივსება. ამას თან დანაშაულის გრძნობაც ეუფლება, რასაც თავის მხრივ სასოწარკვეთილებამდე მიჰყავს. მთელი ეს „ჩაჭვური რეაქცია“ ბავშვსაცა და მის მშობლებსაც ერთი ხელის დაკვრით აუბედურებს.

როდესაც ბავშვს წამდაუწუმ უმეორებენ, რა მოუქნელი ხარო, თავიდან შეიძლება შეეკამათოს — სულაც არაო, მაგრამ რაკილა ბავშვები საერთოდ ყურად იღებენ ხოლმე მშობლების აზრს, ბოლოს და ბოლოს თვი-

თონაც დაიჭერებს, რომ მოუქნელია. მაგალითად, თამაშის დროს თუ წაიქცა, საკუთარ თავს თავადვე ეტყვის, რა მოუქნელი ხარო. მერე კი ეცდება, რომ ისეთ მოძრავ თამაშებს, რომლებსაც სისხარტე სჭირდება თავი აარიდოს, რადგანაც დარწმუნებულია თავის მოუქნელობაში.

როცა მშობლები და მასწავლებლები დაუსრულებლად უმეორებენ ბავშვს — ბრიყვი ხარო, ბოლოსდაბოლოს თვითონაც დაიჭერებს ამას და საერთოდ აღარ გამოამყდავენებს თავის გონებრივ მონაცემებს, რათა ამით არასასურველი დაცინვა თავიდან აიცილოს. იგი იმიტაც მოხარული იქნება, თუკი თავს დაანებებენ მისი დევნიზი გახდება: „ნურაფერს ეცდები და წარუმატებლობაც არ იქნება“.

მშობლის რისხვა

ბავშვობაში ჩაგვიჩინებდნენ განრისხება არ ვარგაო და ჩვენც რაც ძალი და ღონე გვაქვს, ვცდილობთ სიმშვიდე შევინარჩუნოთ. მაგრამ ადრე თუ გვიან მოთმინება მაინც გვღალატობს და რადგან ვიცით, რომ ჩვენმა გაბრაზებამ შეიძლება ბავშვს ვნება მოუტანოს, ბრაზს ისე ვიკავებთ, როგორც სუნთქვას მარგალიტის მაძიებელი.

ბრაზი, ისევე, როგორც სურდო, არსებითი პრობლემა გახლავთ, რომლის მიფუჩეჩება არამც და არამც არ შეიძლება. ყოველთვის როდი ვახერხებთ განრისხების თავიდან აცილებას, მიუხედავად იმისა, რომ გა-

ბრაზება მსგავს სიტუაციებში იჩენს თავს და თითქოს წინასწარ დაგეგმილი კანონზომიერებითაც ვითარდება.

განრისხებისას გონებას ვკარგავთ: ბავშვებს ისე იმპიცივით, როგორც მოსისხლე მტრებს — შეურაცხყოფით, ვუყვირით და საკმაოდ უკადრისად მოვისხელობთ. როცა რისხვა გაგვივლის, მაშინლა ვაცნობიერებთ საკუთარ საქციელს და თავს საზეიმოდ პირობას ვადლევეთ, რომ ეს აღარ განმეორდება. მაგრამ ცოტა ხანში ბრაზი კვლავ იფეთქებს და ჩვენი მშვენიერი განზრახვა უკვალოდ ქრება.

ისეთი პირობა არ უნდა დადო, რომელსაც ვერ შეასრულებ — ამას მხოლოდ ცეცხლზე ნავთის დასხმა შეუძლია. რისხვა ქარიშხალს ჰგავს, მას თავს ვერ დააღწევ, მაგრამ მზად კი უნდა იყო და ელოდებოდე. ყველაფერს კი ისა სჯობს, სანამ აფეთქება მოხდება, მანამ გაანეიტრალე იგი.

მშობლის რისხვას ბავშვის აღზრდაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. აღმზრდელობითი საშუალებების არსენალიდან რისხვას მხოლოდ ისინი გამორიცხავენ, ვისაც თავის შვილზე უკვე ხელი აქვს ჩაქნული. მთავარია ვიცოდეთ, თუ როდის უნდა გავბრაზდეთ. არაფრად ივარგებს, თუკი ბავშვს რისხვას უმიზეზოდ დავატებთ თავს. გაბრაზება ამგვარ გაფრთხილებას უნდა ნიშნავდეს: „ჩემს მოთმინებასაც საზღვარი აქვს“.

თავიდან რომ ავიცილოთ წამდაუწუმ წივილ-კივილი, წინასწარ უნდა ვიცოდეთ, რომ ეს საკმაოდ ძვირი დაგვიჯდება. გაბრაზება მაშინ არის გამართლებული, როცა თქვენ შვებას მოგვკრით, თქვენს შვილს კი რაიმეში

სასიკეთოდ გამოადგება. თანაც რომელიმე მხრილ უკურნაქცია სავსებით გამოირიცხული უნდა იყოს. მაგალითად ბავშვი მისი მეგობრების თანდასწრებით არასოდეს არ უნდა გავთათხოთ, თუმცა, თითქოს ჯიბრზეო, სწორედ მეგობრების დასაანახად იქცევინ ისინი გასაკუთრებით გამომწვევად. მაგრამ, რა დასაძალია და მშობლები მაინც არა ვართ ამ გაცვეთილი სქემის მიმხრენი: ბრაზი — აფეთქება — დასჯა — შურისძიება პირიქით, ჩვენ უფრო მეტად გვინდა, რომ ტყვიისფერ ღრუბლები რაც შეიძლება სწრაფად გაიფანტოს.

გზა სიყვარლისა და მშვიდობისაკენ

დაძაბული სიტუაციისათვის რომ მოვემზადოთ, შემდეგი ჭეშმარიტებანი უნდა ვაღიაროთ:

1. სრულიად ბუნებრივია, რომ ბავშვის ცული საქციელი ჩვენს განრისხებას იწვევს.

2. ჩვენ გვაქვს ვაბრაზების უფლება. ამის გამო სულაც არ უნდა შეგვაწუხოს დანაშაულისა და სირცხვილის გრძობამ.

3. სრული უფლება გვაქვს გამოვხატოთ საკუთარი გრძობები, ოღონდ ერთი პირობით: განრისხებისას არ უნდა შევეხოთ ბავშვის პიროვნებასა და მის ხასიათს.

აი, კონკრეტული რჩევები, რომლებიც მშობლებს თავიანთ შვილებთან მშვიდობიანი თანაარსებობის გზას უჩვენებენ:

პირველი ნაბიჯი: გასაგებად უნდა გამოვხატოთ ჩვენი გრძობა, ეს გამაფრთხილებელი ნიშანი იქნება მისთვის.

თვის, ვისაც ეს გრძობა ეხება — „ფრთხილად, შეჩერების დროა!“

— მე ძალიან უკმაყოფილო ვარ!

— იცოდე, ვავბრაზდები!

თუ ამან „ქარიშხლის“ განმუხტვას არ უშველა, მოქმედებას განვაგრძობთ.

მეორე ნაბიჯი: უკმაყოფილებას უფრო დაჟინებით გამოვხატავთ.

— ვბრაზობ!

— ძალიან ვაბრაზებული ვარ!

— მე ძალიან, ძალიან ვაბრაზებული ვარ!

ზოგჯერ შეიძლება ბავშვი ჩვენი ვაბრაზების მიზეზის აუხსნელადაც დაგვემორჩილოს, მაგრამ თუ ასე არ მოხდა, უნდა გადავიდეთ შემდეგ ეტაპზე.

მესამე ნაბიჯი: ახლა საჭიროა ჩვენი განრისხების მიზეზი ავხსნათ.

— როცა ვხედავ, რომ ფეხსაცმელები, წინდები, პერანგები და ჭეშმრები მთელს ოთახშია მიმოფანტული, ძალიან ვბრაზდები, მინდა ფანჯარა გამოვადო და ეს ყველაფერი ქუჩაში გადავყარო!

— მე ძალიან გემრიელი სადილი მოვამზადე. ჩემის აზრით, ის ქებას იმსახურებს და არა ზიზღს!

ამგვარი მიდგომა მშობლებს საშუალებას აძლევს გამოსავალი მისცენ თავიანთ ბრაზს და თან ზიანიც არავის მიაყენონ. ბავშვები დაინახავენ, რომ ბრაზი ძალზე მშვიდად შეიძლება გამოიხატოს და მაშასადამე, თვითონაც შეიძლება ასე მოიქცნენ. მაგრამ ბავშვს რომ ეს გადავებინოთ, გაცილებით მეტია საჭირო. დედ-მამამ მას

საკუთარი ემოციებისა და ბრაზის განმუხტვის სხვა გზებიც უნდა ასწავლოს. დაწვრილებით ამ თემაზე ჩვენ მესხეთე თავში ვისაუბრებთ.

თავი III

პატივი ეცით ბავშვს და საკუთარ თავს

ზოგჯერ, ბავშვის აღზრდისას ჩიხში ვემწყვდევით და თავს დამარცხებულად ვლიარებთ, რადგან განსაკუთრებული საშუალებების გამოყენების შემდეგ ვხედავთ რომ ისინი არამც თუ გვახლოებენ მიზანთან, არამედ ვნება მოაქვთ ჩვენთვისაც და ჩვენი შვილებისთვისაც ეს საშუალებებია: მუქარა, წინასწარი პირობა, დაპირებანი, მწარე შენიშვნები, ტყუილსა და სხვისი ნივთების ქურდობაში დადანაშაულება.

შუპარას სიჯიუტეში იმპაპარტი

ბავშვები მუქარას ხშირად ისე იღებენ, როგორ აკრძალული მოქმედების გამეორების შეთავაზებას. რადესაც ვეუბნებით: „კიდევ ერთხელ გიქნია!“ ბავშვმხოლოდ „კიდევ ერთხელ“ ესმის და ფიქრობს: „დედა უნდა, რომ მე ეს კიდევ ერთხელ გავაკეთო, თორემ ბრაზდება“.

ამ ჯურის გაფრთხილებანი უფროსებისთვისაა კარგი, ბავშვებისთვის კი სრულიად უშედეგოა. გაფრთხილება ბავშვის შინაგანი დამოუკიდებლობის გამოწვევაა. თუ ბავშვს ღირსების გრძნობა აქვს, იგი საკუთარ თავს და სხვებსაც დაუმტკიცებს, რომ სულაც არ არის დოკლაპია.

მიუხედავად დედის მრავალგზის გაფრთხილებისა, ხუთი წლის ოლივერი ბურტს მაინც ესროდა ფანჯრის მინას. ბოლოს მოთმინებადაკარგულმა დედამ უთხრა: „თუ კიდევ ერთხელ ესვრი, იცოდე დაისჯები!“ ამის თქმა იყო და ბურტმა მინა ჩაამსხვრია. აღვილი წარმოსადგენია, რა მოჰყვებოდა ამას... შემდეგი მაგალითი გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება დავაოკოთ გაუგონარი ბავშვი მუქარის გარეშე:

შვიდი წლის პიტერმა შესაშინებელი პისტოლეტი უმცროს ძმას ესროლა. დედამ უთხრა: „ძმას ნუ ესვრი, ნიშანში ისროლე“. პიტერმა ისევ ძმას ესროლა. მაშინ დედამ შვილს პისტოლეტი წაართვა და უთხრა: „ხალხს არ უნდა ესროლო“.

დედა სწორად მოიქცა. მან დაიცვა პატარა და ამასთან უფროს ვაჟიშვილს საზოგადოებაში მისაღები ქცევის ნორმები ასწავლა. პიტერი თავისი ცუდი საქციელის შედეგს საკუთარი ღირსების შეუღახავად მიხვდა. მას ასეთი ალტერნატივა შესთავაზეს: ან ნიშანში უნდა ისროლო, ანდა პისტოლეტს დაკარგავ.

ამ შემთხვევაში, ჩვეულებრივ გზაზე, რომელსაც ოველთვის ჩიხში მივყავართ, დედამ უარი თქვა: „გაერდი, პიტერ! უკეთესი ვერაფერი მოიფიქრე? ნუ ეს-

ვრი ძმას, ნიშანს ესროლეს! თუ კიდევ ერთხელ ესვრი, იცოდეს, პისტოლეტს თვალით ველარ ნახავ!“ ასეთ სიტყვებს ყველაზე ხშირად აკრძალული ქცევის გამეორება მოჰყვება ხოლმე.

პირდაპირი წაყენება საპირო არ არის

ნურასოდეს ეტყვიტ ბავშვს, რომ თუ ის თქვენთვის სასურველ მოქმედებას შეასრულებს, მაშინ რაიმე საჩუქარს მიიღებს:

- ძამიკოს თუ არ აწყენინებ, კინოში წაგიყვან.
- ამ ლექსს თუ ისწავლი, ნავით გაგასეირნებ.
- წიგნს თუ აღარ დახევე, საშობაოდ ველოსიპედს გიყიდი.

ამგვარ პრინციპს ზოგჯერ სწრაფი შედეგი მოაქვს, მაგრამ ასე ბავშვს ხეირიანს ვერაფერს ვასწავლით, რადგან ამგვარი ფრაზები ეჭვს შეიცავს: „ლექსს თუ ისწავლი“ ნიშნავს, „დარწმუნებული არა ვარ, რომ შენ ეს შეგიძლია“, „წიგნს თუ არ დახევე“ კი ცხადია, გულისხმობს: „დარწმუნებული არა ვარ, რომ ამისაგან თავის შეკავებას მოახერხებ“.

ხდება ასეც: ყმაწვილი ცუდად იქცევა. რა არის ამის მიზეზი? ბიჭი გვიხსნის: „თუკი დედაჩემს ეშინია ჩემი ცუდი საქციელისა, მაშინ რასაც მინდა, იმას გამოვტყუებ, მაგრამ რომ არ იფიქროს, ტყუილად ვასაჩუქრებო, ამიტომ, რა თქმა უნდა, საჭიროა, რომ ვიცელქო“.

ბავშვი თუ ამგვარად ფიქრობს, სულ მალე იგი

მშობლების შანტაჟირებას დაიწყებს, ანდა ეცდება როგორმე მოუტირდეს მათ და კარგი საქციელისათვის საჩუქარი მიიღოს. ხშირად მშობელი მოგზაურობიდან უსაჩუქროდ დაბრუნებას ვერ ბედავს. შვილები მათ სალმით კი არ ხვდებიან, არამედ კითხვით — „რა მომიტანე?“

კარგია მხოლოდ მოულოდნელი ჯილდოები, მხოლოდ ისინი ახარებს ბავშვს ყველაზე მეტად.

დაპირდაპირი და აუსაზღოვანი იმედიანი

ბავშვს არაფერს არ უნდა დაეპირდეთ და არც მათგან მოვითხოვოთ დაპირებანი.; რატომ ვაღებთ დაპირებას ტაბუს? იმიტომ, რომ ბავშვთან ურთიერთობა ნდობაზე უნდა იყოს აგებული. როდესაც მშობლებს საკუთარი ნათქვამის დაპირებებით გამაგრება უხდებათ, რათა მათ მნიშვნელობას გაუსვან ხაზი, ეს იმისი აღიარებაა, რომ დაპირებებს გარეშე მათ სიტყვას ფასი არა აქვს. დაპირებები ბავშვებს აუხდენელ იმედებს უჩენს. როდესაც ბავშვს ზოოპარკში წაყვანას დაპირდებიან, მას არ ძალუძს იმის გაგება, რომ იმ დღეს შეიძლება წვიმა წამოვიდეს, მამას მანქანა გაუფუჭდეს, ან მოულოდნელმა ავადმყოფობამ ლოგინში ჩააწვინოს. ცხოვრებაში ყოველთვის ისე როდი ხდება, როგორც ჩვენ გვსურს და ბავშვები თავს ხშირად მოტყუებულად თვლიან. ისინი აღარ ენდობიან მშობლების დაპირებებს. მუდმივი მისამღერი — „შენ ხომ დაპირდი“ — კარგად არას ცნობილი უფროსებისათვის, რომლებიც მოგვიანებით ნანობენ თავიანთ დაპირებებს.

არ შეიძლება ვთხოვოთ ბავშვს პირობა მოგვცეს, კარგად მოიქცეს ან თავი დაანებოს ცულ საქციელს. როდესაც ბავშვი სხვისი სურვილით იძლევა პირობას, იგი თითქოს იმ ბანკის ქვითარს წერს, სადაც ანგარიში არა აქვს გახსნილი.

ენაშარობა ურთიერთგაგების მხარია

ის მშობლები კი, რომელნიც ერთთავად სარკასტული შენიშვნებისათვის არიან მზად ფსიქიურად ნორმალურები არ უნდა იყვნენ. „სუსხიანი“ გამოთქმების შერჩევით ისინი თავიანთ თავსა და ბავშვს შორის გადაულახავ ზღვარს ქმნიან.

— დაყრუვდი? რამდენჯერ უნდა გაგიმეორო ერთი და იგივე?!

— ნუ უხეშობ! სად ისწავლე ასეთი უხეშობა, ქუჩაში? შენ რა გინდა წესიერ ოჯახში!

— რას აკეთებ, გაგიუდი? მორჩი მაიმუნობას! არა, შენგან აღამიანი არ გამოვა!

ასეთი მშობლები ნამდვილად ვერ ხვდებიან, რომ მათი შენიშვნები შეტევებია, რომლებიც კონტრშეტევებს იწვევენ. ბავშვები დაშვებულ შეცდომაზე კი არა, მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, დედ-მამას სამაგიერო როგორ გადაუხადონ.

ენაშარობასა და დაცინვას ბავშვის აღზრდაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს. თავი უნდა ავარიდოთ ამგვარ გამონათქვამებს:

— შენ ძალიან სწრაფად იზრდები.

— რამხელა თავი გაქვს!

— ძალიან დიდი წარმოდგენა გაქვს საკუთარ თავზე. არ ღირს შეილებზე საკუთარი ენამახვილობის გამოცდა. დაუშვებელია ბავშვის დამცირება როგორც საკუთარი თავის, ისე ამხანაგების წინაშე.

როდის ცრუობან ბავშვები

მშობლები ჯავრობენ, როცა ბავშვები ტყუიან, განსაკუთრებით მაშინ, როცა ტყუილი აშკარაა და ბავშვს ეს სახეზეც აწერია. ყმაწვილს მშობლები მოთმინებიდან გამოჰყავს, რადგან ამტკიცებს, საღებავისთვის ხელი არ მიხლიაო (ანდა შოკოლადი არ მიჭამიაო), როცა ლაქები მის პერანგზე (ტუჩებზე) საპირისპიროს ამტკიცებენ.

ტყუილის მიზეზი. ზოგჯერ ბავშვები იმიტომ ტყუიან, რომ სიმართლის თქმა არ შეიძლება. თუ ბავშვი დედას ეტყვის, ჩემს უმცროს ძმას ვერ ვიტანო, ამ სიმართლისათვის უეჭველად გაილახება, ზოლო თუკი შემდეგ აშკარა ტყუილს შესთავაზებს — ახლა კი ძალიან მიყვარსო, დედა უსათუოდ კოცნით დააჯილდოებს. როგორი დასკვნა უნდა გამოიტანოს ბავშვმა ამ შემთხვევიდან. ბავშვს ეგონება, რომ სიმართლის თქმა სისულელეა, სამაგიეროდ ტყუილი გაცილებით მომგებიანია და დედასაც მოსწონს, როცა ის ცრუობს.

თუკი გნებავთ ბავშვს გულწრფელობა ასწავლოთ, არა მხოლოდ „საამო“ ტყუილის, არამედ მწარე სიმართლის მოსასმენადაც მზად უნდა იყოთ.

ბავშვი პატიოსანი რომ აღზარდოთ, არამც და არამც არ უნდა აიძულოთ დაფაროს, შეალამაზოს საკუთარი გრძნობები. ჩვენი საპასუხო ქცევით უნდა დავარწმუნოთ იგი პატიოსნების უპირატესობაში.

როგორ ითქმის სიცრუით სიმართლე. თუ ბავშვებს სიმართლის გამო სჯიან, ისინი თავდაცვისათვის ცრუობენ. ტყუილი ზოგჯერ არაჩვეულებრივი, არარეალური შინაარსისაა, ისეთია, რაც არ ყოფნით ყოველდღიურ ცხოვრებაში. ასეთ შემთხვევაში ბავშვის ტყუილი მის სულიერ მდგომარეობას, მის შიშსა და იმედებს გვაცნობს. დაკვირვებულ მსმენელს ამგვარი ტყუილიდან სიმართლის შეტყობა არ გაუჭირდება.

როცა პატარა გვეუბნება, საშობაოდ პატარა, ცოცხალი სპილო მაჩუქესო, ასე უნდა ვუპასუხოთ: „მე ვიცი, რომ შენ ძალიან გინდა პატარა სპილო გყავდეს“. არ ღირს ბავშვს დაუმტკიცოთ, გინდა თუ არა ტყუილს მეუბნებიო.

- შენ გინდოდა, რომ სპილო გყოლოდა, არა?
- ალბათ, მთელი ზოოპარკი გინდა გქონდეს!
- შენ გინდა, რომ ყველა ცხოველი გყავდეს!

მუ გაგიჩვენეთ ბავშვს

მშობლებმა ბავშვებს ისეთი კითხვები არ უნდა დაუსვან, რომლებიც თავდაცვის მიზნით ტყუილს გამოიწვევს. ბავშვები ვერ იტანენ, როცა მშობლები დაკითხვას უწყობენ, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა ხვდებიან, რომ მათთვის ისედაც ყველაფერი ცნობი-

ლია. ბავშვებს არ უყვართ კითხვა-ხაფანგები, ისეთი კითხვები, რომლებსაც ან უგერგილო ტყუილით უნდა უპასუხოთ, ან ჩადენილი დანაშაულის უხალისო აღიარებით.

შვიდი წლის კვენტინმა მამის ნაჩუქარი ახალი თოფი გატეხა. ბიჭს შეეშინდა და ნატეხები სახლის სარდაფში დამალა. მამამ ეს ნატეხები იპოვა და შვილისაგან სიმართლის გამოძალვა დაიწყო, რამაც ისინი დიდ შეხლა-შემოხლამდე მიიყვანა:

მამა: სად არის შენი ახალი თოფი?

კვენტინი: არ ვიცი.

მამა: რაღაც დიდი ხანია, იმ თოფით აღარ გითამაშია.

კვენტინი: არ ვიცი, სად დაიკარგა.

მამა: მოძებნე ერთი, მინდა შევხედო.

კვენტინი: ალბათ ვინმემ მოიპარა.

მამა: ოხ რა მატყუარა ხარ! შენ თვითონ არ გატეხე ის თოფი! დამაცადე, ისე არ ჩაგივლის ეს ამბავი... ყველაზე მეტად ქვეყანაზე მატყუარები მეჭავრებიან.

მამამ კარგად შეახურა კვენტინი.

არადა ამის თავიდან აცილება შეიძლებოდა. იმის მაგივრად, რომ დაკითხვა მოეწყო, მამას შვილისათვის უნდა ეთქვა:

— ვხედავ, ახალი თოფი გატეხია.

— ჰო, დიდხანს არ გამოგადგა.

— აფსუსს, ძვირფასი სათამაშო იყო.

ბავშვი ამ შემთხვევიდან ასეთ დასკვნას გამოიტან-

და: „მამას ესმის ჩემი. მე შემიძლია ვუამბო მას ჩემი უსიამოვნებების შესახებ. უნდა გავუფრთხილდე მის ნაჩუქარ ნივთებს“.

როგორ ვასწავლოთ პატიოსნება

მშობლების დამოკიდებულება ტყუილის მიმართ ასეთი უნდა იყოს: ერთის მხრივ, არ უნდა მოვიტხოვოთ დანაშაულის აღიარება, არ უნდა მოვაწყოთ დამნაშავის დაკითხვები და სასამართლო. მეორეს მხრივ, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე უნდა ვუწოდოთ საგნებს თავისი სახელები. თუ მაგალითად ბავშვს დაავიწყდა ბიბლიოთეკაში წიგნის ჩაბარება, ასეთი კითხვები არ უნდა დავუსვათ: „ჩააბარე წიგნი? დარწმუნებული ხარ, რომ ჩააბარე? მაშ რატომ დევს ეს წიგნი მაგიდაზე?“

ამის ნაცვლად უნდა უთხრათ: „ვხედავ წიგნი ბიბლიოთეკაში ჯერ არ ჩაგიბარებია. უკვე დროა, ჩააბარო“.

თუ შევიტყობთ, რომ შვილმა არითმეტიკის საკონტროლო ცუდად დაწერა, არ უნდა შევეკითხოთ: „როგორ ჩაიარა საკონტროლო? ჰა, კარგად? ამჯერად ვეღარ მომატყუებ! შენს მასწავლებელს ველაპარაკე დავიცი, რომ ძალიან ცუდად დაგიწერია“.

ამის ნაცვლად ბავშვს პირდაპირ უნდა ვუთხრათ: „მასწავლებელმა მითხრა, რომ საკონტროლო ცუდად დაგიწერია. ძალიან განვიცდი და ვფიქრობ, როგორ დაგეხმარო“.

მოკლედ, არ უნდა გამოვიწვიოთ „ტყუილი თავ-

დაცვის მიზნით“ და ბავშვებისათვის მანის დაგებას თავი უნდა დავანებოთ. თუ ბავშვი მაინც ტყუის, ისტერიკის მოწყობა და ნოტაციების კითხვა აუცილებელი სულაც არ არის, უმჯობესია კარგად ავუხსნათ საქმის ვითარება — ბავშვი უნდა დარწმუნდეს, რომ მშობლის მოტყუება არაფერში სჭირდება.

„ქურდობის“ შესახებ

ხანდახან ბავშვებს შინ ისეთი ნივთები მოაქვთ, რომლებიც მათ არ ეკუთვნით. ამის აღმოჩენისას ნოტაციებითა და ცისკენ ხელების აპყრობით კი ნუ დაიწყებთ საქმის გარჩევას, ბავშვს მშვიდად, მისი ღირსების შეუღალავად აუხსენით, რომ სხვისი ნივთების აღება არ შეიძლება. აუცილებელია მშვიდი და კატეგორიული მტკიცება:

— ეს შენი კი არა, სხვისი მანქანაა. დაუბრუნე პატრონს.

— ეს სხვისი თოფია, დაუბრუნე, ვისაც გამოართვი.

თუ ბავშვი ტკბილელს აწაპნის და ჯიბეში დამალავს, მშვიდად უნდა გამოუცხადოთ: „შაქარყინული, რომელიც შენ აიღე, თავის ადგილას უნდა დადო“. თუ ბავშვი უარზე დადგა, არ ამიღიაო, ასევე მშვიდად უნდა გაუმეოროთ: „ეგ შაქარყინული აქ, მაღაზიაში დარჩება, დადე თავის ადგილზე“. თუ მაინც უარი განაცხადა, თქვენ თვითონ უნდა ამოაცალოთ ჯიბიდან და ადგილზე დააბრუნოთ, ამასთან დასძინოთ: „ეს შენი შაქარყინული არ არის“.

ბავშვი პატიოსანი რომ აღზარდოთ, არამც და არამც არ უნდა აიძულოთ დაფაროს, შეალამაზოს საკუთარი გრძობები. ჩვენი საპასუხო ქცევით უნდა დავარწმუნოთ იგი პატიოსნების უპირატესობაში.

როგორ ითქმის სიცრუით სიმართლე. თუ ბავშვებს სიმართლის გამო სჯიან, ისინი თავდაცვისათვის ცრუობენ. ტყუილი ზოგჯერ არაჩვეულებრივი, არარეალური შინაარსისაა, ისეთია, რაც არ ყოფნით ყოველდღიურ ცხოვრებაში. ასეთ შემთხვევაში ბავშვის ტყუილი მის სულიერ მდგომარეობას, მის შიშსა და იმედებს გვაცნობს. დაკვირვებულ მსმენელს ამგვარი ტყუილიდან სიმართლის შეტყობა არ გაუჭირდება.

როცა პატარა გვეუბნება, საშობაოდ პატარა, ცოცხალი სპილო მაჩუქესო, ასე უნდა ვუპასუხოთ: „მე ვიცი, რომ შენ ძალიან გინდა პატარა სპილო გყავდეს“. არ ღირს ბავშვს დავუმტკიცოთ, გინდა თუ არა ტყუილს მეუბნებიო.

- შენ გინდოდა, რომ სპილო გყოლოდა, არა?
- ალბათ, მთელი ზოოპარკი გინდა გქონდეს!
- შენ გინდა, რომ ყველა ცხოველი გყავდეს!

ნუ გამოიწვევთ ბავშვს

მშობლებმა ბავშვებს ისეთი კითხვები არ უნდა დაუსვან, რომლებიც თავდაცვის მიზნით ტყუილს გამოიწვევს. ბავშვები ვერ იტანენ, როცა მშობლები დაკითხვას უწყობენ, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა ხვდებიან, რომ მათთვის ისედაც ყველაფერი ცნობი-

ლია. ბავშვებს არ უყვართ კითხვა-ხაფანგები, ისეთი კითხვები, რომლებსაც ან უგერგილო ტყუილით უნდა უპასუხოთ, ან ჩადენილი დანაშაულის უხალისო აღიარებით.

შვიდი წლის კვენტინმა მამის ნაჩუქარი ახალი თოფი გატეხა. ბიჭს შეეშინდა და ნატეხები სახლის სარდაფში დამალა. მამამ ეს ნატეხები იპოვა და შვილისაგან სიმართლის გამოძალვა დაიწყო, რამაც ისინი დიდ შეხლა-შემოხლამდე მიიყვანა:

მამა: სად არის შენი ახალი თოფი?

კვენტინი: არ ვიცი.

მამა: რაღაც დიდი ხანია, იმ თოფით აღარ გითამაშია.

კვენტინი: არ ვიცი, სად დაიკარგა.

მამა: მოძებნე ერთი, მინდა შევხედო.

კვენტინი: ალბათ ვინმემ მოიპარა.

მამა: ოხ რა მატყუარა ხარ! შენ თვითონ არ გატეხე ის თოფი! დამაცადე, ისე არ ჩაგვივლის ეს ამბავი... ყველაზე მეტად ქვეყანაზე მატყუარები მეჭავრებიან.

მამამ კარგად შეახურა კვენტინი.

არადა ამის თავიდან აცილება შეიძლებოდა. იმის მაგივრად, რომ დაკითხვა მოეწყო, მამას შვილისათვის უნდა ეთქვა:

— ვხედავ, ახალი თოფი გაგტეხია.

— ჰო, დიდხანს არ გამოგადგა.

— აფსუსს, ძვირფასი სათამაშო იყო.

ბავშვი ამ შემთხვევიდან ასეთ დასკვნას გამოიტან-

და: „მამას ესმის ჩემი. მე შემძლია ვუამბო მას ჩემი უსიამოვნებების შესახებ. უნდა გავუფრთხილდე მის ნაჩუქარ ნივთებს“.

როგორ ვასწავლოთ პატიოსნება

მშობლების დამოკიდებულება ტყუილის მიმართ ასეთი უნდა იყოს: ერთის მხრივ, არ უნდა მოვითხოვოთ დანაშაულის აღიარება, არ უნდა მოვაწყოთ დამნაშავეის დაკითხვები და სასამართლო. მეორეს მხრივ, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე უნდა ვუწოდოთ საგნებს თავისი სახელები. თუ მაგალითად ბავშვს დაავიწყდა ბიბლიოთეკაში წიგნის ჩაბარება, ასეთი კითხვები არ უნდა დავუსვათ: „ჩააბარე წიგნი? დარწმუნებული ხარ, რომ ჩააბარე? მამ რატომ დევს ეს წიგნი მაგიდაზე?“

ამის ნაცვლად უნდა უთხრათ: „ვხედავ წიგნი ბიბლიოთეკაში ჭერ არ ჩაგიბარებია. უკვე დროა, ჩააბარო“.

თუ შევიტყობთ, რომ შვილმა არითმეტიკის საკონტროლო ცუდად დაწერა, არ უნდა შევეკითხოთ: „როგორ ჩაიარა საკონტროლომ? ჰა, კარგად? ამჯერად ველარ მომატყუებ! შენს მასწავლებელს ველაპარაკე დავიცი, რომ ძალიან ცუდად დაგიწერია“.

ამის ნაცვლად ბავშვს პირდაპირ უნდა ვუთხრათ: „მასწავლებელმა მითხრა, რომ საკონტროლო ცუდად დაგიწერია. ძალიან განვიცდი და ვფიქრობ, როგორ დაგებმარო“.

მოკლედ, არ უნდა გამოვიწვიოთ „ტყუილი თავ-

დაცვის მიზნით“ და ბავშვებისათვის მახის დაგებას თავი უნდა დავანებოთ. თუ ბავშვი მაინც ტყუის, ისტერიკის მოწყობა და ნოტაციების კითხვა აუცილებელი სულაც არ არის, უმჯობესია კარგად ავუსხნათ საქმის ვითარება — ბავშვი უნდა დარწმუნდეს, რომ მშობლის მოტყუება არაფერში სჭირდება.

„ქურდობის“ შესახებ

ხანდახან ბავშვებს შინ ისეთი ნივთები მოაქვთ, რომლებიც მათ არ ეკუთვნით. ამის აღმოჩენისას ნოტაციებითა და ცისკენ ხელების აპყრობით კი ნუ დაიწყებთ საქმის გარჩევას, ბავშვს მშვიდად, მისი ღირსების შეუღახავად აუხსენით, რომ სხვისი ნივთების აღება არ შეიძლება. აუცილებელია მშვიდი და კატეგორიული მტკიცება:

— ეს შენი კი არა, სხვისი მანქანაა. დაუბრუნე პატრონს.

— ეს სხვისი თოფია, დაუბრუნე, ვისაც გამოართვი.

თუ ბავშვი ტყუილულს აწაპნის და ჭიბეში დამალავს, მშვიდად უნდა გამოუტყხადოთ: „შაქარყინული, რომელიც შენ აიღე, თავის ადგილას უნდა დადო“. თუ ბავშვი უარზე დადგა, არ ამიღიარო, ასევე მშვიდად უნდა გაუთმეოროთ: „ეგ შაქარყინული აქ, მაღაზიაში დარჩება, დადე თავის ადგილზე“. თუ მაინც უარი განაცხადა, თქვენ თვითონ უნდა ამოაცალოთ ჭიბიდან და ადგილზე დააბრუნოთ, ამასთან დასძინოთ: „ეს შენი შაქარყინული არ არის“.

სწორი შეკითხვა და ნათელი მტკიცება. თუ დარწმუნებული ხართ, რომ ბავშვმა საფულედან ფული ამოგაცალათ, დაკითხვა კი არ უნდა მოუწყოთ, არამედ პირდაპირ უთხრათ: „შენ ჩემი საფულედან ფული ამოგიღია. ჩადე უკან“. როცა ბავშვი ფულს დაგიბრუნებთ, მტკიცედ უთხარით: „ფული რომ დაგჭირდება, მე მითხარი და ერთად გავარკვიოთ ყველაფერი“. თუ უარყო — არ ამიღიანო, ნუ შეეკამათებთ და ნურც შეევედრებით — შენი ჭირიმე, გამოტყდიო, უბრალოდ უთხარით: „ფული შენი აღებულია. დამიბრუნე“. თუ უკვე მოასწრო მისი დახარჯვა, ერთად მოილაპარაკეთ, როგორ უნდა აანაზღაუროს (მაგალითად შეუმცირეთ ჯიბის ფული).

არ შეიძლება ბავშვს ქურდისა და მატყუარას ძახილი დავუწყოთ, ნურც იმას უწინასწარმეტყველებთ, შენი ბოლო ციხეაო. ნუ ჰკითხავთ, რატომ ჩაიდინა ეს, სულ ერთია სიმართლეს არ გეტყვით, პირიქით, იძულებული გახდება კიდევ ერთხელ იცრუოს.

გაცილებით უკეთესი იქნება, თუ ხაზგასმით ეტყვიოთ, რომ მისგან ნდობას მოელით:

— რატომ არ მითხარი, თუკი ფული გჭირდებოდა?

— ფული რომ დაგჭირდება, მე მითხარი და ერთად მოვიფიქროთ, როგორ მოვიქცეთ.

თუ ბავშვმა აკრძალული კოლოფიდან ნამცხვარი შეჭამა, ნუ დაუწყებთ „გვარედინი“ შეკითხვების დასმას:

— ნეტა ამ კოლოფიდან ნამცხვარი ხომ არავის შეუჭამია?

— შემთხვევით ხომ არ დაგინახავს, ნამცხვარი ვინ შეჭამა? აჰა, მარტო ერთი ცალი ჭამე? რასა ბრძანებ?

ასეთი კითხვები ბავშვს მხოლოდ ტყუილისკენ უბიძგებს, რომელსაც, თავის მხრივ, ჩხუბამდე მიყვავართ. წესი ასეთია: **როცა წინასწარ ვიცით პასუხი, კითხვებს აღარ ვუსვამთ.** სჯობს პირდაპირ უთხრათ:

— შენ ნამცხვარი შეეჭამია. ხომ გთხოვე, ხელი არ ახლო-მეთქი. ძალიან მაწყენინე და შენით უკმაყოფილო ვარ.

ამ გრძნობების გამოხატვა თავისთავად უკვე საკმაო სასჯელია. ბავშვმა უნდა იგრძნოს პასუხისმგებლობა საკუთარი საქციელის გამო და ეცადოს, გამოასწოროს იგი.

**როგორ შევაჩვიოთ ბავშვი თავაზიანობას:
ბავშვი შინ და სტუმრად**

თავაზიანობა ხასიათიც არის და საზოგადოებაში მოქცევის ხელოვნებაც. ბავშვი თავაზიანობას მშობლების მაგალითზე სწავლობს. თავაზიანობა ნებისმიერ შემთხვევაში თავაზიანად უნდა ვასწავლოთ, მშობლები კი ხშირად ამას უხეშად აკეთებენ — ბავშვს თუ მადლობის გადახდა დაავიწყდა, მშობლები მას ამის შესახებ ყველას თანდასწრებით ახსენებენ. აგრეთვე ცდილობენ, სასწრაფოდ შეახსენონ, რომ საჭიროა გამოშვდილობება, თუმცა თვითონ ჯერ არ უთქვამთ „ნახვამდის“.

შვიდი წლის რობერტმა ეს-ესაა საჩუქარი მიიღო. ბავშვი რაც ძალი და ღონე აქვს, ყუთს ხელს აჭერს, რომ გაიგოს, შიგ რა დევს.

დედა: რობერტ, ახლავე გაჩერდი, საჩუქარი გა-
აფუჭე! რა უნდა თქვა?

რობერტი: (ბრაზდებამ). გმადლობთ!

დედა: ახლა კარგი ბიჭი ხარ.

დედას შეეძლო თავაზიანობა უფრო მოხერხებულად
და ტაქტიკურად ესწავლებინა შვილისათვის. მას რომ
ასე ეთქვა: „დიდი მადლობა შესანიშნავი საჩუქრისათ-
ვის, დეიდა პატრიცია“, რობერტი ალბათ თვითონაც
გადაუხდოდა მადლობას დეიდა პატრიციას. ასე თუ არ
მოიქცეოდა, მაშინ ცოტა მოგვიანებით, სტუმრების წა-
სვლის შემდეგ უნდა ესაუბრათ მასთან ამ თემაზე. მა-
გალითად, ასეთი რამ შეიძლებოდა ეთქვათ: „რა კარ-
გია, დეიდა პატრიციამ საჩუქარი რომ მოგიტანა. მოდი
წერილი მივწეროთ და მადლობა გადავუხადოთ, ძა-
ლიან ესიამოვნება“.

ცხადია, ასეთ ეკლიან გზაზე გაცილებით იოლი
ბავშვს უბრალოდ — ვუსაყვედუროთ, მაგრამ, როგორც
წესი, სწორედ ეს ეკლიანი გზა აღმოჩნდება ხოლმე
უფრო ეფექტური.

მართლაც, აბა, როგორ შეიძლება თავაზიანობა ჯო-
ხით შევათვისებინოთ ვინმეს.

თუ პატარა უფროსების საუბარში ერევა, აუცი-
ლებლად ეტყვიან: „ხელს ნუ გვიშლი! უფროსებისათ-
ვის სიტყვის შეწყვეტინება არ შეიძლება! ეს არ არის
თავაზიანი საქციელი!“ თუმცა, ლაპარაკში ჩარეულ
ბავშვისათვის სიტყვის შეწყვეტინებაც ასევე არათავა-
ზიანი საქციელია. არ შეიძლება უხეში იყოთ, როც
ბავშვს თავაზიანობას ასწავლით. უმჯობესი იქნებოდა

შვილისათვის ასე ეთქვათ: „ჩერ მე დავამთავრებ და
მერე შენ ილაპარაკე“.

ბავშვს არ უნდა უმტკიცო, უხეში ხარო. ამით იგი
თავაზიანი ვერ გახდება, პირიქით, ჩვენი ამგვარი შეფა-
სების შემდეგ თავს თვითონაც უხეშად ჩათვლის. ეს კი
იმას ნიშნავს, რომ მოქცევითაც შესაბამისად მოიქცევა:
უხეში ბიჭები ხომ მუდამ უხეშობენ!

მეგობრებთან ან ნათესავებთან სტუმრად ყოფნის
დროს შეგვიძლია კიდევ ერთხელ ვუჩვენოთ ბავშვს,
თუ რას ნიშნავს თავაზიანი მოქცევა. ყველაზე კარგად
ეს მაშინ გამოდის, როცა ბავშვის მოქმედებას თვით
სახლის პატრონები განსაზღვრავენ.

ბავშვები ზშირად ხვდებიან, რომ მშობლებს არ
უყვართ სტუმრად ყოფნისას მათთვის შენიშვნების
მიცემა, ამიტომ სხვასთან უფრო ცელქობენ. ასეთ შემ-
თხვევაში თვითონ მასპინძლებს უნდა მიეცეთ საშუალე-
ბა თავად განსაზღვრონ ბავშვის ქცევის ნორმები და
თვითონვე მიადვენონ თვალი მათ შესრულებას. თუ
დეიდა მერისთან ყოფნის დროს თქვენი ვაჟიშვილი
სავარძელზე ხტის, დაე თვით დეიდა მერიმ გადაწყვი-
ტოს მისცეს მას ამის უფლება თუ არა. ბავშვები სხვა
უფროსებს უკეთ უჩაერებენ ვიდრე თავიანთ მშობლებს.
ასეთ შემთხვევაში დედის ვალია მხოლოდ ხანდახან შე-
ახსენოს ხოლმე შვილს: „აქ ასე არ არის მიღებული“.

ბავშვის მშობლებმა და მასპინძლებმა წინასწარ უნ-
და მოილაპარაკონ, ვინ რაზე აგებს პასუხს. მასპინძლის
მოვალეობაა დაიცვას საკუთარ ოჯახში დაკანონებული
ქცევის ნორმები. მშობლების ვალი კი ის არის, რომ

ღროებით შეანელონ ყურადღება ბავშვის მიმართ, რაც ამ უკანასკნელს საშუალებას მისცემს უფრო მკვეთრად იგრძნოს მოვლენათა რეალურობა და გააცნობიეროს თავისი პასუხისმგებლობა.

თავი IV

პასუხისმგებლობა და დამოუკიდებლობა

პასუხისმგებლობა: მოვალეობანი და ფასულობანი

რომელი მშობელი არ ოცნებობს მისი ბავშვი საკუთარ ქცევებსა და სიტყვებს მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებოდეს. ბევრ ოჯახში თვლიან, რომ პასუხისმგებლობის გრძნობის გასავითარებლად ბავშვს ყოველდღიური მოვალეობები უნდა დაუნიშნონ. მაგალითად, ბიჭებს ავალებენ ნაგვის გატანასა და გაზონის გაკრეჭას, გოგონებისათვის კი არაფერია იმაზე უკეთესი, თუ ისინი ჭურჭელს დარეცხავენ ან ოთახებს დალაგებენ. სინამდვილეში კი ასეთ მოვალეობებს ზოგჯერ აზრალაღი ბავშვის შეგნებაში პასუხისმგებლობის გრძნობის დამკვიდრება, პირიქით, ზოგიერთ ოჯახში მსგავსი დავალებების შესრულების ძალდატანებას მუდმივ ჩხუბამდე მივყავართ, რაც ცუდად მოქმედებს არა მარტო ბავშვებზე, არამედ მშობლებზეც. ბოლოსდაბოლოს ბავ-

შვი, ალბათ, დაგიჭერებთ და სამზარეულოც სისუფთაისაგან წკრიალს დაიწყებს, მაგრამ არავის ეცოდინება ეს დაძალება რა ზეგავლენას მოახდენს ბავშვის ხასიათის ჩამოყალიბებაზე.

ქვეშარიტება უბრალოა: პასუხისმგებლობის გრძნობა თავს არ უნდა მოვახვიოთ, იგი „შიგნიდან“ უნდა გამოქვადინდეს ოჯახსა და მის გარეთ მიღებული ორიენტაციის საფუძველზე.

პასუხისმგებლობის გავლიება. ბავშვებში მოვალეობის გრძნობის აღზრდისას გვსურს ისინი უმაღლესი ღირებულებებით — სიცოცხლისა და შრომის სიყვარულით, ბედნიერების ძიებით ხელმძღვანელობდნენ. თუმცა, ჩვენი შვილების უპასუხისმგებლობას უფრო ხშირად ისეთ კონკრეტულ შემთხვევებში აღმოვაჩინებთ ხოლმე, როცა მათი ოთახი არეულია, საშინაო დავალება დაუღვევრად შეუსრულებიათ, მუსიკაში გულმოდგინედ არ უმეცადინიათ და არც მათი საქციელი იწვევს დიდ აღფრთოვანებას.

მეორეს მხრივ, ბავშვი შესაძლოა თავაზიანიც იყოს, ოთახიც სუფთად ჰქონდეს მილაგებული, დავალებებსაც წესიერად ასრულებდეს — მოვალეობის გრძნობა კი მაინც არ გააჩნდეს. ეს განსაკუთრებით იმ ბავშვებს ემართებათ, რომლებსაც ძალით აკეთებინებენ ამა თუ იმ საქმეს. მათ საშუალებას არ აძლევენ, თვითონ შეიქმნან საკუთარი აზრი რაიმეზე, გამოიმუშაონ ქცევის გარკვეული საფუძველები.

ყველაფერს სწავლებაზე ბავშვის ემოციური რეაქცია წყვეტს, სწორედ ამაზეა დამოკიდებული, რამდენს

შეითვისებს იგი ჩვენი შეგონებებიდან, ფასეულობების პირდაპირ, მოუარიდებლად ცხვირ-პირში მიხლა სწორი არ არის, ისინი თანდათანობით უნდა შევასწავლოთ და თანაც მანამ, სანამ ბავშვი უფროსებისადმი პატივისცემითაა განმსჭვალული და ცდილობს მათ მიბაძოს. ისე, რომ ბავშვის პასუხისმგებლობის გრძნობის აღზრდა დიდადაა დამოკიდებული მშობლის ორიენტაციაზე. საჭიროა განვიხილოთ შემდეგი საკითხი: არსებობს თუ არა ბავშვებთან ქცევის რაიმე გარკვეული ტიპი (თეორიულად და პრაქტიკულად), რომელიც მათთვის პასუხისმგებლობის გრძნობის გაღვივებაში დაგვეხმარებოდეს? წინამდებარე თავი სწორედ ამ კითხვაზე პასუხებს ეძღვნება.

მიზნისკენ სწრაფვა, ყოველდღიური მუშაობა. პასუხისმგებლობის გრძნობას მარჯვედ და შეგნებულად აღვივებენ მშობლები. ისინი ბავშვს აგრძნობინებენ, რომ მას ყველა გრძნობის უფლება აქვს, მაგრამ, ამავე დროს, ურჩევენ მათი გამოხატვის საშუალებებს. ამ გზაზე უფროსებს დაუჭერებელი სიძნელები ელით. ამგვარი მტკიცებები მხოლოდ ვნებს საქმეს.

უარყოფა. სინამდვილეში შენ არ გინდოდა ასე გე-თქვა, შენ ხომ გიყვარს შენი ძმა!

მიუღებლობა. განა შენ ასეთი ხარ? არა, ეტყობა ეშმაკი შეგიჩნდა.

იძულება. კიდევ ერთხელ იტყვი, „ვერ ვიტანო“ და ნახე რას გიზამ. კარგი ბიჭები ეგრე არ ამბობენ.

შელამაზება. განა მართლა ვერ იტან შენს ძმას. ალ-

ბათ, უბრალოდ გული გაგიწყალა. უნდა შეგეძლოს მო-თოკო შენი გრძნობები.

ამგვარად მოლაპარაკე მშობლებს ავიწყდებათ, რომ მდინარეებისა არ იყოს, გრძნობების შეჩერებაც შეუძლებელია, მხოლოდ მათი მიმართულების შეცვლა შეიძლება. მღელვარე გრძნობების უარყოფას არ გირჩევთ, ამან შეიძლება უბედურებამდე მიგვიყვანოს. აუცილებელია მათი რეალურობისა და ძალაუფლების აღიარება. თუ ასეთ გრძნობებს პატივისცემით მოვეპყრობით და საჭირო კალაპოტში მივუშვებთ, ისინი თქვენს სი-ცოცხლეს სინათლითა და სიხარულით აავსებენ.

რჩება კითხვა: როგორი ნაბიჯები უნდა გადავდგათ, რომ შევამციროთ სხვაობა ჩვენს მიზნებსა და საქმის ვითარებას შორის მოცემულ მომენტში? რითი დავიწყოთ?

„გრძელვადიანი“ და „მოკლევადიანი“ საშუალო გეგმა

აღბათ, უმჯობესია თუ ისეთ საშუალო გეგმას შევიშუავეთ, რომელშიც საშუალება გვექნება ე. წ. „გრძელვადიანი“ და „მოკლევადიანი“ „დავალებების“ კომბინირება მოვახდინოთ. ამასთან ნათლად უნდა გვეკონდეს წარმოდგენილი, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბავშვებთან ჩვენს ურთიერთობას. ბავშვებს კი არ უნდა აღუწეროთ, არამედ მაგალითით უნდა ვუჩვენოთ როგორ გამოავლინონ ზასიათის ესა თუ ის თვისება.

„გრძელვადიანი“ პროგრამის შესრულებაში პირველ ნაბიჯს წარმოადგენს იმით დაინტერესება თუ რას ფიქ-

რობენ ბავშვები. ზოგს კი, პირიქით, ის აინტერესებს
თუ როგორი რეაქცია აქვს ბავშვს ჩვენს მიმართ —
გვემორჩილება თუ გვეწინააღმდეგება, რაც სავსებით
გაუმართლებელია.

როგორ გავიგოთ თუ რას გრძნობენ და ფიქრობენ
ბავშვები? პასუხს ამ კითხვაზე თვით ბავშვის ქცევაში
ვიპოვით. მათი განცდები ხომ მშვენივრად მქლავდება
მათივე სიტყვებსა და ინტონაციაში, უესტებსა და მოქმე-
დებაში. ჩვენი ამოცანაა ყური მივუგლოთ, ჩავუკვირდეთ
და ფაქიზად მოვეპყრათ ამ განცდებს. ჩვენი დევიზი
ასეთი უნდა იყოს: „მე მსურს გავუგო ჩემს შვილს,
ვაგრძნობინო, რომ მესმის მისი... მინდა გამოვხატო ჩემი
თანაგრძნობა და უარი ვთქვა ავტომატურ კრიტიკასა
და გაკიცხვაზე“.

თუ ბავშვი სკოლიდან ცუდ გუნებაზე დაბრუნდა,
ხმას არ იღებს და არც შეკითხვებზე გვპასუხობს,
დღესავეით ნათელია, რომ მას რაღაც უსიამოვნება შე-
ხვედრია. მიჰყევით ჩვენს დევიზს და დაივიწყეთ ჩვე-
ული შენიშვნები:

— რა ცხვირ-პირი ჩამოგტირის!

— რამ გამოგაქლიავა!

— აბა, ერთი მოყევი, რა ჩაიდინე.

— თქვი, რა გეტაკა!

თუ ბავშვს თანავუგრძნობთ, საკუთარ თავს ისე-
თი შენიშვნის უფლება არ უნდა მივცეთ, რომელიც
მას გულს დაწყვეტს, სიძულვილს აღუძრავს და აფიქ-
რებინებს მთელი ქვეყანა ჭირსაც წაუღიას.

პირიქით, მშობელი იმის მშობელია, რომ გული შე-

ტკიოდეს შვილზე და ეს ბავშვსაც აგრძნობინოს:

— რაღაც უსიამოვნება შეგემთხვეოდა.

— ალბათ ძნელი დღე გქონდა.

— დღეს ძნელი დღე გქონია.

— ვილაცასთან უსიამოვნება მოგივიდოდა.

ასეთი მტკიცებანი ბევრად სჯობს კითხვებს, რომ-
ლებიც ძვალ-რბილში გვაქვს გამაჯდარი: „რა დაგემარ-
თა?“ „რა მოხდა?“ კითხვა ცნობისმოყვარეობის ნიშა-
ნი, მტკიცება — თანაგრძნობისა.

თუკი ერთთავად ვაკრიტიკებთ, ბავშვი ვერასოდეს
შეიჩვევა პასუხისმგებლობას. ისღა დარჩენია, თავისი
ჩინის დღე დაწყველოს და მთელს სამყაროს დაემდუ-
როს. მას ეჭვი შეეპარება საკუთარ ძალებსა და აზროვ-
ების უნარში, დაკარგავს თავისი თავის ნდობას, ეც-
დება არ გამოამქლავნოს საკუთარი შესაძლებლობები
და სხვათა სურვილებსაც ეჭვის თვალით დაუწყებს ყუ-
რებას. ყოველივე ამას დაავირობენ ის, რომ თქვე-
ნი შვილი მორიგი დატუქსვის სამულამო მოლოდინით
ცხოვრებს.

ომიდან მშვიდობისაკენ

როცა ბავშვები ოჯახურ საქმეებს არ ასრულებენ და
მის გამო მათთან ომი გაქვთ გამოცხადებული (სინამ-
ცილეში კი მათში პასუხისმგებლობის გრძნობის აღ-
რდა გსურთ), თავიდანვე უნდა იცოდეთ, რომ ამ
ომის მოგება შეუძლებელია. ბავშვებს თქვენზე გაცი-
ლებით მეტი დრო და ენერჯია აქვთ და ამიტომ თქვენ-

ზე ძლიერებიც არიან. იქნებ როგორმე მოახერხოთ დეც და ერთი რომელიმე „ბრძოლა“ თქვენი გამარჯვებით დაამთავროთ, მაგრამ ამჟამად ამანაშაველი არაფერი იქნება, რადგან ამგვარმა დამარცხებამ, შესაძლოა ბავშვის ფსიქიკაზე მძიმე კვალი დატოვოს და იგი გამისწვებულ, გაღიზიანებულ პიროვნებად ჩამოყალიბდეს.

გამარჯვებას მხოლოდ მაშინ მივალწევთ, როდესაც ბავშვის ნდობას დავიმსახურებთ. ეს ძნელი ამოცანაა, მაგრამ მისი განხორციელება სავსებით შესაძლებელია ამისათვის კი აუცილებელია, რომ ბავშვთან ახლო ურთიერთობა დავამყაროთ (თუ ასეთი რამ არ გავაჩინებთ).

ბავშვის ხასიათის უკეთესობისაკენ შესაცვლელ ნიადაგის მომზადება ასე უნდა დავიწყოთ:

1. ვისწავლოთ ყურადღებით მოსმენა. პატარას ნათქვამისა და იმედის გაცრუების გრძნობა ეუფლებოდა როცა ზედავს, რომ მშობლებს მისი არც ფიქრი და არც გრძნობა არ აინტერესებთ. ასეთ შემთხვევაში იგი დასკვნის, რომ მისი აზრები სულელურიია, თვითონ კივეყანაზე არავის უყვარს.

თუ მშობლები ბავშვს ყურადღებით უსმენენ, ამისას საკუთარი ძალების რწმენა ემატება და უნარი უნდა სწევს თავდაჯერებით შეაფასოს მოვლენები და აღამართოს ანთა ქცევები.

2. ნუ მივცემთ „პრისხანების მტკვნებს“ დამწიფების საშუალებას. მშობლები შეგნებულად უნდა გაუბრძონ ისეთ გამოთქმებსა და შენიშვნებს, რაც ბავშვებში უსიამოვნო შეგრძნებებსა და სიძულვილს იწვევს.

„შეურაცხეობა“ — შენ სკოლისა და ოჯახის შემარცხენელი ხარ.

ლანძღვა — დებილო, იდიოტო, შტერო.

წინასწარმეტყველება — ნახავ, ბოლოს ციხეში თუ არ ამოყო თავი!

მუქარა — ვიდრე კარგად მოქცევას არ ისწავლი, ციხის ფულზე არც იოცნებო.

ბრალდება — ყველა ჩხუბს პირველი შენ იწყებ.

ძალაუფლების დემონსტრირება — გირჩევნია გაჩუმდეთ და მოუსმინო, უფროსები რასაც ამბობენ.

3. „პიროვნებას“ ნუ შეეხებით. თუ ჰაერში მოსალოდნელი მეხთატების სუნი დატრიალდა, სჯობს თქვენი აზრები ისე გამოთქვათ, რომ დაზოგოთ ბავშვის პიროვნება და მისი ღირსება.

თუ მშობელი ბავშვს ბოლომდე ყურადღებით მოუსმენს, ენამწარე შენიშვნებისაგან თავს შეიკავებს და საკუთარ აზრს ისე გამოთქვამს, რომ შვილის თავმოყვარეობას არ შეეხება, ბავშვის სულში სულ სხვა საფუძვლები დაიწყებს ჩამოყალიბებას. თანაგრძნობის ატმოსფერო შვილს მშობლებთან აახლოებს, რადგან ჯეროვნად აფასებს მათ გულწრფელობას, ტაქტს, ყურადღებას და თავის მხრივ, ბაძავს კიდევ მათ. ასეთი გარდატეხა უცებ არ ხდება, მაგრამ მშობელთა ძალისხმევა საბოლოოდ უთუოდ დადებით ნაყოფს გამოიღებს. სწორედ ამ ახალი პრინციპებისა და მეთოდების გამოყენებით შესძლებენ მშობლები შვილებში პასუხისმგებლობის გრძნობის გაღვიძებას. მაგრამ მხოლოდ პირადი მაგალითი საკმარისი არ არის. პასუხის-

მგებლობის გრძნობა თვით ბავშვის ცხოვრებისეულ გამოცდილებით უნდა გამტკიცდეს, განვითარდეს და ხასიათის მნიშვნელოვან შტრიხად ჩამოყალიბდეს.

პასუხისმგებლობა: ხმისა და არჩევანის უფლება

პასუხისმგებლობის გრძნობა თანდაყოლილი თვისება როდია, იგი არც ავტომატურად შეიძინება გარკვეულ ასაკში. საკუთარ სიტყვებსა და მოქმედებებზე პასუხისმგებლობის გრძნობა, ისევე, როგორც ფორტეპიანოზე დაკვრის უნარი, მრავალწლიანი პრაქტიკით გამომუშავდება, თანაც იმ პირობით, რომ ეს პრაქტიკა ყოველდღიური უნდა იყოს.

ბავშვებში პასუხისმგებლობის გამომუშავება მცირე ასაკიდანვეა შესაძლებელი. ამისათვის აუცილებელია ბავშვს ხმის უფლება მივანიჭოთ, იმ შემთხვევაში კი, თუ მისთვის განსაკუთრებული რამ ხდება — არჩევანის უფლება. ხმის უფლებასა და არჩევანის უფლებას შორის მკვეთრი ზღვარის დადება აუცილებელია. არის საკითხები, რომელთა გადაწყვეტა თვით ბავშვსაც შეუძლია — ასეთ დროს მას არჩევანის უფლება უნდა ჰქონდეს. მაგრამ როცა საქმე ბავშვის კეთილდღეობას ეხება, მას მხოლოდ ხმის უფლება აქვს და არა არჩევანისა.

აწლა ვნახოთ, რომელ კონკრეტულ საკითხებში წამოიჭრება ხოლმე ახრთა სხვადასხვაობა მშობლებსა და შვილებს შორის.

საპედალი

ორი წლის ბავშვს უკვე შეიძლება ვკითხოთ, საუზმედ ერთ ჭიქა რძეს დალევს თუ ნახევარს. ოთხი წლისას შეუძლია აირჩიოს მთელი ვაშლი ჩაბოხად ან ნახევარი. ხოლო ექვსი წლისას უკვე ძალუძს გადაწყვეტოს, საუზმედ როგორი კვერცი უნდა — თოხლო თუ საგრად მოხარშული.

ბავშვებს წინასწარგანზრახვით აუცილებლად უნდა შევთავაზოთ სიტუაციები, როცა მათ არჩევანის საშუალება ექნებათ. მშობლები განსაზღვრავენ სიტუაციებს, მათგან გამომდინარე კი ბავშვები არჩევენს თვითონ აკეთებენ.

ბავშვს არ ეკითხებიან: „რა მოგიმზადო საუზმედ?“ არამედ ეკითხებიან „კვერცი შეგიწვა თუ მოგიხარშო? პური შემწვარი გინდა? ფაფას ცივს შეჭამ თუ შეკითხო? რა დაგისხა — რძე თუ ფორთოხლის წვენი?“

ამ მეთოდით ბავშვს ვაგრძობინებთ, რომ მას არჩევანის უფლება აქვს, შეუძლია გადაწყვეტილებების მიღება იმ სიტუაციებში, რომლებიც მის ყოველდღიურ ცხოვრებას განსაზღვრავენ. მშობელთა საქციელიდან მან სწორედ ამგვარი დასკვნა უნდა გამოიტანოს.

ხშირად მშობლები ზედმეტ ინტერესს იჩენენ ბავშვების კვების მიმართ და ამით საქმეს ართულებენ. უმჯობესი იქნება თუ დედა, ექიმის რჩევით მოამზადებს გამორიელ და მარგებელ საკვებს და ბავშვის შადას მიიღონ. უნდა გვახსოვდეს, რომ რაოდენობრივი ფაქტორი თვით ბავშვის პასუხისმგებლობის სფეროში შედის.

ბავშვებისათვის ტანსაცმლის ყიდვისას ჩვენ თვითონ უნდა განვსაზღვროთ, რა სჭირდებათ მათ და რა თანხ შეიძლება დაინარჯოს საყიდლებზე. მაღაზიაში ვირჩევთ რამდენიმე ნიმუშს, რომლებიც ფასითა და ფორმით ერთნაირად გვაკმაყოფილებს. ბავშვმა სწორედ მათგან უნდა ამოირჩიოს ის ნივთი, რომელიც მას მოეწონება ამგვარად, საკუთარი გემოვნებით წინდისა თუ პერანგის შერჩევა თვით ექვსი წლის ბავშვსაც შეუძლია ბევრ ოჯახში კი ბავშვები დამოუკიდებლად ტანსაცმლის შერჩევას ვერ ახერხებენ, რადგან ისინი ამას არ ავინ მიაჩევიან, თუმცა, ისეთი უფროსებიც ხომ არსებობენ, რომელთაც ცოლის ან დედის დაუხმარებლად კოსტუმის ყიდვა არ შეუძლიათ.

მოზარდებს ნება უნდა დავართოთ, იმ სტილის ტანსაცმლის სამოსი შეარჩიონ, მათი თანატოლები რომ ატარებენ. თუ ბიჭს ყავისფერი ტყავის ფეხსაცმელი უყვარდა, მთელი მისი კლასი კი ნატის ფეხსაცმელებშია გამოწყობილი, ეჭვი ნუ შეგებარებათ იმაში, რომ თქვენ შეიძლება უმალ დაცინვის საგანი გახდება. მშობლებმა აუცილებლად უნდა იცოდნენ, რა არის მოდაში. ტანსაცმელთან დაკავშირებით პასუხისმგებლობის საზღვრები ასე უნდა გავანაწილოთ: ჩვენ ვთავაზობთ ბავშვებს ნიმუშებს, ისინი ირჩევენ იმას, რაც უფრო მოსწონთ.

სკოლაში სწავლის პირველივე წლიდან მშობლებმა უნდა ჩაუწერგოს, რომ საშინაო დავალებების შესრულებაზე პასუხს მხოლოდ ბავშვი აგებს. გირჩევთ, ბავშვი არ მოაბეზროთ საშინაო დავალებების გამო საყვედურებით. ნუ დაუდარაჯდებით იმის გასაგებად, მეცაინებოთ თუ არა. შესრულებული დავალების შემოწმება მხოლოდ იმ შემთხვევაშია მიზანშეწონილი, როცა ბავშვი თვითონ თხოულობს. საკმარისია დედამ ან მამამ ვაჟიშვილთან ერთად ერთხელ მაინც მოამზადოს საყვეთილი, რომ ეს პასუხისმგებლობა სამუდამოდ დაეწევათ მხრებზე. საშინაო დავალებები ბავშვების სკოლაში შეიძლება მშობლების წინააღმდეგ მიმართულ არაღალატად კი გადაიქცეს, რომელთა საშუალებითაც ბავშვები შურს იძიებენ, შანტაჟს მოუწყობენ და ექსპლუატაციას გაუწევენ მშობლებს. უამრავი უსიამოვნების თავიდან აცილება შეგვიძლია, თუკი საშინაო დავალების მცირე წვრილმანების მიმართ არავითარ ინტერესს არ გამოვიჩინებთ. ბავშვს დაბეჯითებით უნდა გაგვავებინოთ: „საშინაო დავალებების შესრულებაზე პასუხს შენ თვითონ აგებ. ისინი შენთვის ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ჩემთვის სამუშაო“.

სწავლების პირველ წლებში არ ღირს საშინაო დავალებათა მნიშვნელობის ძალზე გაბუჭვა. ბევრი ისეთი სკოლა არსებობს, სადაც დაბალი კლასების მოსწავლეებს საშინაოდ არაფერს ავალებენ, მაგრამ მათი ცოდნა არაფრით ჩამოუვარდება იმ 6—7 წლის გოგო-ბიჭების

სას, რომლებიც საშინაო დავალებებს ყოველდღე ახრულებენ. საშინაო დავალების აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ბავშვს დამოუკიდებლად მუშაობას აჩვევამისათვის კი აუცილებელია დავალებათა დონე ბავშვის უნარს შეესაბამებოდეს. მაშინ მას დაუნმარებელი (ან სხვისი უმნიშვნელო დახმარებით) მეცადინეობა გაუჭირდება. მშობლების აქტიური დახმარება ბავშვს მხოლოდ იმაში დაარწმუნებს, რომ დამოუკიდებლობის სრულიად უსუსურია. უმნიშვნელოდ — არაპირდაპირი მეთოდით კი ჩვენ მას აუცილებლად უნდა დავეშაროთ: შევამოწმოთ, მაგალითად, ხელს ხომ არ უშლი რაიმე, ყველა საჭირო წიგნი და მოსახერხებელი მავა და აქვს თუ არა. უნდა შევეუბნოთ სამეცადინოდ გასაზღვრული საათებიც.

გაზაფხულსა და შემოდგომაზე, როცა მზე ჭკისევე ანათებს და თანაც ბავშვმა უკვე ისაძლია გსეირნება აჯობებს, გაკვეთილები კი სეირნობის შემდეგ მოამზადოს. ზამთარში, როცა დღე ხანმოკლეა, ბავშვს ჭერ დავალებები უნდა შეასრულოს, თუკი საღამო ტელევიზორის ყურება უნდა.

ზოგ ბავშვს უფროსთან ერთად ურჩევნია მეცადინეობა, ამიტომ ურიგო არ იქნება თუ მას ზოგჯერ სმზარეულოს ან სასაძლილო ოთახის მაგიდასთან მეცადინეობის ნებას მივცემთ. თავი უნდა შევიკავოთ ისეთ შენიშვნებისაგან, რომლებიც მეცადინეობაში ხელს უშლის:

— ნუ იკუზები, პერანგი შეიკარი, მაგიდას ნუსვრი!

არიან ბავშვები, რომლებსაც მეცადინეობის დროს ფანქრის ლეჭვა, თმის წვალება ან სკამის ქანაობა ჩვევად ჰქცევიათ — ეს მათ ერთგვარად ეხმარება მუშაობაში. თუ ასეთ საქციელს ავუკრძალავთ, ბავშვი თვითდაჭერებულობას დაკარგავს და მეცადინეობა ძალზე ნელი ტემპით წაიწევს წინ. არ ღირს ბავშვის მეცადინეობიდან მოცდენა ათასგვარი შეკითხვითა და თხოვნით. უნდა გვახსოვდეს, რომ ჭკუის სწავლებასა და ზედამხედველობაზე გაცილებით მნიშვნელოვანია მოსწავლეს მორალური მხარდაჭერა ვაკრძნობინოთ. ახსნის უფლება მხოლოდ დროდადრო უნდა მივცეთ თავს, თუმცა ასეთი კომენტარებისაგან მაშინაც თავი უნდა შევიკავოთ:

— რომ არ ცდებოდე, აქამდე ყველა გაკვეთილი მომზადებული გექნებოდა.

— მასწავლებლისთვის კარგად რომ დაგეგმო ყური, ახლა ამ კითხვას ადვილად გასცემდი პასუხს.

უნდა დავხმაროთ დროდადრო, შერჩევით, მაგრამ დიდი თანაგრძნობით, ბავშვს ჭკუის სწავლება კი არ უნდა დაუწყუოთ, არამედ, უპირველეს ყოვლისა ყურადღებით მოვუსმინოთ. გზა იმის იმედით უნდა ვუჩვენოთ, რომ მოგზაური დანიშნულ ადგილამდე თავისით მიადწევს.

მშობლების აზრი სკოლასა და მასწავლებელზე დიდ ზეგავლენას ახდენს საშინაო დავალებებისადმი ბავშვის დამოკიდებულებაზე. თუ შინ სკოლით უკმაყოფილონი არიან ანდა მასწავლებელს ჭეროვნად არ აფასებენ, ბავ-

შვი აქედან აღრე თუ გვიან შესაბამის დასკვნას გამოიტანს.

მშობლებმა მასწავლებელს აუცილებლად მხარი უნდა დაუჭირონ, განსაკუთრებით საშინაო დავალებების საკითხში.

თუ მასწავლებელი მკაცრია, მშობლებს საუცხოო საშუალება ეძლევათ ზედმეტად უთანაგრძნონ საკუთარ შვილს:

- წელს რა ძალიან ბევრს გაძლევენ შინისათვის!
- ძნელი სასწავლო წელია, არა?
- ძალიან ბევრ დავალებას გაძლევენ.
- ალბათ ძალიან მკაცრი მასწავლებელი გყავთ,

რამდენ დავალებას გაძლევთ!

დიდი მნიშვნელობა ასეთ შემთხვევებში სწორედ იმას ენიჭება, რომ როგორმე დავალებების გამო მუდმივ საყვედურებს თავი ავარიდოთ:

— მისმინე, რეჯი, სუფთა წერას სერიოზულად უნდა მოჰკიდო ხელი. ყოველდღე, ნასადილევს ორ-ორი საათით იმეცადინებ შაბათ-კვირის ჩათვლით. არავითარი ფეხბურთი, არავითარი ტელევიზორი!

— როჯერ, თავი მომაბეზრა ყოველდღე შენთვის იმის შესხენებამ, რომ გაკვეთილები უნდა ისწავლო. ახლა მამაშენი მოგხედავს. ჩვენს ოჯახში უვიცი არავინ ყოფილა და არც იქნება!

მუქარა და გაკვეთილების მუდმივი შესხენება მშობლების ჩვეულებრივი „იარაღია“. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ ეს მათ საქმის გაუმჯობესებაში ეხმარება, სინამდვილეში კი ასეთ მეთოდებს მხოლოდ ვნების

მოტანა შეუძლია — ოჯახში დაძაბული ატმოსფეროა, მშობლები და ბავშვები საზიზღარ გუნებაზე არიან.

ბევრი ნიჭიერი ბავშვი ჩამორჩება (როგორც გაკვეთილზე, ისე საშინაო დავალებების შესრულებაში), რითაც იგი გაუცნობიერებლად გამოხატავს პროტესტს მშობლების წინააღმდეგ.

მოწიფული ადამიანი რომ გახდეს, ყველა ბავშვმა უნდა გაიზაროს საკუთარი ინდივიდუალობა. როგორც კი მშობლები სკოლის ნიშნებს ზედმეტ ყურადღებას მიაქცევენ, ბავშვი მაშინვე იგრძნობს, რომ მისი სამყაროს საზღვრები სულაც არ არის უფროსებისათვის ხელშეუხებელი — მას არ ენდობიან! ამის გამო იგი უარს ამბობს დააკმაყოფილოს მშობლების პატივმოყვარეობა და სკოლაში წარმატებას მიაღწიოს, ეს მას დამოუკიდებლობას განაცდევინებს. ამგვარად, საკუთარი თავის, როგორც დამოუკიდებელი პიროვნების აღქმის სურვილი ბავშვებში ისეთი ძლიერია, რომ მიუხედავად მშობლების დაძალებისა, ისინი გაკვეთილებს აღარ ამზადებენ და თვით დასჯასაც არ ებუებიან. აი, რა მიზეზია ერთმა ბიჭუნამ: „მათ შეუძლიათ ტელევიზორის ყურება ამიკრძალონ და არც ჯიბის ფული მომცენ, მაგრამ ცუდ ნიშნებს მაინც ვერსად გაეჭკვიან“.

ჩვენი მიზანია ბავშვს ჩაეუნერგოთ, რომ იგი, როგორც პიროვნება, მშობლების გარეშეც არსებობს და თავის წარმატებასა თუ წარუმატებლობაზე თავადვე აგებს პასუხს. როდესაც ბავშვს საკუთარი პიროვნების გამომყვანების შესაძლებლობას ვაძლევთ, მას საკუთარ ქცევებზე პასუხისმგებლობის გრძნობაც უძლიერდება.

თუ ბავშვი მუსიკაზე დაგყავთ, ადრე თუ გვიან მის-
გან დაახლოებით ასეთ რამეს გაიგონებთ: „ყელში ამო-
მივიდა ეს მუსიკა!“ ამგვარი სიტუაცია ნაცნობია ყვე-
ლასთვის, ვისი ბავშვიც რაიმე მუსიკალურ ინსტრუ-
მენტს ეუფლება, მოდით, ამ რთულ საკითხს ობიექტუ-
რად შევხედოთ...

ზოგი მშობელი, რომელსაც კარგად ახსოვს ძალით
როგორ ატარებდნენ მუსიკაზე, თავიდანვე გადაწყვეტს,
შვილსაც არ გაუმწაროს სიცოცხლე.

იარონ თუ არა მუსიკაზე? ამ საკითხს მშობლები კი
არა, თვით ბავშვები წყვეტენ და თვითონვე აგებენ პა-
სუხს თავის გადაწყვეტილებაზე. მშობელთა საქმე მხო-
ლოდ კარგი პედაგოგის შერჩევაა. ისეთი მშობლებიც
მრავლად მოიძებნებიან, რომლებიც ნანობენ თავის
დროზე მუსიკას თავი რომ დაანებეს და „რევანშის
აღება“ შვილის მეშვეობით სურთ: „რადაც არ უნდა
დაუჯდეს, ბავშვმა მუსიკაზე უნდა იაროს!“

ხშირად, ბავშვი ჯერ დაბადებული არ არის, რომ
ინსტრუმენტი უკვე ნაყიდი და როგორც კი საცოდავი
პატარა ადამიანი შესძლებს ვიოლინოს ზიდვას (კლა-
ვიშებზე თითების მიწვდენას, საყვირში ჩაბერვას), მა-
შინვე იწყება ჯაჭვი გაუთავებელი და მომაბეზრებელი
სავარჯიშოებისა. ყურადღებას არავინ აქცევს ბავშვის
ცხარე ცრემლებსა და სიტყვიერ პროტესტს, წინააღ-
მდეგობა სავსებით ამაოა. მშობელთა დადგენილება ნათ-
ლად არის ფორმულირებული: „ჩვენ ფულს ვიხდით,

ესე იგი უნდა ისწავლო“. ასეთ პირობებში ბავშვისათ-
ვის წარმატების მიღწევა ძალზე ძნელია. ამიტომაც,
სრულიად გაუპართლებელია ამდენი ორმხრივი ტანჯვა.
ძალიან ძვირი ხომ არ გიჯდებათ მუსიკის საძულველი
გაკვეთილები?

მუსიკალური განათლების მთავარი მიზანია ხელი
შეუწყოს ადამიანს გრძნობების გამომყვავებაში, სი-
ცოცხლე ხომ ისედაც ამდენ შეზღუდვასა და იმედის
გაცრუებას გვთავაზობს. მუსიკა სწორედ რომ შესანიშ-
ნავ საშუალებას წარმოადგენს საკუთარი გრძნობების
გამოხატვისას — ეს ხელოვნება მღელვარებაში სიხა-
რულს ბადებს, დაძაბულობაში კი სულიერ სიმშვიდეს.

მშობელსა და მასწავლებელს კი, სამწუხაროდ, ხში-
რად მხოლოდ ის აღეღვებთ, რომ ბავშვმა მელოდია
ყალბი ნოტის გარეშე შეასრულოს. სავალალო შედე-
გიც არ იგვიანებს: ბავშვი გაკვეთილებს აცდენს, მას-
წავლებელს გაურბის, და მუსიკალურ „კარიერას“ და-
საწყისშივე ანებებს თავს. ბევრ ოჯახში მივიწყებული
ვიოლინო, ჩაკეტილი პიანინო თუ მღუმარე ფლეიტა
მარტოოდენ აუხდენელი ოცნებების მტკივნეულ მოგო-
ნებას წარმოადგენს.

როგორ უნდა მოიქცნენ მშობლები? მათ ევალებათ
კეთილი და გამგებიანი პედაგოგის პოვნა, რომელსაც
არა მხოლოდ თავისი საქმე ეცოდინება კარგად, არამედ
მოსწავლის ხასიათის ნიუანსებშიც ბრწყინვალედ გაერკ-
ვევა. სწორედ მასწავლებელზეა დამოკიდებული დაინ-
ტერესდება მუსიკით მოსწავლე თუ არა. თუ მასწავლე-
ბელმა ასეთ დაინტერესებას თავიდანვე ვერ მიაღწია,

შემდგომში გაკვეთილების ჩატარებას ვეღარ შესძლებს. ყოვლად წარმოუდგენელია მუსიკის სიყვარული ისეთ პედაგოგთან შეისწავლო, რომელსაც ვერ იტან.

უსარგებლო სიძნელების თავიდან აცილების მიზნით პედაგოგმა, მოსწავლემ და მშობლებმა ამ საკითხზე თავიდანვე უნდა იმსჯელონ და რამდენიმე აუცილებელი წესი გამოიმუშაონ. მაგალითად:

1. არ შეიძლება მუსიკის გაკვეთილის გაუფრთხილებლად გაცდენა.

2. თუ გაკვეთილის გაცდენას აპირებს, ამის შესახებ პედაგოგს მოსწავლემ უნდა აცნობოს და არა მშობელმა.

3. გაკვეთილის დაწყების დრო და მეცადინეობის ტემპი მკაცრად და რეალისტურად უნდა დაიგეგმოს.

ეს წესები „უეცრად მოპრიანების გამო“ გაკვეთილის გაცდენას სრულიად გამორიცხავს, ამასთან ბავშვს უძლიერებს დამოუკიდებლობისა და პასუხისმგებლობის გრძნობას. ბავშვმა უნდა იცოდეს, რომ გარდა მუსიკის გაკვეთილებისა ჩვენ მის საკუთარ გრძნობებსა და ფიქრებსაც პატივისცემით ვეპყრობით.

არ შეიძლება შვილს მეცადინეობა დაეძალოთ. არ შეიძლება წამდაუწუმ შევახსენოთ, რა ძვირი ღირდა ინსტრუმენტი და რამდენი იმუშავა მამამ, რომ ის შეეძინა. ასეთი საუბარი მხოლოდ სინდისის ქენჯნას გამოიწვევს და არა ბავშვის მუსიკით დაინტერესებას.

მშობლებმა ყოველგვარი „წინასწარმეტყველები-საგან“ თავი უნდა შეიკავონ. თუკი ღედა ხმამაღლა გამოთქვამს იმედს, რომ მისი შვილი ბრწყინვალე მუსიკოსი დადგება, ასეთმა მტკიცებამ შესაძლოა საქმეს

მხოლოდ ავნოს.

— კარგად თუ იმეცადინებ, შენ ისეთი ნიჭიერი ხარ, რომ ცნობილი მუსიკოსი გახდები!

ამგვარი სიტყვებიდან ბავშვი შემდეგ დასკვნას გამოიტანს: მთელი დატვირთვითაც რომ არ ვიმეცადინო, ჩემი მშობლების ილუზიებს სულაც არაფერი დაემუქრებაო.

ბავშვი მშობელთა მხარდაჭერას მხოლოდ მაშინ იგრძნობს, როდესაც დაინახავს, რომ მისი სიძნელები ყველასათვის გასაგები და ნათელია.

მუსიკის მესამე გაკვეთილზე ექვსი წლის როზალინს ორივე ხელით გამების დაკვრის შესწავლა დაევალებს. პედაგოგმა ოსტატურად უჩვენა ბავშვს ეს სავარჯიშო და უთხრა: „ეს სულაც არ არის ძნელი, აბა სცადე!“ როზალინმა გამის ვამეორება სცადა, მაგრამ, ცხადია, გაუჭირდა. იმ საღამოს გოგონა შინ შეწუხებული დაბრუნდა, მაგრამ როდესაც დედასთან ერთად სამეცადინოდ მიუჯდა ინსტრუმენტს, დედამ დაუყვავა: „მთელი გამის ცალი ხელით დაკვრა არც ისე ადვილია, ორი ხელით კი ძალიან ძნელია“. როზალინი სიხარულით დაეთანხმა ამ აზრს, მერე ფრთხილად შეუდგა გამის დაკვრას. დედამაც არ დაახანა: „რა გინდა, მშვენივრად არ ჩევ ნოტებს!“ აშკარად კმაყოფილმა როზალინმა უპასუხა: „ოცი, კარგა ძნელი ყოფილა“. იმ საღამოს ბავშვი ჩვეულებრივზე მეტხანს მეცადინეობდა. მთელი შემდეგი კვირის განმავლობაშიც განსაკუთრებული მონღომებით იმეცადინა და მანამ არ მოისვენა, სანამ გამის დაკვრა თვალდახუჭულმა არ შესძლო.

ჯიბის ფული ბავშვის აღზრდის ერთ-ერთი საშუალებაა, რომელიც მიზნად ისახავს შევასწავლოთ მას ფულის ყადრი — ვასწავლოთ ფულის ხარჯვა, საყიდლების შერჩევა და თავის არჩევანზე პასუხისმგებლობა. მკაცრი კონტროლი ხარჯვაზე გააბათილებს ჯიბის ფულის მნიშვნელობას. აუცილებლად უნდა დავამუშაოთ ჯიბის ფულის მიცემის საერთო პრინციპი, უზრუნველვყოთ ბავშვისათვის აუცილებელი ტრანსპორტის, სკოლისა და სხვა ხარჯები. რაც უფრო დიდია ბავშვი, მით უფრო მეტი ფულის მიცემა მოგვიწევს მისთვის ყურნალებზე ხელმოსაწერად, კინოსა და თეატრის ბილეთებისათვის, ტანსაცმლის აქსესუარებისათვის და სხვ.

გაუმართლებელი იქნება ბავშვებისაგან თავიდანვე მოველოდეთ ჯიბის ფულის გონივრულ ხარჯვას. მათი უმრავლესობა საკუთარი ბიუჯეტის რეგულირების უცოდინარობის გამო მთელ ფულს ერთბაშად ხარჯავს. ეს საკითხი ბავშვთან ერთად საქმიან განხილვას მოითხოვს, რათა მშობელი და შვილი ურთიერთშეთანხმებამდე მივიდნენ. თუ ჯიბის ფულის ერთდროულად ხარჯვის შემთხვევები მეორდება, ალბათ, უკეთესი იქნება საერთო თანხა უფრო მცირე ნაწილებად დავყოთ და ბავშვს კვირაში ორჯერ ან სამჯერ ვაძლიოთ. ყოველად დაუშვებელია ბავშვს ამ ფულის შეწყვეტით დავემუქროთ, თუკი ის ცუდად მოიქცევა, არ დაგვიკვრებს ან სწავლაში ჩამორჩება. არ ღირს შევუზღუდოთ

ბავშვს მისთვის გამოყოფილი თანხის მიცემა ჩხუბის შემთხვევაში ან, გავუზარდოთ თანხა „მშვიდობიანი ურთიერთობის“ დროს.

რამდენი უნდა მივცეთ ბავშვს ჯიბის ფულად? ერთგვაროვანი პასუხის გაცემა შეუძლებელია. ჯიბის ფულის რაოდენობა ჩვენს ბიუჯეტს უნდა შეესაბამებოდეს. ამ შემთხვევაში, მეზობლის მიბაძვა და ამის გამო შესაძლებელზე მეტის მიცემა არას გვარგებს. თუ ბავშვი უკმაყოფილოა, გულწრფელი თანაგრძნობით უნდა ვუთხრათ: „ფუჭებარ, რომ მეტის მოცემა არ შემიძლია, მაგრამ რა ვქნა, საშუალება არა მაქვს“. ეს უკეთესია, ვიდრე ის, რომ შევეცადოთ ბავშვი დავარწმუნოთ — ის ფული, ჩვენ რომ გაძლევთ, შენთვის საკლებით საკმარისიაო.

გამოუცდელი ადამიანისათვის ძნელია ფულის გონივრული ხარჯვა. ასევე გასათვალისწინებელია ბავშვის პირადი მონაცემები ამ საკითხთან დაკავშირებით. სჯობს მცირე თანხით დავიწყოთ და მერე ეს თანხა ნელ-ნელა გავზარდოთ, რომ ბავშვი ფულს დიდი რაოდენობით არ „გადავტვირთოთ“. ბავშვებისათვის ფულის მიცემა სასკოლო ასაკიდან უნდა დავიწყოთ, ეს დაეხმარება კარგად ისწავლონ თვლა, მიმატება — გამოკლება... უფროსებს ერთი მნიშვნელოვანი პირობის შესრულება მართებთ: ის ფული, რომელიც წინასწარ განსაზღვრული ხარჯებიდან დარჩებათ, თვით ბავშვებს ეკუთვნის და როგორც მოუნდებათ ისე უნდა დახარჯონ.

ხშირად ბავშვს შინ ისეთი მეგობრები მოჰყავს, რომლებიც ჩვენ სულაც არ მოგვწონს, მაგრამ სანამ ამის საწინააღმდეგო პროტესტს განვატყაბდებდეთ, კარგი იქნება თუ ჩვენი შვილის მიდრეკილებებს შევიწყვავლით.

როგორი მეგობრები სჭირდებათ ჩვენს შვილებს?

მეგობრები დადებით ზეგავლენას უნდა ახდენდნენ ერთმანეთზე. ბავშვს ისეთ ადამიანთან უნდა ჰქონდეს ურთიერთობა, რომელიც მისი ხასიათის, ჭკუისა და ინტერესების საპირისპირო იქნება—გულდახურულ ბავშვს უფრო გულთა მეგობრები სჭირდება, „დედას ბიჭს“ — დამოუკიდებელი ამხანაგები, მშიშარას — გულადი. თუ ბავშვი ერთთავად თავისი ოცნების სამყაროშია ჩაძირული მას ისეთ ბავშვებთან ურთიერთობა მოუხდება, რომლებიც ცხოვრებაზე შედარებით პროზაული შეხედულებებისანი არიან. აგრესიული ბავშვი იძულებული იქნება თავი შეიკავოს მშვიდი ბავშვების გარემოცვაში. ჩვენი ამოცანაა ბავშვი იმასთან სამეგობროდ მივმართოთ, ვინც თვით მას არა ჰგავს.

ზოგ შემთხვევაში სჯობს ბავშვებს დაუშვალეთ მეგობრობა, თუკი ორივე ინფანტილური, აგრესიული ანდა გულჩათხრობილია.

მეგობრებზე წარმოდგენის შეცვლა ძალზე დელიკატურად უნდა მოვახერხოთ.

ცხოველური ბინაში

თუ ბავშვი პირობას გაძლევთ, რომ შინაურ ცხოველს პოუვლის, ეს მხოლოდ მის კეთილ სურვილად უნდა

მივიჩნიოთ და არა იმის დამამტკიცებელ საბუთად, რომ მას მართლაც შეუძლია შინაური ცხოველების მოვლა. შეიძლება ბავშვს მართლაც ძალიან უნდა სახლში ჰყავდეს ძაღლი, რომელსაც სულით და გულით შეიყვარებს, მაგრამ მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში თუ შესძლებს იგი ამ ძაღლს მიხედოს. ბავშვს არ ძალუძს იტვირთოს ცხოველისათვის საჭირო ყოველდღიური ზრუნვა.

უსარგებლო საყვედურები და იმედის გაცრუება რომ ავიცილოთ, თავიდანვე უნდა ვიგულისხმოთ, რომ ძაღლზე მზრუნველობა ძირითადად მშობლებს დააწვევებათ კისერზე. თუმცა ისიც სათქმელია, რომ ცხოველთან ურთიერთობა ბავშვს უზარმაზარ სარგებლობას მოუტანს, იგი ისწავლის ცხოველზე ზრუნვას, მაგრამ ამ ცხოველის სიცოცხლესა და კეთილდღეობაზე პასუხისმგებლობა ყოველთვის უფროსს აკისრია.

როგორ ვითვალთ — „პარკი“

კარგი მშობლები, ისევე, როგორც კარგი მასწავლებლები ისინი არიან, ვინც ყოველთვის მხარში უდგანან თავიანთ ბავშვებს. ასეთ მშობლებსა და მასწავლებლებს კმაყოფილებას ანიჭებს იმის შეგნება, რომ ბავშვებს შეასწავლეს არჩევანის დამოუკიდებლად მოხდენა და საკუთარ ძალებზე დაყრდნობა. ბავშვებთან საუბრისას ისეთი გამოთქმები უნდა გამოვიყენოთ, რომელთა საშუალებითაც დავარწმუნებთ, რომ ჩვენ ვენდობით მათს შესაძლებლობებს. თუ ბავშვის თხოვნა ჩვენთვის სავსებით მისაღებია, ჩვენი პასუხი ისეთი სიტყვებით უნდა

გამოხატოთ, რომლებითაც ხაზს გავუსვამთ მისი, როგორც პიროვნების დამოუკიდებლობას.

აი, რამდენიმე მაგალითი:

— შენ თუ გინდა.

— შენ თუ თანახმა ხარ.

— ეს შენ უნდა გადაწყვიტო.

— შენ როგორც მოისურვებ.

— კარგი, როგორც შენ გინდა, მე თანახმა ვარ.

რა თქმა უნდა, ზოგჯერ უბრალოდ „კარგიც“ საკმარისია, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი თანხმობის ვრცლად გამოხატვა ბავშვს უფრო მეტ კმაყოფილებას ანიჭებს: ჩვენ გვჯერა მისი, რადგან ის დამოუკიდებელი ადამიანია.

თავი V

დისციპლინა — ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს

საკუთარ თავში დაუჩინებლობა და მისი შედეგები

როთი განსხვავდება ჩვენი და ჩვენი ბებია-პაპების დრო ერთმანეთისაგან? პაპაჩვენს რაც არ უნდა ეკეთებინა, იგი სავსებით დარწმუნებული იყო საკუთარ სიმაართლეში. რაც არ უნდა ვაკეთოთ ჩვენ, მუდამ ეჭვები-

საგან ვიტანჯებით. მაშინაც კი, როცა პაპა ცდებოდა, იგი ძალზე ავტორიტეტულად მოქმედებდა, ხოლო ჩვენ, მაშინაც კი, როდესაც ვიცით, რომ მართლები ვართ, მაინც გამუდმებით ვორჭოფობთ. რატომ ხდება ასე? აი, ერთი დედის წერილი, რომელიც ზემოთნათქვამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს:

„ძალზე მიჭირს ლაპარაკი იმაზე, რაც ნაღლეებს. იქნებ წერილში უკეთ შევძლო ჩემი აზრების გამოხატვა. თუ რაიმე დამეიწყდა, იმედი მაქვს სტრიქონებს შორის ამოიკითხავთ. თქვენ წარმატებით ხელმძღვანელობდით მშობელთა სადისკუსიო ჯგუფის მეცადინეობებს, თუმცა მე ეს სავსებით ვერ მაკმაყოფილებდა — მსურდა, რაც შეიძლება მეტი რამ გამეგო ბავშვთა აღზრდის შესახებ. სამაგიეროდ ძალზე ვამახარა თქვენმა ნათქვამმა, რომ მშობელი არასოდეს ცდილობს წინასწარი განზრახვით ზიანი მოუტანოს თავის შვილს, ეს უნებურად გამოსდის.

მართლაც, არავინ ისწრაფვის საკუთარი ბავშვის დამახინჯებას, — არც მორალურად, არც ემოციურად, არც სულიერად. თუმცა ყველაზე ხშირად სწორედ ასე ვიქცევით. რამდენჯერ შევძრწუნებულვარ იმ სიტყვების გახსენებაზე, ჩემი შვილისთვის რომ მითქვამს. ძალზე ვშიშობ, რომ მას მოუშუშებელი ჭრილობები მივაყენე“.

არავისა აქვს უფლება ეჭვი შეიტანოს ამ წერილის ავტორის გულწრფელობასა და შვილისადმი მის ერთგულებაში. მაგრამ გაცილებით უკეთესი იქნებოდა, რომ ამ მანდილოსანს დანაშაულის შეგრძნებასთან ერთად

საქმის გამოსწორებაც შესძლებოდა. ანალოგიას მივმართავ და ვიტყვი: ვეჭვობ ნდობა აღედგა იმ ექიმს, რომელიც ხელმოტეხილი ავადმყოფის დანახვაზე ატირდებოდა, სისხლზე ხომ სულაც გული წაუვიდოდა. ექიმისაგან მოველით თანაგრძნობას, პროფესიული მომზადების დონეს და არა ისტერიკასა და ცრემლებს. მშობლებიც სწორედ ასევე, უფრო „პროფესიულად“ უნდა უდგებოდნენ თავიანთი შვილების საქციელს. დისციპლინასთან დაკავშირებული ბევრი საკითხის გადაწყვეტა სრულიად ადვილად, ყოველგვარი ემოციების გარეშეა შესაძლებელი. თუ მშობლებიც სულ ყვირიან და ღიზიანდებიან, ამ პრობლემებმა შეიძლება ძალზე სერიოზული ხასიათი მიიღოს და დიდხანს გააწამოს მთელი ოჯახი.

მშობლიური სიზარულის მოთხოვნილება და გავრცობა ბირანია

მშობლებს უნდა გვიყვარდეს საკუთარი შვილები, მაგრამ დაუშვებელია ავადმყოფობამდე მისული გრძნობები გვექონდეს და ბავშვებისაგანაც მოვითხოვდეთ ყოველთვის ერთნაირ მხურვალე სიყვარულს. ძალზე წაგებულნი რჩებიან ის მშობლები, რომლებისთვისაც ბავშვები ქორწინების ერთადერთ გამართლებასა და მთელი სიცოცხლის აზრს წარმოადგენენ. ბავშვის სიყვარულის დაკარგვის შიშით მშობლები ვერ ბედავენ მისთვის რაიმეზე უარის თქმას და ასეთი ბავშვიც ნამდვილ შინაურ ტირანად გადაიქცევა ხოლმე. როდესაც ბავშვი გრძნობს მშობლების სიყვარულის მოთხოვნი-

ლებას, ამ სისუსტით ულმობლად სარგებლობს და ისე ბატონობს მათზე, როგორც ურამოჭრილ მონებზე.

ბევრია ისეთი ბავშვი, დედას რომ ემუქრება, იცოდე, აღარ მეყვარებიო. ისინი თითქმის შეუგნებლად, ყოველი ფეხის ნაბიჯზე შანტაჟს უწყობენ საკუთარ მშობლებს. ტრაგედია ის კი არ არის, რომ ბავშვები იმუქრებიან, არამედ ის, რომ მშობლებს ეშინიათ ამ მუქარისა. ზოგი მშობელი ბავშვის სიტყვებს სრულ ქეშმარიტებად ღებულობს, ტირის და შვილს ემუდარება სიყვარული არ მოაკლოს, ამისათვის კი ყველაფრის უფლებას აძლევს.

მაინც რისი უფლება მივცეთ ბავშვს და რა დავუშალოთ? პირველ რიგში უნდა გვახსოვდეს, რომ ბავშვები მაინც ბავშვები არიან და ნებისმიერ ნორმალურ ბიჭუნას თუ გოგონას სუფთა პერანგი თვალის დახამბამებაში გაუჭუჭყიანდება. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ მათ ჩვეულებრივ სიარულს სირბილი ურჩევნიათ; ხეები, მათი აზრით, იმიტომ არსებობს, რომ ზედ აძვრნენ, სარკე კი იმიტომ, რომ შიგ საკუთარ გამოსახულებას დაეჭლანონ.

ერთი სიტყვით, ბავშვები ყოველმხიზგარეშე სერიოზულად უნდა მივილოთ. მათ ოცნებებსა და პატარა პატარა გამოგონებებს, მათ სურვილებს, მათ ფიქრებსა თუ გრძნობებს გამგებიანად უნდა შევხედოთ და შევეცადოთ ყოველგვარ ემოციას შესაბამისი გამოსავალი მოვუწახოთ. ბავშვებს ახასიათებთ „დანგრევის“ ინსტიქტი. რაც მშობლებმა უნდა შეაკავონ და უზრუნველყონ მათი განმუხტვა. რა შემთხვევაში უნდა შეიძლება?

ბავშვებს უნდა მისცეთ „საბავშვო“ ნახატების ზატვის უფლება, სუ დაუშლით სამიზნე-მტერს ისრები და უშინონ, შუაზე გახერხონ მტრის გამოსახულება, არივ-დარიონ სათამაშოები, შეთხზან გესლიანი ლექსები, წე-რონ დეტექტიური რომანები, სადაც ბევრი მკვლელობა იქნება. მოკლედ, მათი ასეთი სიმბოლური საქციელი ჩვენთვის მისაღები და გასაგები უნდა გახდეს. თუმცა, ზედმეტის, აკრძალულის პატიება საჭირო არ არის. თუ ბავშვის გრძნობებს გამოსავალს გამოუფნახავთ და ვას-წავლით ამ გრძნობების სწორად გამოხატვას, მას უფ-როსებისადმი ნდობას გაუფლვიძებთ, ხოლო როცა ბავშვს ზედმეტის უფლებას აძლევენ, ეს უფრო მეტი პრივი-ლეგიის მიღწევის სურვილს უჩენს.

ახლევანი მიდგომა: განსხვავებულად მოეპყარით ბავშვის გრძნობებსა და საქციელს

დისციპლინისადმი ახლებური მიდგომის ქვაკუთხედი ბავშვის სურვილებისა და საქციელის მკაცრი გამიჯვნა გახლავთ. ჩვენ უნდა შევზღუდოთ საქციელი, მაგრამ სურვილებს წინ არ უნდა აღუდგეთ.

დისციპლინასთან დაკავშირებული მრავალი საკითხი ორი ნაწილისაგან შედგება: გაბრაზება და მისგან გა-მოწვეული მოქმედებანი. ამ ნაწილების მიმართ სხვა-დასხვა დამოკიდებულება უნდა ვიქონიოთ: გრძნობები უნდა განვსაზღვროთ და გამოვხატოთ, ხოლო მოქმედე-ბანი შევზღუდოთ და სხვა კალაპოტში მივუშვათ. ზოგ-ჯერ ბავშვის გრძნობების უბრალო განსაზღვრაც კი გვენბარება ყველაფრის თავის ადგილზე დაყენებაში.

დედა — დღეს ვიღაცაზე გაბრაზებული ხარ.

შვილი — ჰო, გაბრაზებული ვარ.

დედა — ვინ გაგაბრაზა?

შვილი — შენ.

დედა — რაშია საქმე, ამისხენი.

შვილი — ბაღში სასეირნოდ მართო სტივი წაიყ-ვანე, მე კი შინ დამტოვე...

დედა — ამიტომაც გაბრაზდი, არა? ალბათ იფიქ-რე, დედას ჩემზე მეტად სტივი უყვარსო.

შვილი — დიახ!

დედა — ზოგჯერ მართლაც ასე გეჩვენება, არა?

შვილი — რა თქმა უნდა.

დედა — იცი რა, როცა იგრძნობ, რომ ამის გამო ბრაზი მოგდის, მითხარი ხოლმე.

მაგრამ ხანდახან საჭიროა მკაცრად შევაჩეროთ შვილი.

ოთხი წლის სემმა კატისთვის კუდის მოჭრა განიზრა-ხა, რათა ენახა „შიგნით რა იყო“. დედა მიხვდა, რომ ბავშვის საქციელი ბუნების საიდუმლოებათა წვდომის სურვილით იყო ნაკარნახევი, მაგრამ კატის ხელის ხლე-ბა გადაჭრით აუკრძალა: „ვიცი, რომ გაინტერესებს, შიგნით რა არის, მაგრამ კატა ხომ ცოცხალია! თავი და-ანებე. მაგას სჯობს ენციკლოპედიაში მოვძებნოთ ისე-თი ნახატი, სადაც ჩანს, „შიგნით“ რა არის“.

როცა ხუთი წლის ტედის დედამ დაინახა, რომ შვი-ლი მისაღები ოთახის კედელს დაუფიქრებლად უსვამ-და ფანქარს, პირველი რაც დააპირა, ეს შვილის გა-ტყეპვა იყო, მაგრამ ბავშვს ისეთი შეშინებული სახე

ჰქონდა, რომ დედას ხელი არ დაემორჩილა. მან ტედს ქალაღის რამდენიმე ფურცელი მიაწოდა: „აჰა, ეს ფურცლები და კედელზე ნუ დახატავ, კარგი?“ — და შპალერადან ნახატის ჩამოწმენდას შეუდგა. „დედიკო, როგორ მიყვარხარ...“ — ჩაიბუტბუტა სახტად ღარჩენილმა ტედიმ.

ზოგი კი მსგავს სიტუაციაში სულ სხვაგვარად იქცევა: „რას აკეთებ? რა არის ეს? არ იცი, რომ კედლებზე ხატვა არ შეიძლება? ოხ, შე საზიზღარო! რა უნდა გიყოს ადამიანმა, იცი? მოიცა, მოვიდეს მამაშენი, ყველაფერი თუ არ ვუთხრა! ნახე, როგორ გაიტყუებები!“

დისციპლინა გუზინ და ღღუს

ადრე მშობლებმა მხოლოდ აკრძალვა იცოდნენ და არ ფიქრობდნენ თუ რით იყო გამოწვეული ბავშვის ესა თუ ის ცუდი საქციელი. ამასთან აკრძალვა უფრო ხშირად ჩხუბის დროს ხდებოდა და ამიტომ მუდამ უნდოვანი და შეურაცხყოფელი იყო ბავშვისათვის.

დისციპლინის თანამედროვე გაგება ეხმარება პატარას მოერიოს თავის გრძნობებს და კრატეკულად შეხედოს საკუთარ საქციელს.

მშობლები შვილებს უფლებას აძლევენ გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულება, ახსნან, რას გრძნობენ, მაგრამ ამასთან ზღუდავენ და კრძალავენ ცუდ საქციელს. აკრძალვები კი ისე უნდა დაეწესოს, რომ არც ბავშვისა და არც მშობლის ღირსებას არ შეეცხოს. აკრძალვებ-

ბი თვითმიზნური არ უნდა იყოს, ისინი მხოლოდ აღმზრდელობითი მიზნით უნდა გამოვიყენოთ.

თუკი დისციპლინარულ შეზღუდვებს ამგვარად დავწესებთ, ბავშვი მიხვდება, რომ აუცილებელია ქცევის თუნდაც ნაწილობრივი შეცვლა. მაშინ მშობლების მიერ თავსმომხვეული დისციპლინა, თვითდისციპლინად გადაიქცევა.

სამფეროვანი ველი

ბავშვს ნათლად უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი, თუ რის უფლებას აძლევენ და რა ეკრძალება. ასეთ შემთხვევაში იგი უფრო თავდაჯერებულია. დოქტორ ფრიც რედლის მიხედვით, ბავშვის დასაშვებ ქცევათა დიაპაზონი სამფეროვან ველს წარმოადგენს: მწვანე ფერის ველი ისეთ საქციელს განსაზღვრავს, რომელიც არამცთუ დასაშვებად მიგვაჩნია, ვაქეზებთ კიდევ ბავშვს მის შესასრულებლად. ყვითელი ველი — დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში.

მაგალითად:

1. არ შეიძლება ბავშვის დასჯა, როდესაც იგი ჯერ მხოლოდ სწავლობს ქცევის ნორმებს. ზოგიერთი საქციელი შეიძლება დასაშვებად მივიჩნიოთ ქცევის შემდგომი გაუმჯობესების იმედით.

2. არსებობს ისეთი განსაკუთრებული მიზეზები, რომლებიც ე. წ. სტრესულ მდგომარეობასთან არის დაკავშირებული: უბედური შემთხვევა, ავადმყოფობა, ბინის გამოცვლა, მეგობრებთან განშორება, ახლობელი ნათესავის სიკვდილი ანდა მშობლების გაყრა. ასეთ

შემთხვევებში ბავშვს მეტ თავისუფლებას ვანიჭებთ, რადგან მის სულიერ მდგომარეობას ვითვალისწინებთ. თუმცა ბავშვს მაშინაც უნდა ვაგრძნობინოთ, რომ ჩვენი შემწყნარებლობა ამჯერად მხოლოდ განსაკუთრებულ მდგომარეობით არის გამოწვეული.

წითელი ფერის ველი ისეთ საქციელს განსაზღვრავს, რომელიც არასოდეს, არც ერთ სიტუაციაში არ ჩაითვლება მისაღებად. ამ ველში შედის ისეთი საქციელი, რომელიც ოჯახის წევრთა ჯანმრთელობას, საზოგადოებაში მათ ავტორიტეტს და ფინანსურ მდგომარეობას ემუქრება. ამავე ველში ერთიანდება ისეთი მოქმედებანი, რომლებიც იკრძალება, როგორც ეთიკის, ასევე სოციალური კანონმდებლობით.

ამ სამფეროვანი ველის საზღვრების დაცვას ძალზე დიდი როლი ენიჭება. თუ ბავშვს რაიმე აკრძალულის კეთების უფლებას აძლევენ, მას სული აფორიაქებული აქვს. რვა წლის ბიჭმა, რომელსაც დედამ ნება დართო ღია ავტობუსის საფეხურზე დაკიდულს ემგზავრა, მას ბრალი დასდო — არ გეყვარვარო: „მართლა რომ გყვარებოდი, უფლებას არ მომცემდი, სიცოცხლე საფრთხეში ჩამეგდო“. მეორე ბიჭუნამ პატავისცემა დაკარგა მშობელთა მიმართ, რადგან მათ არ შეაჩერეს ბავშვები, რომლებიც ბიჭის „ქიმიურ ლაბორატორიას“ ამტვრევდნენ. ბავშვებს ძალიან უჭირთ მათთვის სოციალურად მიუწვდომელი რეაქციების, გრძნობებისა და სურვილების გამკლავება. ამ ბრძოლაში მშობლები მათი მოკავშირეები უნდა გახდნენ. დასაშვებ საქციელთა განსაზღვრით ჩვენ ვებმარებით ჩვენს შვილებს, თითქოს მო-

ვავიწყობთ: „ნუ შეგეშინდება შენი საქციელისა, მე შენს გვერდით ვარ, მე დაგიცავ შორს შეტოპვისაგან“.

რა შეიძლება და რა არ შეიძლება

ძნელია „შეზღუდვათა პოლიტიკის“ გატარება იქ, სადაც შედეგი აღზრდის მთელი პროცესის წარმატებულება დამოკიდებული. აკრძალვები ისე უნდა განესაზღვროთ, რომ ბავშვმა დანამდვილებით იცოდეს: 1. კერძოდ რა არ შეიძლება; 2. რა შეიძლება აკრძალული მოქმედების ნაცვლად (მაგ.: „არ შეიძლება თეფშების იატაკზე დაყრა, ბალიშებისა შეიძლება“).

უმჯობესია თუ აკრძალვა სრული იქნება და არა ნაწილობრივი. ხომ არ არსებობს განსხვავება ამ ორ წინადადებას შორის: „ნურასოდეს დაღვრი წყალს ტყუილად“ და „ნუ ასხამ დას თავზე წყალს“. თუ ბავშვს ეტყვი: „მიდი, ცოტა გაწუწუ შენი დაიკო, ოღონდ კაბა არ დაუსველო“, ბავშვი სულმთლად დაიბნევა, მას მკვეთრი კრიტიკიუმი აღარ ექნება გადაწყვეტილების მისაღებად.

აკრძალვა აუცილებლად მტკიცე, კატეგორიული უნდა იყოს: „ამის გაკეთება არ შეიძლება — აი, ჩემი საბოლოო სიტყვა. მე სერიოზულად გეტუბნები“. თუ მშობლებმა არ იციან რა ქნან, სჯობს არ იჩქარონ, დასხდნენ და კარგად მოიფიქრონ, როგორ მოიქცნენ. მოუფიქრებელი და უგერგილო აკრძალვები ბავშვის გამოწვევას ჰგავს. იწყება ბრძოლა, რომელიც, ვეჭვობ, ვინმეს გამარჯვებით დასრულდეს. აკრძალვა ისე უნდა

გამოვთქვამთ, რომ ბავშვს ღირსება არ შეეფულებოდა, არ გავაწიბლოთ იგი. არ შეიძლება ბავშვის შეურაცხყოფა, არ შეიძლება მისი გამოწვევა, რასაც იგი, ცხადია, ძლიერი უარყოფითი რეაქციით უპასუხებს. აუცილებლად უნდა ჩავკლათ ჩვენში სურვილი ერთი ხელის დაკვრით გადავჭრათ მსგავსი პრობლემა. აქ მოტანილი მაგალითი გვიჩვენებს თუ როგორ არ უნდა იქცეოდეს უფროსი.

რვა წლის ენი დედასთან ერთად მაღაზიაში შევიდა. ვიდრე დედა საყიდლებით იყო დაკავებული, გოგონა სათამაშოების განყოფილებაში თოჯინებით ერთობოდა და ბოლოს რამდენიმე „ყველაზე ლამაზი“ თოჯინა ამოირჩია. გოგონამ დაბრუნებულ დედასთან მიიღბინა და ჩურჩულით ჰკითხა:

„დედიკო, რომელი თოჯინა წაიყვანოთ სახლში?“

დედას ახალი კაბა ეყიდა, ფული დაეხარჯა და ამიტომ გაღიზიანებულმა უთხრა: „იმდენი თოჯინა გყავს, სად წავიღო, არ ვიცი! რასაც დაინახავ, ყველაფერი გინდა!“

დედა მალე მიხვდა თავის შეცდომას, გოგონას დაუყვავა და ნაყინი უყიდა. მაგრამ მიუხედავად ამისა, ენი მაინც ნაწყენი დარჩა.

თუ ბავშვი ისეთ რამეს გთხოვთ, რისი შესრულებაც არ შეგიძლიათ, ის მაინც უნდა აგრძნობინოთ, რომ გესმით მისი. მაგალითად, დედას შეეძლო ენისთვის ეთქვა:

— ალბათ როგორ გინდა, რომ ეს ლამაზი თოჯინა შინ წამოიყვანო.

— მესმის, ძალიან გინდა ყველა სათამაშო თან წამოიღო, მაგრამ რა ვქნა, ახლა ფული არა მაქვს. თუ

გინდა, მოდი გასაბერი ბურთი ვიყიდოთ, ან კევი, რომელი გირჩევნია?

ეთქვათ, ბავშვმა კევი აირჩია, დედა მისცემდა ფულს და ეტყოდა: „მიდი, გაიქეცი, ჩქარა იყიდე“ და ინციდენტიც ამით დამთავრდებოდა. ენის რომ ცრემლი ღვარად სდიოდეს, დედა მაინც თავისაზე უნდა იღვეს: „ვიცი, რომ ყველა სათამაშო მოგწონს, ეს თოჯინაც ძალიან ლამაზია, იმასაც ვხედავ, როგორ ტირიხარ და ყველაფერი მესმის, მაგრამ რა ვქნა, შვილო, ნამდვილად არა მაქვს ფული“.

აკრძალვები სხვადასხვაგვარად შეგვიძლია განვსაზღვროთ. ზოგჯერ ასეთი „საფეხურებრივი“ სისტემა ძალზე სასარგებლოა:

1. მშობლები აღიარებენ, რომ მსგავსი სურვილი სრულიად ბუნებრივია: „გვესმის, რომ ძალიან გინდა დღეს კინოში წასვლა“.

2. ისინი გარკვევით კრძალავენ რომელიმე მოქმედებას: „მაგრამ დღეს არ შეგიძლია ამისი ნება მოგცეთ, დღეს ხომ საშუაო დღეა“.

3. ასწავლიან ბავშვს, როგორ უნდა განახორციელოს, თუნდაც ნაწილობრივ საკუთარი სურვილი: „პარასკევს ან შაბათს წადი“.

4. ეხმარებიან ბავშვს გამოხატოს თავისი უკმაყოფილება ამ აკრძალვების გამო:

— შენ, რა თქმა უნდა, ეს არ მოგწონს.

— ალბათ გერჩივნა, ჩვენს ოჯახში ასეთი წესი არ ყოფილიყო.

— ყოველ საღამოს სიამოვნებით ივლიდი კინოში.

— როცა დიდი გაიზრდები, შვილებს ყოველდღე კინოში ატარებ.

აკრძალვები ისეთი სიტყვებით უნდა ჩამოვაყალიბოთ, რომ ბავშვის ღირსება არ შევლახოთ:

უკეთესია ვუთხრათ: „სამუშაო დღეებში კინოში არ დადიან“, ვიდრე: — „ხომ მშვენივრად იცი, რომ სამუშაო დღეებში კინოში სიარული არ შეიძლება“. უკეთესია — „ძილის დროა“, ვიდრე — „დაწევი, დაიძინე, შენ ჯერ პატარა ხარ“. უკეთესია — „საბავშვო გადაცემების დრო ამოიწურა“, ვიდრე — „გეყოფა ტელევიზორის ყურება, ეხლავე გამოვრთე“.

„ყვირილი არ შეიძლება“ — გაცილებით უკეთ მოქმედებს, ვიდრე — „აბა, მორჩი ყვირილს“.

აკრძალვები უფრო მშვიდად აღიქმება, როცა საგნის ფუნქციაზე მივუთითებთ: „სკამზე სხედან, კი არ დგანან“ (და არა — „ახლავე ჩამოძვერი სკამიდან“).

დისციპლინის პრობლემა

დისციპლინის საკითხში პრობლემები განსაკუთრებით მაშინ წამოიჭრება, როდესაც საქმე ბავშვის ფიზიკური აქტივობის შეზღუდვას ეხება.

— ნუ დარბიხარ! ნორმალური ადამიანივით ვერ გაივლი?

- დაჯექი, როგორც წესი და რიგია!
- რა წეროსავით ცალ ფეხზე დგახარ?!
- წაიქცევი და თავს გაიტეხავ!

არ შეიძლება ბავშვის ორგანიზმის მოტორული

ფუნქციების დათრგუნვა. ბავშვისათვის აუცილებელია ხტუნვა, სირბილი, მოუსვენარი ცქმუტვა და სხვა. მოძრაობებთან დაკავშირებული თამაშობების აკრძალვა ბავშვს თრგუნავს, ცუდ გუნებაზე აყენებს და აგრესიულს ხდის.

ისე უნდა მოვიქცეთ, რომ ბავშვის ორგანიზმის ფიზიკური აქტივობის მოთხოვნილებამ შესაბამისი გამოხატულება ჰპოვოს. ეს ბავშვის კარგი ქცევისა და აქედან გამომდინარე, მშობელთა სიმშვიდის საწინდარია.

დისციპლინის დარღვევა

თუკი მშობლები რაიმეს აკრძალვის აუცილებლობას გარკვევითა და შვილის ღირსების დაუმცირებლად გამოთქვამენ, ბავშვი, როგორც წესი, ემორჩილება ამ აკრძალვას. თუმცა არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ იგი დროდადრო ნებისმიერ აკრძალვას არღვევს. საკითხავია, როგორ მოვიქცეთ, როცა ბავშვი არღვევს დაკანონებულ ნორმებს? მშობელი აუცილებლად მკაცრი, მაგრამ კეთილი უნდა იყოს. აკრძალვის დარღვევას მაშინვე შესაბამისი რეაქცია უნდა მოჰყვეს, მაგრამ იგი სიტყვაუხვი არ უნდა იყოს. დაუშვებელია კამათის წამოწყება აკრძალვის აუცილებლობის შესახებ. არ ღირს ხანგრძლივი ახსნა-განმარტების მიცემა ამ საკითხზე. აზრი არა აქვს ბიჭუნას საათობით ვუხსნათ თუ რატომ არ შეიძლება დას აწყენინოს, საკმარისია ამის თქმაც: „ცემა არ შეიძლება“. ასევე უშედეგოა იმის ახსნა, თუ რატომ

არ შეიძლება ფანჯარას ბურთი მოვარტყათ, უბრალოდ უნდა ვუთხრათ: „ეს არ შეიძლება“.

აი, მაგალითი, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ არ უნდა მოვიქცეთ აკრძალვის დარღვევის დროს:

დედა — როგორც ვხედავ, შენ მხოლოდ მაშინ გესმის ჩემი, როცა ვყვირი? რახან ეგრეა (ხმამაღლა, კივილით) ეხლავე გაჩერდი, თორემ ისეთს გაგცხებ, რომ თვალთ დაგიბნელდეს! აბა, ერთი, სცადე და კიდევ ესროლე!

შეშინებისა და მუქარის ნაცვლად დედას შეეძლო თავისი, სამწუხაროდ, სამართლიანი ბრახი სხვაგვარად გამოეხატა:

— ძალიან გაბრაზებული ვარ შენზე.

— გაჩერდი, ნუ მაბრაზებ!

— იცოდე, გავბრაზდები!

აკრძალვის დროს არ შეიძლება ორთაბრძოლა გავმართოთ იმის დასამტკიცებლად, რომ ეს აკრძალვა აუცილებელი და სამართლიანია.

შვილი! საბავშვო მოედანზე! — აქ ძალიან კარგია, სახლში არ წამოვალ.

მამა — მე კი გეუბნები — წამოხვალ-მეთქი!

ასეთი კინკლაობა ორიდან ერთ შედეგამდე მიგვიყვანს — ან მამა გაიმარჯვებს, ან შვილი, თუმცა არც ერთი არ არის სასურველი. ყველაფერს აჯობებდა მშვიდობიანად შეთანხმებულიყვნენ, ამისათვის კი მამას შვილისათვის ასე უნდა ეთქვა: შენ ისე მოგეწონა აქაურობა, რომ საღამომდე აქ იქნებოდი, მაგრამ დღეს მეტი დრო არა გვაქვს, შინ უნდა წავიდეთ.

ხოლო თუკი ბავშვი ამის მერეც გაჯიუტდებოდა, მამას ხელი უნდა ჩაეკიდა მისთვის და წაეყვანა. პატარებისათვის მოქმედება სიტყვებზე უფრო მჭკრმეტყველია.

მშობლებზე „თავდასხმა“

არასოდეს არ უნდა მივცეთ ბავშვს მშობლების ცემის უფლება. ასეთი „თავდასხმები“ ორივე მხრივ საზიანოა. დროდადრო ასეთი უსიამოვნო სურათის მოწმენი ვხდებით: პატარა ბიჭუნას უნდა, რომ დედას თავში ჩაარტყას, დედა კი ხელს უშვერს: „აჰა, დამარტყი, ოღონდ ძალიან მაგრად არა“. წესით კი დედას მაშინვე უნდა შეეჩერებინა შვილი — „ცემა არ შეიძლება, ამის უფლებას არ მოგცემ“.

ეს აკრძალვა სამუდამო უნდა იყოს, მისი შეცვლა არ შეიძლება. კარგი აღზრდა მშობლებისა და შვილების ურთიერთბატისციემაზეა დაფუძნებული.

ცემა

მართალია ბავშვის ცემას ძალზე ცუდი „რეპუტაცია“ აქვს, მაგრამ იგი ზემოქმედების მაინც დიდად პოპულარულ მეთოდს წარმოადგენს. ჩვეულებრივ, ბავშვებს სცემენ მაშინ, როცა უფრო მშვიდობიანი მეთოდები — ხვეწნა ან მუქარა არ გაუღიან. დიახ, ცემა მოცემულ სიტუაციაში აუცილებელ შედეგს იძლევა — დაძაბულობა დაცხრება, ბავშვი დაგემორჩილება. მაგრამ თუ ცემა ასეთი ეფექტურია, მაშ რატომღა გვიჩნ-

დება უსიამოვნო გრძნობა, როცა მას მივმართავთ?

ცემა ბავშვს აჩვენებს ცუდი განწყობილების განმუხტვის არასწორ ფორმას. იმის ნაცვლად, რომ შვილს რეაქციების გამოხატვის „ცივილიზებული“ ფორმა ვასწავლოთ, თავიდანვე ველურ ფორმას — ცემას ვაჩვენებთ.

ცემის ყველაზე ცუდი შედეგი კი მაინც ის არის, რომ ვაბრკოლებთ ბავშვის აღზრდას — ცემა დანაშაულის გრძნობას სწრაფად ხსნის და ბავშვი კვლავ აძლევს საკუთარ თავს ცუდი საქციელის უფლებას. ხშირად ბავშვები თვითონვე იწვევენ მშობლებს საცემრად, ერთი მამის სიტყვებით რომ ვთქვათ — „თვითონ ითხოვენ“.

ასეთ ბავშვებთან საჭიროა გულღია საუბარი, მათი საქციელის გარჩევა და ზოგჯერ იმის მინიშნებაც, თუ როგორ ფორმებში გამოამჟღავნონ ბრახი. როცა მშობლები და შვილები ერთად, შეთანხმებულად მოქმედებენ, ფიზიკური დასჯის აუცილებლობა ქრება.

თ ა ვ ი VI

ბავშვის დღის რეჟიმი

ცივილიზებულ სამყაროში მშობლებს „ცერბერთა“ როლი აკისრიათ, რომლებიც ყველაფერს უკრძალავენ ბავშვებს: არ შეიძლება თითის წოვა, ტიტლიკანა სიარუ-

ლი, თითით ცხვირის ქექვა, ხმაური. პატარებს ცივილიზაცია სასტიკად ექცევა: დედის რძის ნაცვლად საწოვარცან ბოთლს სთავაზობს, ხოლო თბილი, სველი საფეხების მაგივრად ღამის ცივ ქოთანსა და მოთმინების აუცილებლობას.

ზოგიერთი შეზღუდვის ცოდნა, რა თქმა უნდა, აუცილებელია — ბავშვიც ხომ საზოგადოების წევრია, თუმცა არც ის ვარგა მშობლები ძალიან შეიჭრან „ცივილიზაციის დამცველის“ როლში, თორემ ბავშვების უარყოფით რეაქციასა და მტრულ დამოკიდებულებას გამოიწვევენ.

აღვიძება

დედა არ უნდა აღვიძებდეს შვილს, რადგან შეიძლება ბავშვს მის მიმართ არასასურველი გრძნობა გაუჩნდეს. დილაობით ბავშვს ხომ სწორედ დედა გადაახდის ხოლმე საბანს და თბილი ლოგინის მიტოვებას აიძულებს. გაცილებით უკეთესი იქნება, თუკი ბავშვი მალევიძარას გამოყენებას მიეჩვევა.

რვა წლის ივონას ძალზე უჭირდა დილაობით გავიძება, არც ლოგინში კოტრილაზე ამბობდა უარს, ამიტომ ის ზედმეტი „ერთი წუთი“ ყოველთვის იჭიმებოდა. დედა ხან ხვეწნას მიმართავდა, ხან მუქარას, ზოგჯერ ეჩხუბებოდა კიდევ, მაგრამ საქმეს ვერა და ვერ ეშველა: ივონა ზღაპრით დგებოდა, მოღუშული საუზმობდა და სკოლაშიც იგვიანებდა.

საქმე მხოლოდ მას მერე გამოსწორდა, როცა დე-

დამ შვილს საჩუქრად ელექტრომაღვიძარა უყიდა, ყუთში კი ასეთი წერილი ჩაუდო: „ივონას, რომელსაც არ უყვარს, დილაობით რომ აღვიძებენ. ახლა შენი თავი შენვე გეკუთვნის. გკოცნი. დედა“.

ივონა გაოცებული და ნასიამოვნები დარჩა:

— დედი, შენ რა იცი, რომ არ მიყვარს, როცა მაღვიძებენ?!

დედას გაეღიმა:

— ვიცი.

როცა მეორე დღით მაღვიძარამ დარეკა, დედამ ივონას უთხრა:

— ცოტა ხანს იწეკი, ჭერ აღრეა.

მაგრამ გოგონა მაშინვე წამოფრინდა საწოლიდან:

— რას ამბობ, სკოლაში დამავციანდება!

თუ ბავშვს დილით გაღვიძება უჭირს, ნუ დაარქმევთ „ძილისგუდას“, ხოლო თუკი ადგომაც ეძნელება, ჩხუბს ნუ დაუწყებთ, ამას აკობებს მაღვიძარა საათის ზარის ისარი საჭირო დროზე ათი წუთით ადრე დააყენოთ. უფროსების კომენტარები თანაგრძნობას უნდა გამოხატავდეს:

— არ გინდა ესლა ადგომა?

— რა კარგი იქნებოდა, ცოტა კიდევ რომ წაგეძინა!

— მოდი, ერთი ხუთი წუთი კიდევ იწეკი.

ასეთი სიტყვები განწყობილებას აუმჯობესებს და ოჯახში თბილ, კეთილ ატმოსფეროს ქმნის. საპირისპირო გამონათქვამები კი უსიამოვნების მოახლოებას მოასწავებს:

— აბა, ადეკი, ძილისგუდავ!

— აბა, ჩქარა წამოხტი, ესლა!

— ერთი ამ მძინარე მზეთუნახავს დამიხედეთ!

უნდა მოვერიდოთ „სინაზის“ გამომხატველ ასეთ შეკითხვებსაც:

— რატომ არ დგები, ავად ხომ არა ხარ? რამე ხომ არ გტკივა? აბა, ენა მაჩვენე!

ბავშვმა შეიძლება დაიჯეროს — მშობელმა რომ ყურადღება მომაქციოს, ამისათვის თავის მოავადმყოფებაა საჭიროო. იქნებ ისიც კი იფიქროს, უარყოფითად თუ ვუბასუხე, დედა იმედგაცრუებული დარჩებაო.

თუ ბავშვს დააჩქარებთ, იგი ყველაფერს ათჯერ უფრო ნელა გააკეთებს, ეს მისი იარაღია იმ განრიგთან ბრძოლაში, რომელიც ასე არ ეპიტნავენა.

ბავშვი ზედმეტად არ უნდა დავაჩქაროთ, ამის ნაცვლად მას ზუსტი დრო უნდა შევახსენოთ:

— სკოლის ავტობუსი ათ წუთში მოვა!

— კინოსეანსი ერთ საათში იწყება, ახლა პირველის ნახევარია.

— უკვე შვილის ნახევარია, სუფრასთან შვიდზე ვსხდებით.

— ამხანაგი თხუთმეტ წუთში გამოვივლის.

ამით ბავშვს ვაგრძნობინებთ, რომ მას სავსებით ვენდობით და იმედი გვაქვს, იგი ყველაფერს მოასწრებს.

საუწყვე: ზამთრის შეგონების გარეშე

საუზმის დროს ნუ დაუწყებთ ბავშვს ქცევის მორალური საფუძვლებისა და კარგი მანერების სწავლევ-

ბას, ნურც საკუთარ ცხოვრებისეულ ფილოსოფიას გააცნობთ. მისთვის სამზარეულო ოჯახის ყველაზე უფრო სასიამოვნო კუთხე უნდა იყოს, სადაც ყველა ერთად იკრიბება და გემრიელ საუზმეს მიირთმევს.

ჩაცხა: ბრძოლა ზონრებთან

ზოგ ოჯახში ზონრებთან ბრძოლა ყოველდღე იმართება. ერთმა მშობელმა მითხრა: „როცა ვხედავ, როგორ დარბის ჩემი ბიჭი ზონრებგახსნილი ფეხსაცმელებით, მწყობრიდან გამოვდივარ. თქვენ როგორ მირჩევთ, უნდა ვაიძულო ზონრების შეკვრა თუ ნება მიცევ ასე ირბინოს? ჩვენ ხომ მასში პასუხისმგებლობის გრძნობა უნდა აღვზარდოთ!“

კარგი იქნება თუკი პასუხისმგებლობის გრძნობას ზონრებს არ დავუკავშირებთ. გამოსავალი სხვაგან უნდა ვეძებოთ — ბავშვს ან უზონრო ფეხსაცმელები უნდა ვუყიდოთ, ანდა უსიტყვოდ შევუკრათ გახსნილი ზონრები და კომენტარისაგან თავი შევიკავოთ. ადრე თუ გვიან ბავშვი აუცილებლად მიეჩვევა სხვის დაუხმარებლად ფეხსაცმლის შეკვრას.

ბავშვი პატარა ლორდივით არ უნდა იყოს მოკაზმული — ტანისამოსი იაფი და მოხერხებული უნდა იყოს. ტანსაცმელზე მეტად ბავშვისათვის სირბილი, ხტუნვა და ბურთის თამაშია მნიშვნელოვანი.

თუკი ბიჭუნა სკოლიდან ჭუჭყიანი პერანგით მოვიდა, დედამ უნდა უთხრას: „ეტყობა, დღეს მძიმე დღე გქონდა. გამოცვლა თუ გინდა, სუფთა პერანგი კარადა-

შია“. უმედგოა ბავშვთან საუბრები იმის თაობაზე თუ როგორი თხუშნია და უპასუხისმგებლოა იგი, როგორ ილღება დედა მისი პერანგების რეცხვა-დაუთოვებით. უმჯობესია კიდევ რამდენიმე ცალი იაფი პერანგი იყიდოთ და ამით გადაჭრათ ეს საკითხი.

ბავშვები სკოლაში მიღიან

შეიძლება დილით, სიჩქარეში ბავშვს ჩანთაში საჭირო სახელმძღვანელოს, საუზმის, სათვალის ან საფულის ჩადება დაავიწყდეს. უკეთესი იქნება, თუკი დავიწყებულ ნივთს უსიტყვოდ მიაწოდებთ და ხანგრძლივ მსჯელობას არ წამოიწყებთ მის გულმავიწყობასა და უპასუხისმგებლობაზე.

უმჯობესია უთხრათ — „აჰა, სათვალე“, ვიდრე შეპლადადოთ — „ნეტავ მოვესწრები იმ დღეს, როცა შენ თვითონ გაგახსენდება, რომ სკოლაში სათვალე უნდა წაიღო!“ უფრო ადვილია უთხრა — აი, შენი საუზმე“, ვიდრე შეუდგეთ მჭერმეტყველებას — „დოკლაპია! თავი კისერზე რომ არ გებას, ისიც სახლში დაგრჩებოდა“.

არ შეიძლება ბავშვის ლანძღვა და მისთვის შეგონებების კითხვა სკოლაში წასვლის წინ. გამოთხოვებისას უმჯობესია უთხრათ — „აჰა, ბედნიერად გველოს“, ვიდრე — „აჰა, წესიერად მოიქეცი, იცოდე!“ ბავშვს ურჩევნია უთხრათ — „ნახვამდის, შვილო“, ვიდრე ამგვარად გააფრთხილოთ — „გაკვეთილების შემდეგ ქუჩაში არ იყილო, პირდაპირ შინ მოდი“.

სასურველია, რომ სკოლიდან შინ დაბრუნებულ ბავშვს დედა შინ დახვდეს. ამასთან არ არის ისეთი კითხვების დასმა საჭირო, რომლებზედაც ყოველთვის ერთნაირად გპასუხობენ:

- რა ხდება სკოლაში?
- არაფერი.
- რას აკეთებდი?
- არაფერს.

დედამ ისეთი სიტყვებით უნდა მიმართოს ახლად-დაბრუნებულ შვილს, რომლებშიც სკოლის პრობლემების სიძნელეთა გამო გამგებიანობა და თანაგრძნობა უნდა გამოსჭვიოდეს.

- გატყობ, დღეს მძიმე დღე გქონდა.
- ბოლო გაცვეთილი განსაკუთრებით გაჭიანურდებოდა.
- ხომ გიხარია, შინ რომ დაბრუნდი?

თუ დედა ბავშვს შინ არ დახვდა, მაშინ ვალდებულა ბარათი დაუტოვოს. ზოგიერთი მშობელი ურთიერთობის ამ ფორმით სისტემატურად სარგებლობს. ბარათში გაცილებით ადვილია ბავშვისადმი სიყვარულისა და სინაზის გამოხატვა. ამ გზით მშობლებსა და შვილებს შორის მჭიდრო ურთიერთობა მყარდება.

მამა მკვიდა

როდესაც მამა სამსახურიდან შინ დაბრუნდება, მისთვის აუცილებელია „მსოფლიო“ პრობლემებიდან ში-

ნაურ პრობლემებზე გადმორთვა. ამასთან არ შეიძლება ყველა საყვედური და თხოვნა ერთბაშად მივახლოთ კაცს, რომელსაც ცალი ფეხი აქვს ჯერ შემოდგმული წინკარში. აცალეთ დასვენება, შხაპის მიღება, გაზეთის ან ჟურნალის წაკითხვა. მაშინ ოჯახში სიმშვიდე მთელი საღამოთია უზრუნველყოფილი. ბავშვები პატარაობიდანვე უნდა მიეჩვიონ იმას, რომ სამსახურიდან დაბრუნებულ მამას დასვენების, გონს მოსვლის საშუალება მისცენ. სამაგიეროდ, ვახშმად, როცა ყველანი სამზარეულოში შეიკრიბებით, შეგიძლიათ გულიანად ისაუბროთ. არ არის იმის უხეშად აღნიშვნა საჭირო, თუ როგორ უჭირავს ბავშვს ჩანგალი, როგორ ზის, როგორ ჭამს.

ძილის დროა

ბევრ ოჯახში შიშით ელოდებიან საღამოს, ბავშვის ძილის დროის მოახლოებას. დედასთან პირდაპირ ხელჩართული ბრძოლა ჩაღდება, როცა იგი ცდილობს ბავშვები ადრე დააძინოს. პატარები ყოველნაირი ხრიკებით ცდილობენ ამ პროცესის გახანგრძლივებას. ორთავ მხარეს ერთგვარი ტაქტიკაც კი აქვს გამოიმუშავებული ამ შემთხვევისათვის.

სკოლამდელი ასაკის ბავშვებს დედა ან მამა უნდა აძინებდეს. თუ ძილის წინ ბავშვს მისთვის საინტერესო თემაზე დაუწყებთ ლაპარაკს, იგი სწრაფად და ხალისით დაწვება.

ბავშვებს უყვართ ის დრო, როდესაც დედა ან მამა მხოლოდ მათ ეკუთვნით.

ზოგჯერ უფრო მოზრდილებსაც უყვართ, როცა აძინებენ. ასეთ დროს კარგი იქნება, თუკი სურვილს შეუსრულებთ და არ დასცინებთ — „შენ რა პატარასავით იქცევი?!“

სჯობს ნუ გაუწყრებით, თუკი ბავშვი გეტყვით, რომ დაბანა დაავიწყდა, ან სწყურია.

მუოგლავი შინიდან გადის

ზოგიერთ ოჯახში ბავშვები მშობლებს საღამოობით შინიდან გასვლას უკრძალავენ. წასვლისათვის საჭირო ხდება ბავშვებისაგან სპეციალური „ნებართვის აღება“. ზოგჯერ, დედებს ურჩევენიათ, შინ დარჩენენ, ვიდრე კინოში ან თეატრში წასვლისათვის შვილების ისტერიკებს გაუძლონ.

მშობლებს სულაც არ უნდა სჭირდებოდეთ შვილების ნებართვა იმისათვის, რომ მათგან დამოუკიდებელი, საკუთარი ცხოვრებით იცხოვრონ. თუ მშობლები სადმე მიდიან, ამის გამო კი ბავშვი ტირის, არ შეიძლება იმის უგულვებელყოფა, რომ მას მარტო დარჩენისა ეშინია, მაგრამ არც მისი კაპრიზების დამორჩილება ივარგებს. ჩვენ გვესმის მისი და ვუთანაგრძნობთ კიდევც, როცა ის ბებუასთან რჩება და არა დედასთან, მაგრამ საღამოობით შინიდან გასვლის, ცოტაოდენი დასვენებისა და გულის გადაყოლების აკრძალვა მან ვერ უნდა შესძლოს. ბავშვი თუ ტირის, უნდა ვუთხრათ. „ვიცი, არ მოგწონს კინოში (სტუმრად) რომ მივდივარ და შინ რომ არა ვარ, ზოგჯერ, გეშინია კიდევც, მაგრამ მე და

მამიკოს ძალიან გვინდა იმ ფილმის ნახვა (მეგობრის მონახულება).

ნუ მივცემთ ბავშვს შეპასუხების, ხევწნის, მუქარის საშუალებას. ჩვენი პასუხი ერთდროულად მტკიცე და თანაგრძნობის გამომხატველი უნდა იყოს: „რა თქმა უნდა, გირჩევენია შინ დავრჩეთ, მაგრამ ჩვენ ხომ უკვე მოვილაპარაკეთ, რომ დღეს კინოში წავიდოდით“.

ბავშვი და ტელევიზორი

დღის რეჟიმი არასრული გამოგვივიდოდა, ბავშვისა და ტელევიზორის ურთიერთობა რომ გამოგვეტოვებინა. ბავშვებს წიგნის კითხვას, მუსიკის მოსმენას ან უბრალოდ ლაყბობას ტელევიზორის ყურება ურჩევენიათ. ბავშვები სარეკლამო პროგრამების საუკეთესო მაყურებლები არიან, ისინი მთელ ამ სისულელეს გასაოცარი სისწრაფით ისრუტავენ და მეტე მათზე საუბრით მშობლებს თავს აბეზრებენ.

ბავშვები ტელეგადაცემებისაგან განსაკუთრებულს არაფერს მოითხოვენ, მათთვის სავსებით საკმარისია სათავგადასავლო ფილმი, სადაც სროლის ხმა ისმის. და აი, დღე დღეს მისდევს, ბავშვები კი საათობით შესცქერიან ასეთ ფილმებს და არც მათ შორის ჩართულ სარეკლამო განცხადებებზე ამბობენ უარს.

მშობელთა დამოკიდებულება ტელევიზორის მიმართ გაორებულია: ერთის მხრივ ისინი კმაყოფილნი არიან, რომ ბავშვები „თვალწინ ჰყავთ“ და მათ არავითარი საშიშროება არ ელით, მეორეს მხრივ კი იციან, რომ

ამით მათ პატარებს მხედველობაც უფუჭდებათ და ხასიათიც.

ამ საკითხის მიმართ ყველა სპეციალისტი ერთი აზრისაა: ბავშვის ტელევიზორთან ყოფნის დრო მინიმუმამდე უნდა დავიყვანოთ. გარდა იმისა, რომ სასიყვარულო სცენები ძალზე აშკარაა, ხოლო მკვლელობები სასტიკი და სისხლიანი, ბავშვები იმ ძვირფას დროს ჰკარგავენ, რომელიც ასე აუცილებელია მათი ასაკის შესაფერისი რაიმე სასარგებლო საქმიანობისათვის.

ზოგიერთ ოჯახში სწორად იქცევიან: ბავშვებს მხოლოდ უქმე დღეებში ეძლევათ ტელევიზორის ყურების უფლება, ხანდახან კი ისე დღეებშიც შეუძლიათ რაიმე გადაცემის ყურება, ოღონდ ეს გადაცემა მშობლების მიერ არის წინასწარ შერჩეული.

თავი VII

ეჭვიანობა

ოჯახში ბავშვების ურთიერთეჭვიანობას ძველი და ტრადიციული ტრადიცია აქვს. იგი იმის გამო იფეთქებს ხოლმე, რომ მშობლები, თუნდაც უნებლიედ, ერთ ბავშვს მეორეს ამჯობინებენ.

ბავშვებს უყვართ ისეთი ზღაპრებისა თუ მოთხრობების მოსმენა და კითხვა, სადაც შურზე, შურისძიება-

ზე, სამაგიეროს გადახდაზეა საუბარი. საინტერესოა, რომ მათი სიმპათიები ყოველთვის „მსხვერპლისკენ“ როდი იხრება.

არც ისე გაღწევი მოვლენა

მშობლებისაგან განსხვავებით ბავშვებს არასოდეს აინტერესებთ თუ როგორ ჩნდება ეჭვიანობის გრძობა. რაც უნდა ფრთხილად და ტაქტიანად მოამზადოთ ბავშვი ოჯახის ახალი წევრის შემომატებასთან დაკავშირებით, პატარა ძმისა თუ დის გაჩენა მასში ყოველთვის იწვევს ერთგვარ ტანჯვასა და ეჭვიანობას. ეჭვიანობა, შური, ჯიბრი საშინლად ტანჯავს ბავშვს. დაუშვებელია მათი აღკვეთა ან უგულვებელყოფა, რადგან ეს გრძობები ყველაფრის მიუხედავად მაინც ჩნდება.

ძმის ან დის დაბადება პირველხარისხოვანი კრიზისია ბავშვის ცხოვრებაში, იცვლება მთელი მისი გარემო, ამიტომ ჩვენი ვალაია დავენმაროთ მას ამ ახალი გზის გაგნებაში. რეალური დახმარება რომ გავუწიოთ, ამისათვის საჭიროა კარგად ვიცნობდეთ ჩვენს შვილს და მის ჭეშმარიტ გრძობებში კარგად ვერკვეოდეთ.

როდესაც ბავშვს ამ ბედნიერ მოვლენაზე ვესაუბრებთ, უმჯობესია ხანგრძლივ ახსნა-განმარტებებს თავი ავარიდოთ, რომ ცრუ იმედები არ აღვუძრათ:

— ჩვენ ისე გვიყვარხარ, ისეთი კარგი ბიჭი ხარ, რომ მე და მამიკომ გადავწყვიტეთ კიდევ ერთი შენნაირი შვილი მოვიყვანოთ. შენც ძალიან შეგიყვარდება შენი ძამიკო, იამაყებ მისით და ყოველთვის ერთად ითამაშებთ.

ასეთი ახსნა არც თუ მთლად გულწრფელი და და-
მაჯერებელია. მშობლების სიტყვებიდან ბავშვი ასეთ
დასკვნას გამოიტანს: „ამათ რომ მართლა ვყვარებოდი,
მეორე შვილი აღარ დასჭირდებოდათ. ალბათ არ მოვ-
წონვარ და უნდათ მე ახალი ბავშვით შემცვალონ“.

ძნელია დედის სიყვარულის ვინმესთან გაყოფა.
ბავშვი ასე მსჯელობს — გაყოფა უფრო ნაკლებს მი-
ღებას ნიშნავს (როგორც ეს ვაშლის ან საღებუნი რეზინის
გაყოფისას ხდება).

ოჯახის ახალი წევრი

პატარა ძამიკოს დაბადება ბავშვს განსაკუთრებული
საზეიმო განწყობილების გარეშე უნდა ვაცნობოთ.
საკმარისი იქნება ვუთხრათ: „ჩვენ კიდევ ერთი პატარა
გვეყოლება“. უნდა გვახსოვდეს, რომ მიუხედავად იმი-
სა, თუ როგორ მიიღებს ბავშვი ამ სიახლეს, მას ბევრი
უთქმელი კითხვა და მტანჯველი ეჭვი აწუხებს. ჩვენი
ვალია დავებმართოთ მას ამ კრიზისის, მისთვის მძიმე
სულიერი მღელვარების გადატანაში.

პატარის დაბადება უფროსების სიმშვიდეს საფრ-
თხის ქვეშ აყენებს და ამას ვერსად გავეჩქევით, მაგრამ
მშობლებს მაინც შეუძლიათ შეამცირონ ის ზემოქმედე-
ბა, რომელსაც ბავშვის გუნება-განწყობილებაზე ეს
უსიამოვნო ახალი ამბავი მოახდენს. ყველაფერი ჩვენს
სურვილსა და მოხერხებულობაზეა დამოკიდებული.

აი, მაგალითი იმისა, თუ რა დამანგრეველი ზემოქ-
მედება მოახდინა ოჯახზე მეორე ბავშვის დაბადებამ

(მოგვყავს მოზრდილი ადამიანის მოგონება საკუთარ
ბავშვობაზე); „ჯონი რომ დაიბადა, მამამ მის საწოლ-
თან მიმიყვანა. დღემდე მახსოვს ის წითელი ბავშვი, დე-
დაჩემს ხელში რომ ეჭირა და ახლაც ჩამესმის მამაჩე-
მის ხმა:

— ახლა შენ საუკეთესოდ უნდა მოიქცე ხოლმე,
რადგან ძამიკო გყავს, ახლა შენ ერთადერთი შვილი აღა-
რა ხარ. ამის შემდეგ თქვენ ყოველთვის ორნი იქნე-
ბით — შენ და შენი ძმა. აღრე შენ მარტო იყავი, ახლა
კი ორნი ხართ.

ამის შემდეგ, რამდენადაც მახსოვს, მთელი ჩემი სი-
ცოცხლე იმას მოვანდომე, რომ ყველაფერში ძმაზე
უკეთესი ვყოფილიყავი, მისი არსებობა კი ნამდვილ ჯო-
ჯონეთად გადამექცია“.

აი, საპირისპირო მაგალითი იმის საჩვენებლად, თუ
როგორ უნდა მოიქცეს მშობელი ასეთ შემთხვევაში:

როცა ხუთი წლის ვირჯინიამ გაიგო, რომ დედამისს
პატარა ეყოლებოდა, სიხარულისაგან ადგილს ვერ პო-
ულობდა. დედასთან საუბარში მან ძმასთან ცხოვრების
იდილიური სურათი დახატა, მაგრამ დედამ გოგონას
ასეთ „ცალმხრივ“ წარმოდგენას მხარი არ აუბა და
უთხრა:

— უმცროსი ძმა მარტო სიხარულს კი არ მოგიტანს,
იგი მზრუნველობასაც მოგთხოვს. იტირებს, ყველაფერ-
ში ხელს შეგვიშლის, თავს მოგვაბეზრებს. ხშირად მოგ-
ვიწევს მისი სველი და ჭუჭყიანი საფეხების რეცხვა,
უნდა ვაჭამოთ, დავბანოთ, ჩავაცვათ, მოვუაროთ. ზოგ-
ჯერ შეიძლება იფიქრო, დედას დავავიწყდიო და ეჭვი-

ანობაც კი დაიწყო. თუკი ასეთი რამ აზრად მოგივა, აუცილებლად მითხარი, მაშინვე დაგარწმუნებ, რომ ძამიკოზე ნაკლებად არ მიყვარხარ და ცუდ ფიქრებსა და ნერვიულობასაც ბოლო მოელება“.

ზოგიერთ მშობელს ბავშვთან ამგვარი საუბარი გამართლებულად არ მიაჩნია. მათ გასაგონად მინდა ვთქვა, რომ თუკი ბავშვს დაარწმუნებთ, რომ კარგად გესმით მისი განცდები, იგი თავს დამნაშავედ აღარ იგრძნობს, მეტი ნდობით შეხედავს მშობლებს და აღარც მათთან საუბარი გაუჭირდება.

სჯობს შეიღწეოს ნება დავრთოთ ხმამაღლა გამოხატოს საკუთარი გრძნობები, ვიდრე ვიცოდეთ, რომ იგი თავისთვის, ჩუმად იტანჯება.

მშვიანობის ნიშნები

რომც ცდილობდეს დამალვას, ბავშვი ადრე თუ გვიან მაინც გამოამჟღავნებს ეჭვიანობას, ეს მის ცუდ ქცევაში ჰპოვებს გამოხატულებას.

მოვიტან ერთ მაგალითს: ბავშვი უმცროს ძმაზე ეჭვიანობს, მაგრამ „ცუდი“ გრძნობების გამომჟღავნება აკრძალული აქვს, ამიტომ შეიძლება დაეისიზმროს, რომ ძმა მეათე სართულიდან აგდებს. იგი შეშინებული ყვირილით იღვიძებს და შესაძლოა, ძმის საწოლთანაც კი მიიბრუნოს, რათა დარწმუნდეს, რომ ეს ყველაფერი სიზმარია იყო. ამ სურათის შემსწრე მშობლებმა შეიძლება ეს ამბავი ძმისადმი ნაზ სიყვარულად ჩათვალონ, მაგრამ ისინი მწარედ შეცდებიან.

ღამეულ კოშმარებში ბავშვები ხშირად ავლენენ იმ გრძნობებს, რომელთა სიტყვებით გამოხატვისაც ეშინიათ. ამიტომ, უმჯობესია ბავშვს ნება დავრთოთ თავისი ბრაზი ან ეჭვიანობა მშობლებს გაუზიაროს, ვიდრე კოშმარულ სიზმრებამდე მივიდეს საქმე.

პატარა დაიკოს დაბადებიდან სულ ცოტა ხანი იყო გასული, როდესაც ხუთი წლის უორენს უცნაური შეტევები დაეწყო. ბავშვი ხიხინით, სტვენით ახველებდა, სუნთქვა ეკვროდა, მაგრამ ეჭიმვაც კი ვერ შესძლო შეტევების გამომწვევი მიზეზის დადგენა. მხოლოდ მოგვიანებით გახდა ნათელი, რომ ამის მიზეზი ეჭვიანობა იყო. აუცილებელი გახდა, რათა მშობლებს უორენისათვის საკუთარი უარყოფითი ემოციების გამოხატვა სიტყვებით ესწავლებინათ და არა ასთმური შეტევებით.

ზოგი ბავშვი ეჭვიანობაზე ხველებით, კანზე გამოწყარით რეაგირებს. ისეთებიც არიან, ლოგინში რომ იწყებენ ჩასველებას. ზოგიერთი შეიძლება ფრჩხილების კენეტასა და ნერვიულ ფხანას მიეჩვიოს. სხვები ამტკრევენ ჭერჭელს, სათამაშოებს.

ყველა ასეთი ბავშვი აუცილებლად უნდა მივაჩვიოთ პირდაპირ, ყველასათვის, და პირველ რიგში მშობლებისათვის გასაგები სიტყვებით საკუთარი გრძნობების გამოხატვას.

მშვიანობის მრავალსახეობა

პირველყოვლისა, მშობლებმა უნდა აღიარონ, რომ მათი შვილები ერთმანეთზე ეჭვიანობენ დედის ან მამის

მის მიმართ, მაშინაც კი, როცა ეს თვალშისაცემი არ არის. ეჭვიანობა მრავალგვარია, იგი სრულიად მოულოდნელი რეაქციებითა და ქცევებით მქლავნდება. ასე მაგალითად: ბავშვები მუდმივ ქიშპობაში არიან, ან პირიქით, ყოველგვარი შეჭიბრების სურვილი დაკარგული აქვთ; სურთ ყველაფერში პირველნი იყვნენ, ან პირიქით, — გასაოცრად თავმდაბლები ხდებიან; ამქლავნებენ გასაოცარ გულუხვობას, ან პირიქით, — ენითაუწერელ სიძუნწეს.

ბავშვობისდროინდელ ქიშპობას არაერთხელ დაუტოვებია მწარე კვალი ზრდადასრულებული ადამიანის ფსიქიკაზე. ერთ ჩემს ნაცნობს ვერაფრით აიძულებთ მანქანას გადაუსწროს; მეორეს არ შეუძლია ღირსეულად დაასრულოს პინგ-პონგის წასაგებად განწირული პარტია. მესამე მზადაა მთელი ქონება პირველივე შემთავაზებულ საქმეში ჩადოს, მეოთხე კი, რომელსაც არ სურს რომ სხვებს ჩამორჩეს, ისეთ დაპირებებს იძლევა, რომელთა შესრულება არასდროს არ შეუძლია. მაგალითები მრავლად შეგვიძლია მოვიტანოთ.

ბავშვური ქიშპობის შედეგს წარმოადგენს ისიც, რომ ზოგიერთი ზრდასრული ადამიანი სრულიად უსუსურია ცხოვრებისეული წარუმატებლობის წინაშე, არ შეუძლია ამ სიძნელეებს წინ აღუდგეს და საკუთარი უფლებების დასაცავად იბრძოდოს.

ამრიგად, ოჯახში ბავშვებს შორის ქიშპობა გაცილებით მეტ ზეგავლენას ახდენს პიროვნების ჩამოყალიბებაზე, ვიდრე ეს უფროსებს ჰგონიათ.

რა იწვევს ეჭვიანობას

ეჭვიანობა იბადება ბავშვის სურვილიდან — ერთდერთი საყვარელი არსება იყოს დედისათვის. ბავშვს არამც და არამც არ უნდა და არ შეუძლია, რომ დედის სიყვარულის მოცილე აიტანოს. თუ ოჯახში მეორე ბავშვი იბადება, მშობელთა „მეტი“ სიყვარულის დასამსახურებლად ატეხილი ბრძოლა გარდაუვალია. ქიშპობა შეიძლება იყოს როგორც აშკარა, ისე ფარული. იმისდა მიხედვით, თუ როგორ უყურებენ ეჭვიანობის პრობლემას მშობლები.

ზოგჯერ უფროსებს ასეთი ქიშპობა ისე აღიზიანებთ, რომ ბავშვებს მკაცრად სჯიან. ზოგიერთ ოჯახში კი ყველანაირად ცდილობენ, რომ ბავშვებს ეჭვიანობის საბაზი არ მისცენ და დაარწმუნონ ისინი, რომ ყველა ერთნაირად უყვართ: შექება, საჩუქრები, ალერსი, ახალი ტანისამოსი, გემრიელი საქმელი — ყველაფერი ერთნაირად ნაწილდება.

მაგრამ, სამწუხაროთ, ამ მეთოდთაგან ამოცანას ვერც ერთი ვერ წყვეტს. ყველა ბავშვს უნდა, რომ იგი დანარჩენებზე მეტად უყვარდეთ. რადგან ასეთი სურვილის დაკმაყოფილება შეუძლებელია, ეჭვიანობის პრობლემის ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრაც შეუძლებელი ხდება, თუმცა, სწორედ ჩვენზე, უფროსებზე დამოკიდებული ეჭვიანობის ნაღვერდალი უხმოდ იღვივებს თუ ჭიკოკონად აბრიალდება.

თანაბარი პირობების შემთხვევაში ეჭვიანობისა და შურის მიზეზი შესაძლოა გახდეს ასაკობრივი ან სქე-

სობრივი განსხვავება. უფროსი ძმისა იმიტომ შურთ, რომ იგი მეტი პრივილეგიებით სარგებლობს, უმცროსისა კი იმიტომ, რომ მშობლები მასზე უფრო მეტად ზრუნავენ. დებს ძმებისა შურთ, რადგან მათ უფრო თავისუფლად შეუძლიათ მოქცევა, ძმებს კი დებისა, რადგან გოგონებს მეტ ყურადღებას აქცევენ.

ექვიანობისათვის ხელსაყრელი პირობები მაშინ იქმნება, როდესაც საკუთარ სიმბათიებს აყოლილი მშობლები თავიანთი ქცევით ბავშვებს შორის ასაკობრივ და სქესობრივ განსხვავებას უსვამენ ხაზს. როცა დედ-მამა უკვე დამოუკიდებელ უფროს ვაჟიშვილს უსუსურ პატარას ამჯობინებს! ან პირიქით, ექვიანობას ვერსად გაემქცევა. იგივე ხდება, როდესაც ბავშვს სილამაზის, სქესის ნიჭიერების, მუსიკალური სმენისა თუ საზოგადოებაში კარგი ქცევისათვის გამოარჩევენ. გასაკვირი არაფერია, როცა ერთის ბუნებრივი ნიჭი მეორეში შურს აწვევს, მაგრამ ქიშპობის სურვილი მხოლოდ მაშინ იბადება, როცა პირველს მეორის თანდასწრებით ასხამენ ხოტბას.

ისე ნუ გამიგებთ, თითქოს დიდ-პატარის განურჩევლობისა და ბავშვებთან ურთიერთობის ნიველირებისაკენ მოგიწოდებდეთ. პირიქით, რაც უფრო დიდია ბავშვი, მით უფრო მეტი პრივილეგიებით უნდა სარგებლობდეს, მაგრამ საკუთარი საქციელის გამო მას პასუხიც მეტი მოეთხოვება. მაგალითად, უფროს ვაჟს მეტი ჯიბის ფული და მეგობრების შერჩევაში მეტი თავისუფლება ეკუთვნის; ამასთან, დასაძინებლადაც პატარასთან შედარებით გვიან წვეება. ამ პრივილეგიებს მშობლები აშ-

კარად (მაგრამ არა გამომწვევად) უნდა ანიჭებდნენ მას. ეს ყველაფერი ისე უნდა ხდებოდეს, რომ ყველა ბავშვი ცდილობდეს ასაკთან ერთად ამ პრივილეგიების მიღებას.

უმცროსს უფროსისა შურს და ჩვენი ვალია დავეხმაროთ პატარას დასძლიოს ეს შური, მაგრამ ფაქტების ახსნა აქ არაფერს გვარგებს. ოღონდ ის კი უნდა ვაგრძნობინოთ, რომ გვესმის მისი:

— რასაკვირველია, გერჩივნა მოგვიანებით დაწოლილიყავი.

— ალბათ, ერთი სული გაქვს, როდის გაიზრდები.

— ყველაფერი მესმის, მაგრამ უკვე შენი ძილის დროა.

მშობლებმა ექვიანობის გრძნობის გაღვიძებას არამც და არამც არ უნდა შეუწყონ ხელი. არც ერთმანეთისათვის მსხვერპლად შეწირვის შეთავაზება ივარგებს ბავშვებისათვის:

— პატარას შენი საწოლი სჭირდება, შენ ტახტზეც კარგად დაიძინებ!

— სამწუხაროდ, წელს ახალ ციგურებს ვერ გიყიდით, პატარას ზამთრის ტანსაცმელი სჭირდება.

ბავშვს ახალი ციგურები ისე არ აღარდებს, როგორც ის, რომ სიყვარული მოაკლეს, ამიტომ ასეთი რამის თქმას თუ აპირებთ, სიყვარულსაც ნუ დაივიწყებთ.

როგორ „ვაშავრანალოთ“ ეკვიანობას

პატარები ექვიანობას ყოველგვარი დიპლომატიის გარეშე, მიუკიბ-მოუკიბავად გამოხატავენ. ზოგიერთი

იმასაც კი იკითხავს, არ შეიძლება, ჩვილი ისევე საავად-
მყოფოში რომ დავაბრუნოთო? უფრო ენერგიულები კი
პირდაპირ აგრესიაზე გადადიან — როგორც კი საშუ-
ალემა მიეცემათ ჩვილს ფეხებში ხელს წაავლებენ და
იატაკზე დაათრევენ, ჩქმეტენ, თავში უტყაპუნებენ და
ვინ იცის კიდევ რაღას არ იგონებენ. მშობელთა ვალია,
არ დაუშვან ამგვარი რამ. ყოველგვარი სადისტური სა-
უბრები და მოქმედებანი თავიდანვე უნდა აღიკვეთოს,
რადგან ასეთი რამ ერთნაირად მავნებელია, როგორც
მსხვერპლის, ასევე მწვალელებისათვის. მუდამ უნდა
გვახსოვდეს, რომ პატარას დასაცავად უფროსი ბავშვის
ღირსების შელახვა სულაც არ არის აუცილებელი.

როცა სამი წლის ბავშვს ჩვილი ძამიკოს წვალემაზე
წავასწრებთ, სასწრაფოდ უნდა შევაჩეროთ და შევეცა-
დოთ ავუხსნათ მისი ამგვარი მოქმედების მიზეზი:

— ძამიკო არ გიყვარს.

— ალბათ გაგაბრაზა.

— აბა, მაჩვენე, როგორა ხარ გაბრაზებული.

ასეთ დროს მიზანშეწონილია ბავშვს დიდი თოჯინა
შევაჩეროთ ხელში, დე მასზე იყაროს ჯავრი — ურტყას,
იატაკზე დაანარცხოს, ზედ ფეხით შესდგეს. ნუ ჩაერე-
ვით, თქვენ მხოლოდ მოქმედების კონტროლი გევალებ-
ბათ და არა საკუთარი დამოკიდებულების გამოვლენა
ამ მოქმედებისადმი. მისი სისასტიკე ნუ გაგაოცებთ და
ნურც შეგაუფოთებთ. სჯობს, ბავშვის რისხვა თოჯინას
დაატყდეს თავს, ვიდრე უმცროს ძმას. ცუდი იქნება
თუკი იგი ამდენ ბრახს გულში ჩაიკლავს.

ჩვენი შენიშვნები (კომენტარები) მოკლე და ნათე-
ლი უნდა იყოს:

— როგორც ვხედავ, ძალიან გაბრაზებულხარ.

— ახლა დედიკომ ყველაფერი იცის.

— როცა გაბრაზდები, მე მითხარი ხოლმე, კარგი?

ეს მეთოდი ეჭვიანობას გაცილებით უკეთ შველის,
ვიდრე ბავშვის ფიზიკური დასჯა და შეურაცხყოფა,
მშობელთა საქციელი კი, რომელსაც ქვემოთ შევხები,
სრულიად გაუმართლებელია.

ოთახში შემოსულმა დედამ დაინახა, როგორ მიათ-
რეცდა ოთხი წლის უოლტერი პატარა ძამიკოს იატაკზე,
გულგახეთქილმა ქალმა თავი ვერ შეიკავა და ყვირილი
მორთო:

— რას აკეთებ, უნდა მოკლა? საკუთარი ძმა უნდა
მოკლა?! ნუთუ არ გესმის, რომ ეგრე შეიძლება ბავშ-
ვი სამუდამოდ დაასახირო? რამდენჯერ უნდა გითხრა,
საწოლიდან ნუ ამოიყვან-მეთქი! აღარ მიხვიდე საწოლ-
თან, გესმის? აღარ მიხვიდე!

ეჭვიანობა მოზრდილ ბავშვებსაც ახასიათებთ, ამი-
ტომ ჩვენი დახმარება მათაც სჭირდებათ, ჩვენი გულ-
ახდილი საუბარი მათ საშუალებას მისცემს განთავი-
სუფლდნენ ამ მტანჯველი გრძნობისაგან:

— მე მესმის, რომ ძამიკო არ მოგწონს.

— ალბათ გინდა ოჯახში ერთადერთი ბავშვი იყო.

— ვერ იტან, როცა შენს ძმაზე ვზრუნავთ, არა?

— გინდა, რომ გეთამაშო, არა?

— თავს თუ მართოდ იგრძნობ, მე მითხარი, სიამოვ-
ნებით ვიქნები შენთან, არ გეგონოს, რომ სულ დამავი-
წყდი.

თუკი მშობელი ყველანაირად ცდილობს, სიყვარულში აბსოლუტურად გულწრფელი იყოს თვითთული შვილის მიმართ, ადრე თუ გვიან მოთმინება გამოელევა და ყველა შვილზე ერთად გაბრაზდება, არაფერი ისეთი საშიში არ არის, როგორც მკაცრად აწონილ-გაზომილი, ყველას მიმართ ერთნაირი სიყვარული. თუკი დედას უფლება არა აქვს ერთ ბავშვს უფრო მოზრდილი ვაშლი მისცეს, ანდა უფრო მეტად ჩაკოცნოს, ოჯახში ცოვრება აუტანელი ხდება, მუდმივად იმაზე ფიქრი, რომ ასეთი წონასწორობის შენარჩუნება აუცილებელია, ადამიანის ფსიქიკაზე გამაღიზიანებლად მოქმედებს, მასში ბრახსა და დაღლილობას იწვევს. ბავშვებს კი სულაც არ სჭირდებათ პროპორციულად ერთგვაროვანი სიყვარული! მათ ის უნდათ, რომ მშობლების სიყვარული თვითთულის მიმართ განუმეორებელი იყოს.

დიახ, მოდით ნუ ვითვალთმაქცებთ, და ვალიართ, რომ შვილები სხვადასხვაგვარად გვიყვარს. ყოველ ბავშვთან ერთადერთი განუმეორებელი გრძნობა გვაკავშირებს და სულაც არ არის საჭირო ამისი გულმოდგინედ დაფარვა, რაც უფრო მეტად ვცდილობთ ეს სიყვარული „გავათანაბროთ“, ბავშვებისათვის მით უფრო თვალში საცემი ხდება ესა თუ ის „უსამართლობა“, ჩვენდა უნებურად თავდაცვას ვიწყებთ, როდესაც ბავშვის ომანიანი შეძახილი შემოგვესმება, ნაკლები შემხვდაო, ნუ ავყვებით, ნუ შევეუდგებით მტკიცებას, დამნაშავე არ ვართ, ნუ უარყოფთ მათ ბრალდებებს და ნურც „შე-

მამსუბუქებელ გარემოებებს“ მოვიხმობთ, აზრი არა აქვს შექმნილი სიტუაციისა და ბავშვისადმი ჩვენს დამოკიდებულების ახსნას თუ მოვეყვებით; ყოვლად გაუმართლებელია კამათი ჩვენი საქციელის „სამართლიანობასა“ თუ „უსამართლობაზე“. უპირველეს ყოვლისა უნდა გვახსოვდეს, რომ დაუშვებელია შვილების მიმართ ჩვენი სიყვარულის „პორციებად“ დანაწევრება წონასწორობისა და თანასწორობის მისაღწევად, რადგან მსგავსი რაიმეს მიღწევა შეუძლებელია.

მთავარია, ბავშვები აუცილებლად გრძნობდნენ, რომ თვითთული განსაკუთრებული, განუმეორებელი სიყვარულით გვიყვარს, როდესაც დროს ბავშვთან ვატარებთ, იქნება ეს რამდენიმე საათი თუ რამდენიმე წუთი, მთავარია ამ დროის განმავლობაში მთელი ჩვენი არსებით მას ვეკუთვნოდეთ, დაე ბიჭუნამ იგრძნოს, რომ ის ჩვენი ერთადერთი ვაჟიშვილია, გოგონამ კი — რომ ის ერთადერთი ქალიშვილი, როდესაც შვილთან ერთად ვსეირნობთ, დაუშვებელია შინ დარჩენილ ბავშვზე ვწუხნდეთ, ვლაპარაკობდეთ, მისთვის საჩუქრებს ვყიდულობდეთ, ასეთ დროს ჩვენი ყურადღების გაყოფა არ შეიძლება.

თ ა 3 0 VIII

რა იწვევს ბავშვის შიშს

ყველა მშობელმა იცის, რომ მისი შვილისთვის შიში, მღელვარება უცხო არ არის, მაგრამ ყველამ როდი იცის

ამ შიშის მიზეზი, ხშირად უკითხავთ ჩემთვის, რატომ იზრდებიან ჩვენი შვილები ასეთი მშინებები, მათ ხომ არაფერი ემუქრებათო. ერთმა მამამ კი თავის განსაკუთრებით შეშფოთებულ შვილს ისიც კი უთხრა: კმარა, სისულელეებს მორჩი, მშვენივრად იცი, რომ ბედნიერი ხარ.

მშობელმა აუცილებლად უნდა იცოდეს, რითაა გამოწვეული შვილის ასეთი მდგომარეობა და როგორ დაეხმაროს მას ასეთ წუთებში.

უღადოჯ საზიზია

ბავშვი საშინლად იტანჯება შიშისგან, როდესაც ეჩვენება, დედ-მამას არ ვუყვარვარო, ყოვლად დაუშვებელია ბავშვს მიტოვებით დავემუქროთ, ასეთი რამ არც ხუმრობითა და არც სერიოზულად არ შეიძლება, ქუჩაში თუ მალაზიაში, რამდენჯერ გვსმენია, როგორ უყვირის მოთმინებადაკარგული დედა ბავშვს ფეხს აუჩქარე, თორემ აქ დაგტოვებო. ასეთ სიტყვებს შეუძლია უკიდურესად შეაშინოს ბავშვი. მისთვის კი, განსაკუთრებით, თუკი იგი, მცირეწლოვანია, მშობლების გარეშე დარჩენა მთელ დედამიწაზე მარტოდმარტო დარჩენის ტოლფასია, თუკი ბავშვი ქუჩაში მოიზღაზნება და გაგვიანებთ, სიტყვით მუქარაზე გაცილებით უკეთესია მას მკაცრად ჩაჰკიდოთ ხელი და თან გაიყოლიოთ. ზოგ ბავშვს მაშინაც ეშინია, როდესაც სკოლიდან შინ დაბრუნებულს დედა არ ხვდება ხოლმე, მის გულში მაშინვე განგაში იწყება: „იქნებ მიმატოვეს?“ როგორც

ზემთ აღვნიშნე, თუკი თქვენი შინიდან გასვლა ბავშვის დაბრუნებამდეა აუცილებელი, შვილს ბარათი უნდა დაუტოვოთ.

თუკი ისეთი ცხოვრებისეული სიტუაცია შეგექმნათ, რომ იძულებული ხართ შვილი დროებით დატოვოთ, ამ განშორებისათვის წინასწარ, კარგად უნდა შევამზადოთ იგი. ზოგჯერ დედ-მამას უჭირს ბავშვს აცნობოს საოპერაციოდ ვწვები, შევბუღებაში მივდივარო და სხვ. რადგან არ იციან ბავშვში ეს სიახლე რას გამოიწვევს, გართულებების თავიდან აცილების მიზნით, მშობლები შინიდან ღამით, ბავშვის დაძინების შემდეგ, ანდა ღლისით, ბავშვის სკოლაში ყოფნისას გადიან, მათი არყოფნის ახსნას კი ბებიას (ძიძას) ავალბებენ.

სამი წლის ტყუპის დედა საოპერაციოდ უნდა დაწოლილიყო. ოჯახში დაძაბული ატმოსფერო სუფევდა, მაგრამ ბავშვებს არაფერს ეუბნებოდნენ, დანიშნულ დღეს დედამ სანოვავის ჩანთა აიღო და თავი ისე მოაჩვენა, თითქო მალაზიაში გადადიოდა. შინ მხოლოდ სამი კვირის შემდეგ დაბრუნდა.

ვიდრე დედა შინ არ იყო, ბავშვები სრულიად მოეშენენ, აღარც მამის ალერსი სჭრიდა, არც მისი ახსნა-განმარტებანი, იძინებდნენ ტირილით, ღლისით კი საათობით ფანჯარას იყვენენ აკრულნი და ქუჩაში დედის გამოჩენას ელოდნენ.

უნდა გვახსოვდეს, რომ ბავშვები აუცილებელ განშორებას გაცილებით უკეთ იტანენ თუკი ადრევე მომზადებულნი არიან ამისათვის, განშორების მიზეზი უმჯობესია მხოლოდ სიტყვებით კი არა, ბავშვისთვის ცნო-

ბილი თამაშისა და სათამაშოების ენიტაც ავუსხნათ მას.

დედამ წინასწარ უთხრა სამი წლის ივეტას, საოპერაციოდ ვწვებიო. ბავშვი ამ ამბავს დიდი ინტერესით არ შეხვედრია, მაშინ დედამ ასეთი რამ შესთავაზა:

— მოდი ასე ვითამაშოთ, „დედა საავადმყოფოში წვება“, კარგი?

დედამ წინასწარ ამ მიზნისათვის ნაყიდი სათამაშოები ამოალაგა, მაგიდაზე დააწყო და პატარა სცენა გაითამაშა:

დედა საავადმყოფოში წვება, რომ იმკურნალოს და კარგად გახდეს, შინ არ იქნება, ივეტა ფიქრობს: „სად არის ჩემი დედიკო? დედიკო კი არსად ჩანს, არც სამზარეულოშია, არც საძინებელში, არც სასადილო ოთახში. სად არის დედიკო? დედიკო კი ამ დროს საავადმყოფოშია, ექიმმა უნდა მოარჩინოს, ივეტა ტირის; „დედიკო, დედიკო, მოდი ჩემთან“, მაგრამ დედიკო ხომ საავადმყოფოშია — მოსარჩენად, დედიკოს ძალიან უყვარს ივეტა და ძალიან ენატრება. მთელი დღე ენატრება! დედიკო სულ თავის შვილზე ფიქრობს, უყვარს და ახსოვს თავისი პატარა გოგო, ივეტასაც ენატრება დედიკო. და ბოლოს დედიკო კარგად ხდება! ივეტას ძალიან უხარია, რომ დედიკო შინ დაბრუნდა

განშორებისა და ბედნიერი დასასრულის ეს „დრამა“ დედა-შვილმა კიდევ რამდენჯერმე გაითამაშა, ჭერ ყველა თოჯინას მაგივრად დედა ლაპარაკობდა, შემდეგ ეს თვით ივეტამ გააკეთა, როდესაც „ექიმს“ ანდა „მოწყალეების დას“ მიმართავდა, ივეტა თან სთხოვდა სათ

კარგად მიეხედათ დედიკოსათვის და შინ მალე გამოეშვით.

დედის საავადმყოფოში დაწვევის წინა დღეს ივეტამ სთხოვა კიდევ ერთხელ ეთამაშათ, ბავშვი თამაშში აქტიურად მონაწილეობდა და ბოლოს თქვა:

— ნუ გეშინია, დედა, მე დაგელოდები და რომ დაბრუნდები, აქ დაგხვდები!

დედამ საწოლთან დიდი სურათი დაუქიდა, რომელზეც დედა-შვილი ერთად იყვნენ გადაღებული, როდესაც ივეტა მოიწყენდა, ეს სურათი დედის სიყვარულს ახსენებდა ხოლმე.

დანაშაულის გრძნობა და შიში

შეგნებულად თუ შეუგნებლად მშობლები ხშირად უღვიძებენ ბავშვებს დანაშაულის გრძნობას, მაგრამ ეს გრძნობა ხომ მარილის დარად, ჩვენში შეგრძნებებისათვის აუცილებელი მხოლოდ სიმკვებების მისაცემად, თუ ბავშვმა საზოგადოებაში ქცევის ნორმები (ანდა რომელიმე მორალურად აკრძალული საქციელი ჩაიღიწა) უნდა ვუსაყვედუროთ: იგი დამნაშავეა, მაგრამ თუკი ბავშვს მუდმივად ვსაყვედურობთ „საძაგელი“ ფიქრებისა და უარყოფითი გრძნობების გამო, იგი გაცილებით მეტ სინდისის ქეჩნას განიცდის და უფრო დაიტანჯება, ვიდრე ეს საჭიროა.

რათა თავიდან ავაცილოთ ზედმეტი სინდისის ქენჯნა, ბავშვის საქციელს ისე უნდა შევხედოთ, როგორც მექანიკოსი უყურებს ავტომობილის გაუმართაობას.

იგი მანქანის პატრონზე კი არ ბრაზობს, არამედ აღნიშნავს, რა არის შესაკეთებელი. დეტალების ჭრილის მიხედვით მექანიკოსი დიაგნოზს სვამს და ცდილობს გაუმართაობის მიზეზი აღკვეთოს, ბავშვს დიდ შვებებს ანიჭებს იმის შეგნება, რომ მას შეუძლია თავისუფლად, საკუთარი ნება-სურვილისდა მიხედვით მოიქცეს და იფიქროს; ამასთან, არ ეშინოდეს მშობელთა სიყვარულის და კეთილგანწყობის დაკარგვისა, ასეთ შემთხვევებში დასაშვებია ბავშვს ასე მიემართოთ:

— შენ ამ საკითხთან დაკავშირებით სხვაგვარი შეხედულება გაქვს, მე სხვაგვარი.

— ჩვენ ამას სხვადასხვანაირად ვუყურებთ.

— გეჩვენება, რომ შენ ხარ მართალი, მესმის, მაგრამ არ ვიზიარებ შენს დამოკიდებულებას, მე სხვა აზრი გამაჩნია.

მშობლებს გაუცნობიერებლად ძალუძთ ბავშვების სულში დანაშაულის გრძობა (სინდისის ქენჯნა) გამოიწვიონ სიტყვაუხვი და უშედეგო ახსნა-განმარტებებით, ეს ძალზე დამახასიათებელია თანამედროვე მშობლებისათვის, რომლებსაც სჯერათ, რომ ბავშვს ყველაფერი უნდა აუხსნან, მაშინაც კი, როდესაც პრობლემა რთულა, თვით ბავშვი კი ძალზე პატარაა ამ პრობლემისათვის.

ხუთი წლის ზეიკერი საბავშვო ბაღის აღმზრდელზე გაბრაზდა, რადგან იგი ორი კვირა ავად იყო და ბავშვებთან სათამაშოდ არ მოდიოდა. იმ დღეს, როდესაც აღმზრდელი კვლავ მივიდა ბავშვებთან, ზეიკერიმ ხელი დასტაცა აღმზრდელის ქუდს და ეზოში გამოფარდა.

აღმზრდელიც და დედაც უკან გამოყვნენ.

აღმზრდელმა დაუძახა:

— ეს ჩემი ქულია, თუ შეიძლება, დაიბრუნე.

დედამ კი უთხრა:

— ზეიკერ, მშვენივრად იცი, რომ ეს შენი ქული არ არის. თუ მისს მართას ქუდს არ დაუბრუნებ, ისევ გაცივდება და შინ დარჩება, ხომ იცი, რომ უკვე ორი კვირა გაატარა ლოგინში. ხომ მართალია, მისს მართა? აბა, ზეიკერ, გინდა რომ შენი აღმზრდელი ისევ ავად გახდეს, არა?

საშიშროება იმაში მდგომარეობს, რომ ასეთი ახსნის შემდეგ ბიჭუნამ შეიძლება იფიქროს, აღმზრდელის ავადმყოფობა ჩემი ბრალიაო. ასეთი ხანგრძლივი ახსნა-განმარტება აშკარად უადგილო და მავნებელია. დედას ზეიკერისათვის ქული უნდა უბრალოდ, ყოველგვარი კამათის გარეშე გამოერთმია. კარგი იქნებოდა, აღმზრდელს მერე ესაუბრა ზეიკერთან და აეხსნა თუ რით იყო გამოწვეული ბავშვის გაბრაზება მის მიმართ, ესწავლებინა მისთვის როგორ მოქციეულიყო მსგავს შემთხვევებში და როგორ გამკლავებოდა თავის გრძობებს.

„არ ვაპოვივა!“

თუ ბავშვს არ ანებებენ ის აკეთოს, რისი გაკეთებაც მისი ასაკისათვის შესაფერისია (და რისთვისაც ძალუძს მასუხისგება), აკრძალვაზე მისი რეაქცია უცილობლად იმედის გაცრუება და გაბოროტება იქნება. თავის მხრივ ამ გაბოროტებამ იგი შესაძლოა სამაგი-

ეროს გადახდის სურვილამდე მიიყვანოს, რასაც სინდისის ქენჯნა ანდა დასჯის შიში მოსდევს ხოლმე.

ორივე შემთხვევაში შედეგი შიში იქნება.

პატარებს უჭირთ მაშინვე შეითვისონ ცხოვრებისეული სიტუაციაში აუცილებელი ქცევის ნორმები. ისინი ნელა იკრავენ ფესსაცმელებზე თასმებს, პალტოზე ღილებს, ნელა ხსნიან ქილის სახურავს, აღებენ სახელურს. უმჯობესია მოთმინებით ვუცადოთ, როდის დაასრულებს ბავშვი წამოწყებულ საქმეს და დასძინოთ რაიმე ამის შესავსი:

— არც ისე ადვილია ჩექმების ჩაცმა...

— ამ ქილის სახურავის ახდა ადვილი არ არის.

თანაგრძნობის სიტყვები ბავშვს ეხმარებიან იმისდა მიუხედავად, გაუმკლავდა თავის საქმეს, თუ არა, თუ გაუმკლავდა, გაეხარდება, რომ ეს რთული საქმე ბოლომდე მიიყვანა, თუ ვერ გაუმკლავდა, თავს იმით ინუგეშებს, რომ მშობლებს ამ საქმის სირთულე კარგად ჰქონდათ წარმოდგენილი, ორივე შემთხვევაში ბავშვი მშობლების სიმპათიასა და მხარდაჭერას გრძნობს, რაც მათ შორის უკეთესი ურთიერთობის დამყარებას უწყობს ხელს.

ბავშვი არ ჩათვლის, რომ მშობელთა ნდობა ვერ გაამართლა, მაშინაც კი, თუკი არაფერი გამოუვიდა. ნუ აიძულებთ ბავშვს მაშინვე აითვისოს ის, რაც ასწავლეთ, ცხოვრებისეული სინამდვილე ხომ ბავშვობის მტერია, ასეთი მოთხოვნები ბავშვს ძალზე ძვირი დაუჯდება, რადგან ძალების მარაგს სწრაფად დაახარჯვინებს, ამასთან ცუდად იმოქმედებს ბავშვის განვითარებ-

ბაზე და საქმისადმი ინტერესსაც სრულებით დაუკარგავს.

სინამდვილის, შედეგიანობის გამოდევნებამ შეიძლება ბავშვის ემოციური გალატაკება გამოიწვიოს.

დედ-მამის ჩხუბი და შიში

დედ-მამის ჩხუბმა შესაძლოა პატარაში ერთდროულად სხვადასხვაგვარი გრძნობა გამოიწვიოს: სინდისის ქენჯნა და შეშფოთება. შეშფოთების მიზეზია შიში, რომ ოჯახურ კავშირს რაღაც ემუქრება, სინდისის ქენჯნის მიზეზი კი ოჯახურ უსიამოვნებებში. თვით მისი რეალური (ან გამოგონილი) დანაშაული გახლავთ, ბავშვებს ხშირად ჰგონიათ ხოლმე, რომ ძირითადი მიზეზი მათი საქციელი, და თვით მათი არსებობაცაა.

ამ ომში ბავშვებს არ ძალუძთ „ნეიტრალიტეტის“ შენარჩუნება. ისინი, როგორც წესი რომელიმე მშობლის მხარეზე დგებიან. შედეგი კი ასეთი საქციელისა, ძალზე სავალალოა. თუკი ბიჭუნა მამას ემხრობა, გოგონა კი დედას, ისინი მიბაძვის აუცილებელ ობიექტს მოკლებული რჩებიან, ბავშვთა რეაქცია მშობლის ქცევის, მისი ხასიათის პრინციპებისა და შეხედულებების უარყოფაში პოვებს გამოხატულებას. მხოლოდ თუ ბიჭუნა დედას გაუბრძის, გოგონა კი მამას, ასეთმა მდგომარეობამ შეიძლება იქამდე მიგვიყვანოს, რომ ბავშვს საპირისპირო სქესის ყველა წარმომადგენლისადმი ზიზღი გაუჩნდეს.

თუკი მშობლები იძულებულნი არიან ერთმანეთს

ბავშვის სიყვარულსა და კეთილგანწყობაში შეეცილონ, ამისათვის ზემოქმედების არაპედაგოგიურ საშუალებებს — გულის მოგებას, პირმოთნობას, სიცრუეს მიმართავენ ხოლმე. ასეთ პირობეში ბავშვი ორპირი იზრდება, მას გრძნობებიც გაორებული აქვს და აქედან გამომდინარე არც მყარი საფუძველი გააჩნია. ამასთან, მშობელთაგან ერთ-ერთის მეორისაგან დაცვის აუცილებლობა და მშობლის სურვილის მიხედვით მათი გრძნობებისა და საქციელის მანიპულაციის უნარი ბავშვის სულში ღრმა კვალს ტოვებს. სულ პატარაობიდან იგი ეჩვევა იმ აზრს, რომ იგი დედ-მამისათვის მეტად დიდ ფასეულობას წარმოადგენს, რომლის მიკერძოებისთვისაც ისინი ასე გულმოდგინედ იბრძვიან. ბავშვები ეჩვევიან მშობელთა გრძნობების ექსპლუატაციას, მებეზღარობას, შანტაჟის მოწყობას, ჭორაობას. ისინი ისეთ სამყაროში ცხოვრობენ, სადაც სიმართლე გულდასაწყვეტი, ხელისშემშლელი ნაკლია, ხოლო გულწრფელობა სრულიად ზედმეტი და გამოუსადეგარი რამ არის.

ფიზიკური აპიურთის დევიციები

თანამედროვე ბინაში გამოკეტილი მრავალი ბავშვი იმით იტანჯება, რომ თავისი მოტორული აქტიურობის გამოვლენის საშუალებას ვერ პოულობს. ოთახები ვიწროა, ავეჯი ძვირფასი, აქედან კი ერთიმეორეზე უფრო მკაცრი აკრძალვები გამომდინარეობს: არ იხტუნო, არ ირბინო, არ იხმაურო. ასეთი შეზღუდვები ჩვეულებრივ,

ბავშვის ცხოვრებაში ადრეული ასაკიდანვე იჭრება. სულ პატარას საწოლში დგომას უკრძალავენ, ოღონდ წამოზრდილს — კიბეებზე ფორთხვასა და მისაღებ ოთახში სირბილს.

ხტუნვას და სირბილს მოკლებული ბავშვი დაძაბულია. ეს დაძაბულობა სულ უფრო იზრდება და შიშში გადადის. ამ საკითხის გადაჭრის გზა ნათელია — ბავშვს განმუხტვის საშუალება უნდა მიეცეთ. მოძრავი თამაშობები მისთვის აუცილებელია, ამიტომ სპეციალურ ოთახსა ან ეზოში ისეთი ადგილი უნდა გამოვუყოთ, სადაც თავისუფლად ირბენს და ითამაშებს.

სიკვდილის შიში

უფროსებისათვის სიკვდილის ტრაგედია მის შეუქცევადობაში მდგომარეობს. სიკვდილი გარდაუვალია — მას თან მიაქვს ყოველგვარი იმედი. ამიტომ, სიკვდილი შეუცნობადია: ვის შეუძლია იმის წარმოდგენა, როგორ შეწყვეტს არსებობას — გაქრება? ჩვენი შინაგანი „მე“ ხომ მოგონებებისა და იმედებისაგან, წარსულისა და აწმყოსაგან შედგება, ჩვენ ძალა არ შეგვწყვეს მომავლის გარეშე შევხედოთ საკუთარ თავს.

მაგრამ თუ უფროსებისათვის სიკვდილი გამოცანაა, ბავშვისათვის იგი ენით აღწერელი იდუმალებითაა მოცული. ბავშვს, განსაკუთრებით კი პატარას, არანაირად არ ძალუძს გააცნობიეროს სიკვდილის გარდუვალობა, შეიგნოს ის, რომ მის დედ-მამასაც კი არ შეუძლია გარდაცვლილს სიცოცხლე დაუბრუნონ.

სიკვდილის წინაშე ყოველგვარი იმედის ამაოება ბავშვისთვის ზედმეტად მძიმე დარტყმას წარმოადგენს. მის სულში უნდობლობა, საკუთარი ძალებისადმი ეჭვი, სასოწარკვეთილება ისადგურებს. ცრემლებისა და ბავშვის პროტესტის მიუხედავად საყვარელი ლეკვი ან ძვირფასი ბებო უკან არ ბრუნდება, ამიტომ იგი თავს მიტოვებულად გრძნობს, ასე ჰგონია, აღარავის ვუყვარვარო. ამ შიშს ის ჩვენთვის, ყველასათვის ნაცნობი კითხვით გამოხატავს: „მამა, როცა მოვკვდები, გეყვარები?“

ზოგი მშობელი ცდილობს ბავშვს თავიდან ააცილოს ის ტკივილი და მწუხარება, სიკვდილს რომ მოსდევს: თუკი პატარას საყვარელი თევზი ან კუ მოუყვდა, მაშინვე ახალს უყიდის, იმ იმედით, რომ ბავშვი ამ ცვლილებას ვერ შენიშნავს. კატა ან ძაღლი მოკვდება და ცდილობენ დამწუხარებულ ბიჭს მაშინვე უკეთესი, უფრო ძვირფასი და ლამაზი კნუტი ან ლეკვი მოუყვანონ.

როგორ დასკვნას გამოიტანს ბავშვი ასეთი საქციელიდან? ალბათ ასეთს: საყვარელი არსების დაკარგვა დიდი არაფერია, და ასეთსაც: სიყვარული ხანგრძლივი არ არის, სიყვარულში ერთგულება ჩირადაც არ ღირებულა.

არ შეიძლება ბავშვს ტანჯვის, გლოვის უფლება წავართვათ. მას შეუძლია და უნდა იგრძნოს კიდევ დაკარგვის სიმწარე: ეს ხომ მასში ადამიანობას აღვიძებს და ხასიათს უკეთილშობილებს.

ოჯახური ურთიერთობის საფუძველი შემდეგში მდგომარეობს: ბავშვები ჩვენთან ერთად იზიარებენ

სიხარულსა და მწუხარებასაც, რომლებიც ერთნაირად გარდუვალთა ცხოვრების გზაზე. თუკი ახლობელი გარდაიცვალა, ბავშვს კი ამის შესახებ არაფერს ეუბნებიან, იგი საკუთარ თავში ჩაიკეტება, აფორიაქებულია, აფორიაქების მიზეზს კი სახელს ვერ უძებნის. ზოგჯერ ბავშვები მაინც ცდილობენ დამოუკიდებელი, უთავბოლო ახსნა-განმარტება მოუძებნონ მოვლენებსა და ფაქტებს. საკუთარ თავს ათას რამეს აბრალებენ და გრძნობენ, რომ ერთგვარად შორს არიან როგორც მიცვალებულის, ისე ოჯახის ცოცხალი წევრებისაგან.

უბირველეს ყოვლისა ბავშვს დანაკარგის გაცნობიერებაში უნდა დავეხმაროთ. დაე, მან თავისი მწუხარება და შიში სიტყვებით გამოხატოს. სიმშვიდე და ნუგეში ხომ მხოლოდ მაშინ მოდის, როცა საკუთარ მწუხარებას ახლობელ ადამიანს გაანდობ.

მშობელი ბავშვს მწუხარების სიტყვებით გამოხატვაში უნდა დაეხმაროს. მაგალითად, საყვარელი ბების სიკვდილის შესახებ ბავშვს შეიძლება ასეთი რამ ვუთხრათ:

- ალბათ ბებია გენატრება ხოლმე.
- როგორ გიყვარდა...
- მასაც როგორ უყვარდი.
- არც კი გჯერა, რომ აღარ არის, არა?
- ხომ ძალიან კარგად გახსოვს?

ამგვარი საუბარი ბავშვს მიახვედრებს, რომ უფროსები თანაუგრძნობენ, ესმით მისი შიშის მიზეზი. ბავშვი აუცილებლად დაინტერესდება — მტკივნეულია თუ არა სიკვდილი, მიცვალებულები ცოცხლებიან თუ არა,

მოკვდება თუ არა თვითონ, დაიხოცებიან თუ არა მისი მშობლები. პასუხები მოკლე და სწორი უნდა იყოს: სიკვდილის შემდეგ არავითარ ტკივილს აღარ გრძნობენ, მიცვალებულები არ ცოცხლდებიან, მოხუცების სიკვდილი ბუნებრივი მოვლენაა.

ბავშვებთან სიკვდილზე საუბრისას სჯობს მაღალფარდოვნებას თავი ავარიდოთ. როდესაც ოთხი წლის გოგონას უთხრეს, პაპამ მარადიული ძილით დაიძინაო, იკითხა — ჩვეულებისამებრ პიყამო თუ ჩაიცვაო, თანაც შეშფოთდა, ალბათ ჩემზე ნაწყენი დარჩა, რადგან ძილის წინ „ღამე მშვიდობისა“ არ მითქვამსო.

აი, მეორე მაგალითიც: ხუთი წლის ბიჭუნას უთხრეს, ბებო ცაშია, ანგელოზად გადაიქცაო. მაშინ მან ინატრა — ნეტა ოჯახის ყველა წევრი მოკვდეს რომ ანგელოზებად გადაიქცნენო.

თუ ბავშვს ამ სამწუხარო ამბავს უბრალოდ და გულწრფელად ვაცნობებთ, თან სიყვარულით, თბილად მივუალერსებთ, იგი თავს უფრო მშვიდად იგრძნობს. ასეთი მიდგომა გაცილებით უკეთ მოქმედებს. ნებისმიერ სიტუაციაში სიტყვებზე მეტს საკუთარი მოქმედება ნიშნავს, ამიტომ მშობლები შეძლებისდაგვარად თვითონვე მშვიდად უნდა ღებულობდნენ გარდაუვალ მწუხარებას.

ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებული პრობლემების ახლებური გადაწყვეტა მშობელთა ამოცანას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეამსუბუქებს, თუკი მას შერჩევით, სიტუაციასთან მკაცრი შესაბამისობის მიხედვით გამოვიყენებთ. ბავშვები სხვადასხვანაირები არიან: ზოგი უფრო დამთმობია, ასეთები ადვილად, მოთმინებით ღებულობენ ურთიერთობებსა და ჩვევებში გამოწვეულ ცვლილებებს. მეორენი, ე. წ. „კონსერვატორები“ ასეთ ცვლილებებს მხოლოდ ხანგრძლივი ჩიჩინისა და პროტესტის შემდეგ ემორჩილებიან. ისეთი ბავშვებიც არიან, აგრესიულად რომ ებრძვიან ყოველგვარ „ახალ წესებს“ ოჯახში. ახალმა მეთოდმა კარგი შედეგი რომ გამოიღოს, აუცილებელია მუდამ გვახსოვდეს თუ როგორი ხასიათისა და ტემპერამენტის შვილი გვყავს.

ადამიანებს შორის ურთიერთობებში დასახული მიზნის მიღწევა იმ საშუალებებზეა დამოკიდებული, რომლებსაც ჩვენვე ვირჩევთ, შედეგი კი თვით ურთიერთობის განვითარების პროცესზეა დამოკიდებული. ბავშვის პიროვნება ჰარმონიულად მხოლოდ მაშინ ვითარდება, როცა აღზრდის პრინციპები პატივისცემასა და სიყვარულზეა დაფუძნებული. იმედი გვაქვს, აღზრდის ჩვენეული ახალი მეთოდი შეგაძლებინებთ უფრო სათუთად მოეპყრათ ბავშვის გრძნობებს და მეტი გულისხმიერება გამოიჩინოთ თქვენსა და თქვენს შვილებს შორის კარგი ურთიერთობის შესანარჩუნებლად.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ავტორისაგან	5
თავი I. ბავშვებთან ურთიერთობა	7
თავი II. ვაკრიტიკებთ და ვაქებთ ახლებურად	20
თავი III. პატივი ეცით ბავშვს და საკუთარ თავს	34
თავი IV. პასუხისმგებლობა და დამოუკიდებლობა	48
თავი V. დისციპლინა — ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს	72
თავი VI. ბავშვის დღის რეჟიმი	88
თავი VII. ეჭვიანობა	98
თავი VIII. რა იწვევს ბავშვის შიშს	111
ბოლოთქმა	125

მხატვარი **ქ. ზენაიშვილი**
 მხატვრული რედაქტორი **სპ. ცინცაძე**
 ტექნიკური რედაქტორი **ო. კაპანაძე**
 კორექტორი **ე. ურუშაძე**
 გამომშვები **ნ. რაშოვი**

ჩაბარდა წარმოებას 5.02.91ს ხელმოწერილია დასაბეჭდად 26.04.91.
 ფორმატი 70×100¹/₃₂ ქალაღლი საბეჭდო № 1. გარნიტურა ჩვეუ-
 ლებრივი. ბეჭდვა ოფსეტური. პირობითი ნაბეჭდო ფურცელი 5,2. სა-
 აღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 3,83. პირობითი საღებავგა-
 ტარება 5,36. ტირაჟი 30.000 ეგზ. შეკვეთა № 1470

უასი რ. მან. 2526

წიგნი გამოდის მთარგმნელის ხარჯით

გამომცემლობა „ლომისი“, რუსთაველის გამზ. 42

დაიბეჭდა გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბაში
 თბილისი, კოსტავას ქ. 14

Х. ДЖ. ДЖАЙНОТТ
РОДИТЕЛИ И ДЕТИ

(На грузинском языке)

Издательство «Ломиси»

пр. Руставели, 42

Тбилиси

1991

იმედი გვაქვს, აღზრდის ჩვენეული ახალი მეთოდი შეგად-
ლებინებთ უფრო სათუთად მოეპყრათ ბავშვის გრძნობებს და
მეტი გულისხმიერება გამოიჩინოთ თქვენსა და თქვენს შვი-
ლებს შორის კარგი ურთიერთობის შესანარჩუნებლად.

მ.

